საკმო ბაჯები

№16 (697)
ოთხშაბათი
17 მაისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

ფრენები, მით უმეტეს არასანქცირებული თვითმფრინავებით, არის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი. რასაც ევროკავშირი 4 დღეში ვაჭრობს რუსეთთან, ჩვენ, ჩვენი ქვეყანა, ვაჭრობს მთელი წლის განმავლობაში. ევროკავშირი ვაჭრობს დღემდე რუსეთთან. თითქმის 300 მილიარდი დოლარი შეუვიდა რუსეთს შარშან ევროკავშირისგან, გაგანია ომის დროს.

ირაკლი ღარიბაშვილი

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ვერცერთი სანქცირებული კომპანია ვერ განახორციელებს შესაბამის ფრენებს. ამას სწავლობენ შესაბამისი უწყებები. ის კონკრეტული ფაქტი, რაზეც თქვენ საუბრობთ, ძალიან ცუდია, თუმცა როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსის მქონე ქვეყნებიდან, აფხაზეთი ამოღებულია. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იმას, რომ ვერცერთი სანქცირებული კომპანია ვერ შეძლებს ფრენებს. დიდი პრობლემა არის ის, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების გარკვეული ნაწილი ოკუპირებულია. ეს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა ჩვენი ხალხისთვის, ქვეყნისთვის. რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლება აღნიშნული პოლიტიკით, რომელსაც ატარებს, ყველაფერს გააკეთებს, რომ ტერიტორიების დეოკუპაცია, დაბრუნება მოვახერხოთ. ეს უნდა გავაკეთოთ მშვიდობით, ძლიერი ეკონომიკური განვითარებით, გონიერებით, წინსვლით, განათლებით“, - განაცხადა თბილისის მერმა.

ზაალ ანჯაფარიძე: ლიბერალური ძალები საქართველოს წინაალმდეგ

ელიზბარ ჯაველიძე: ამერიკა ქართულ ცნობიერებაზე შტურმით „მშვიდობიან ექსპანსიას“ ახორციელებს

სოსო არჩვაძე: ვალუტის კურსის ზედმეტად გამყარება ჩვენს საექსპორტო პოტენციალს ამცირებს

გია ბურდული: თურქეთის პრეზიდენტის ვინაობას არჩევნების მეორე ტური გადაწყვეტს

მაია ნიკოლეიშვილი: კელი დეიდა პიონერხემძღვანელივით ჭკუას გვარიგებს

ლევან ბერძენიშვილს ისტორიის სწავლების არავითარი მორალური უფლება არა აქვს

ფონდი „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანის განცხადება

„რამდენიმე დღის წინ, ტელეკომპანია „მთავარის“ ეთერში ლევან ბერძენიშვილმა კვლავ მისცა თავს უფლება, უსამართლო ბრალდებებით თავს დასხმოდა ბიძინა ივანიშვილს და მისი მისამართით ცილისმწამებლური განცხადებები გაეკეთებინა. ვინაიდან ბერძენიშვილის მხრიდან მსგავსი ქმედებები სისტემატიურ ხასიათს ატარებს და ის გარკვეული პერიოდულობით იმეორებს ცრუ ბრალდებებს, როგორც ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე, თავს ვალდებულად ვთვლი, საჯაროდ გავცე მას პასუხი.

მიმაჩნია, რომ არც ლევან ბერძენიშვილი იმსახურებს გამორჩეულ ყურადღებას და არც ბატონ ბიძინა ივანიშვილს სჭირდება ჩემი დაცვა. გარდა ამისა, არც ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო საქმიანობის საზოგადოებისთვის შეხსენებაა დღეს ჩემი მიზანი, თუმცა, საჭიროდ მიმაჩნია, ბერძენიშვილის მიერ ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობის დამახინჯებული შეფასების მაგალითზე, საზოგადოებისთვის განვმარტო, როგორ ამახინჯებს ლევან ბერძენიშვილი დღევანდელობას, რაც იმის დასტურია, რომ მას საზოგადოებისთვის ისტორიის სწავლების არავითარი მორალური უფლება არა აქვს.

განვიხილოთ ბიძინა ივანიშვილისადმი ბერძენიშვილის ბრალდების ანატომია. „მთავარი არხის“ ხსენებულ გადაცემაში ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის პრინციპია, „მან იცის, როგორ იშოვოს ფული და იცის, როგორ არ უნდა იყოს ეს არანაირ ზნეობასთან დაკავშირებული“. ამას ბერძენიშვილი ამბობს ადამიანზე, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გვერდში უდგას ქართულ საზოგადოებას და სახელმწიფოს, რომელმაც სამ მილიარდ დოლარზე მეტი უანგაროდ დახარჯა საქართველოში განხორციელებულ საქველმოქმედო პროექტებზე, რომლებმაც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა.

მრავალი წელია, ვმუშაობ „ქართუს“ სისტემაში და საკმაოდ ახლოს ვიცნობ როგორც თავად ბატონ ბიძინას, ისე მის ოჯახს. ვიცი რა, ამ ოჯახის დამოკიდებულება ზნეობრივი ნორმების მიმართ, შესაძლოა, სხვებზე ცხადად ვხედავ ნასროლი ბრალდებების სიყალბეს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ერთი კონკრეტული პირის მხრიდან გამუდმებული თავდასხმები და ცრუ მორალისტური კატეგორიებით აპელირება საკადრის პასუხს საჭიროებს.

პირველ რიგში, საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი ქონება შექმნა სხვა ქვეყანაში. სამშობლოში დაბრუნების დღიდან კი, მან შეგნებულად შეწყვიტა მომგებიანი ბიზნესსაქმიანობა და მას შემდეგ ის უცხო ქვეყანაში შექმნილი ქონების საქართველოს სასარგებლოდ განკარგვით არის დაკავებული. ამის საილუსტრაციოდ, რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი მინდა მოვიყვანო.

ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებულ ბანკ „ქართუს“ არასოდეს უწარმოებია აგრესიული საბანკო პოლიტიკა. ბანკ „ქართუს“ დაარსებიდან ცოტა ხანში ბიძინა ივანიშვილმა გამოისყიდა ამერიკელების მიერ დაფუძნებული და შემდეგ გაკოტრებული „აბსოლუტ ბანკის“ პასივები, რითაც მან ქართული საბანკო სისტემა, თავის დროზე, გარდაუვალ კოლაფსს გადაარჩინა. ბანკ „ქართუს“ ჰქონდა სრული რესურსი, აგრესიული საბანკო პოლიტიკა ეწარმოებინა და ის ნიშა დაეკავებინა, რომელიც დღეს ყველაზე რენტაბელურ ქართულ ბანკებს უკავიათ, თუმცა, ბიძინა ივანიშვილმა ამგვარ პოლიტიკაზე თავიდანვე შეგნებულად თქვა უარი, რადგან მას ბანკი „ქართუ“ იმთავითვე არა ფინანსური მოგების მიღების, არამედ ქართული საბანკო სისტემის გამაგრების ინსტრუმენტად ჰქონდა მოაზრებული. აქტივების გარეშე დარჩენილი და გაკოტრებული „აბსოლუტ ბანკის“ პასივების გამოსყიდვა ამის ერთ-ერთი უტყუარი დადასტურება იყო. რამდენიმე წლის წინ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბანკი „ქართუც“ საქველმოქმედო ფონდს გადასცა საკუთრებაში, რაც ასევე იმის დასტურია, რომ ის ბანკს მოგების მიღების ინსტრუმენტად არასოდეს მოიაზრებდა.

ანალოგიური მიდგომით შეიქმნა „თანაინვესტირების ფონდიც“. საზოგადოებას ახსოვს უამრავი სპეკულაცია და ცილისწამება ფონდის გარშემო. პოლიტიკურად ანგაჟირებული პირები ამტკიცებდნენ, რომ ფონდი იაფად ითვისებდა სახელმწიფო ქონებას, მიწებს და ასე შემდეგ, თუმცა, საბოლოოდ გაირკვა, რომ ბიძინა ივანიშვილს მოგება არც „თანაინვესტირების ფონდის“ საქმიანობიდან მიუღია, რაც თავიდანვე მისი შეგნებული გადაწყვეტილება იყო. ყველა დასრულებული პროექტი, მათ შორის სასტუმროები, რომელთა მშენებლობა ქვეყანაში ტურისტული ინფრასტრუქტურის გაფართოებასა და ადამიანების დასაქმებას ისახავდა მიზნად, ბოლოს საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გადაეცა, რითაც მკაფიო პასუხი გაეცა ყველა სპეკულაციასა და ცილისწამებას. ამჟამად, განხორციელების პროცესშია „თანაინვესტირების ფონდის“ რამდენიმე მიმდინარე პროექტი და შესაბამისი პროექტების მიზნობრიობის შესახებ ინფორმაციაც ნებისმიერი ადამიანისთვის არის ხელმისაწვდომი.

მთლიანობაში, როგორც ფონდ „ქართუს“ ხელმძღვანელმა და საქმეში სრულად ჩახედულმა ადამიანმა, თამამად შეიძლია განვაცხადო, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს საქართველოში განხორციელებული არცერთი პროექტიდან სახლში ერთი თეთრი მოგებაც კი არ წაუღია. ფონდში ჩემი მუშაობის 17 წლის განმავლობაში არ იყო არცერთი შემთხვევა იმისა, რომ ფონდის სახსრებით ივანიშვილების ოჯახს რაიმე სარგებელი მიეღოს. და ეს იმ ფონზე, რომ საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ხაზით, გასული წლების მანძილზე, ბიძინა ივანიშვილმა 3 მილიარდი დოლარის ღირებულების ქველმოქმედება განახორციელა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 3-მილიარდიანი ქველმოქმედება არ მოიცავს დახმარებას, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ნათესავების, მეგობრებისა და ახლობლების სასარგებლოდ გასცემდა და დღემდე გასცემს. აღნიშნული დახმარებაც დიდ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ბიძინა ივანიშვილს თავისუფლად შეეძლო, ეს დახმარებაც საქველმოქმედო ფონდის ხარჯებში შეეტანა. თუმცა, ამგვარ დახმარებას ბატონი ბიძინა ფონდისგან დამოუკიდებლად გასწევდა. მან პრინციპულად გაავლო ზღვარი ქველმოქმედებასა და ახლობლების დახმარებას შორის, რაც იმის ნათელი დასტურია, რომ არათუ „ფულის შოვნისას“, ფულის ხარჯვის დროსაც კი, ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის განსაკუთრებულ ზნეობრიობას ავლენდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არაკეთილსინდისიერი ადამიანები ქველმოქმედების სარჩულს ხშირად იყენებენ კორუფციისა და ფულის გათეთრების შესანიღბად. რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მან ქველმოქმედებად საკუთარი ახლობლების დახმარების მოხსენიებაც კი არ დაუშვა, რაც ცხადყოფს, რომ ქველმოქმედების განხორციელებისას, ის ყოველთვის ზნეობისა და მორალის უმაღლესი სტანდარტის შესაბამისად მოქმედებდა.

მოგეხსენებათ, 2020 წელს, ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის მასშტაბით მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული აქტივების უდიდესი ნაწილი გადასცა ფონდ „ქართუს“. ამაში შედის როგორც ბანკ „ქართუს“ აქციები, ისე „თანაინვესტირების ფონდის“ მიერ განხორციელებული ყველა საინვესტიციო პროექტი. შესაბამისად, ამ პროექტებიდან მიღებული შემოსავლები მხოლოდ საქველმოქმედო საქმიანობას მოხმარდება. მიმაჩნია, რომ ქველმოქმედების ეს უპრეცედენტო აქტიც ნათლად ასახავს ამ ადამიანისა და მისი ოჯახის მაღალ ზნეობრივ პრინციპებსა და დამოკიდებულებას ქველმოქმედებისადმი.

ბიძინა ივანიშვილის მიმართ ბერძენიშვილის კიდევ ერთი ცილისმწამებლური განცხადება კანაფის თემას უკავშირდებოდა. კერძოდ, ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ, თითქოს, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს „კოლუმბიად“ გადაქცევას უპირებდა და მან ბიძინა ივანიშვილის მიერ „ფულის შოვნისას“ ზნეობრივი პრინციპების უგულვებელყოფა სწორედ ამ საკითხს დაუკავშირა. ჩემთვის ცნობილია, რომ საქართველოში კანაფის წარმოების იდეა ნამდვილად ეკუთვნოდა ბიძინა ივანიშვილს. თუმცა, საუბარი იყო არა ნარკოტიკების წარმოებაზე, არამედ მხოლოდ სამედიცინო მიზნით კანაფის კულტივირებაზე, რასაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოგების მოტანა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის თვისებრივად გაზრდა შეეძლო. თუმცა, საქართველოსთვის ამგვარი პოტენციური სარგებლის ხელიდან გაშვების მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილმა უარი თქვა ინიციატივაზე, როგორც კი საკუთარი გუნდიდან წინააღმდეგობრივი რეაქციები მოისმინა. ეს ყველაფერი, ზნეობრიობასთან ერთად, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მართვის დემოკრატიულ სტილზეც მიანიშნებს.

შეამჩნევდით, ალბათ, რომ თავის საჯარო გამოსვლებსა და ლექციებში ლევან ბერძენიშვილი გამუდმებით თავს ესხმის ამა თუ იმ ისტორიულ მოღვაწეს და აუგად იხსენიებს მათ. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ისტორიული მოვლენებისა და მოღვაწეების განხილვა ტაბუირებული უნდა იყოს და მათი ხსენება მხოლოდ სადღეგრძელოების ფორმატში უნდა ხდებოდეს. პირიქით, ისტორია ცოცხალი მეცნიერებაა, ის მუდმივ შესწავლასა და კვლევას საჭიროებს. მაგრამ ნამდვილი მეცნიერისა და მკვლევარის ამოცანა რეალობის დადგენა და ჭეშმარიტების ძიებაა. ლევან ბერძენიშვილის მხრიდან კი, გამუდმებით ადგილი აქვს ამა თუ იმ მოღვაწის უსაფუძვლო ლანძღვას აუდიტორიის წინაშე.



სხვათა შორის, თავად ლევან ბერძენიშვილს აქვს ნათქვამი – „საკმარისია ერს მოაცილო მისი ისტორიული გმირები და ქვეყანაც აღარ დარჩება“. აქედან ჩანს, თუ რა მიზანს ემსახურება მის მიერ ჩვენი ერის ისტორიული გმირების გამუდმებული შეურაცხყოფა. ღრმად მწამს, რომ ბერძენიშვილი სწორედ იმ ძალების დავალებით მოქმედებს, რომელთა მიზანია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქვეყანა აღარ დარჩეს“ და გარედან მართულ, ეროვნული იდენტობისგან დაცლილ ტერიტორიად და ხალხის მასად გადაიქცეს.

ლევან ბერძენიშვილის ხელწერაა, ადამიანებზე ზუსტად იმის საპირისპირო ამტკიცოს, რაც ამ ადამიანებისთვის სინამდვილეში არის დამახასიათებელი. მან მოახერხა და ერეკლე მეორეს, რომელმაც სამშობლოსთვის უამრავი ომი გადაიტანა და ამ ომებში ათეულობით ჭრილობა მიიღო, მოღალატეობა დააბრალა. მან ასევე მოახერხა და დავით აღმაშენებელს, ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს ცუდი მამობა, უნიჭობა და ამორალურობა დასწამა. აქედან ჩანს, რომ ისტორიის დამახინჯება ლევან ბერძენიშვილის დავალებაა, რომელსაც ის ყოველგვარი ზნეობის გარეშე, თვალდახუჭული ასრულებს. ბერძენიშვილს, რომელიც ყოველთვის გარედან მიღებულ მტრულ დავალებებს ასრულებს და საქართველოს ისტორიასა და დღევანდელობას შეგნებულად ამახინჯებს, არავითარი მორალური უფლება არა აქვს, დავით აღმაშენებელზე, ერეკლე მეორეზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ისევე, როგორც საქართველოს წარსულისა და დღევანდელობის სხვა მოღვაწეებზე ისაუბროს.

როგორც ცდილობს ზნედაცემული ლევან ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის დამახინჯებას, ზუსტად ისევე ცდილობს ის დაამახინჯოს ჩვენი დღევანდელობა. ზუსტად ამის გამოვლინებაა, რომ ყველა თავის საჯარო განცხადებაში, რომელსაც ბერძენიშვილი ასე უხვად აკეთებს, ის ცდილობს ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე რამენაირად ჩირქი მოსცხოს და შეურაცხყოფა მიაყენოს ქველმოქმედ ადამიანს. ბიძინა ივანიშვილის ცხოვრებას და მოღვაწეობას თუ გადავხედავთ, ვერ ნახავთ იმის ერთ მაგალითსაც კი, რაშიც მას ბერძენიშვილი სწამებს ცილს. პირიქით, ბიძინა ივანიშვილის ცხოვრების წესში ზნეობრიობის უამრავი კარგი მაგალითი შეგვიძლია ამოვიკითხოთ. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იყენებს ბერძენიშვილი სიტყვა ზნეობას, თავს უფლება მივეცი, ის ზნედაცემულ ადამიანად მოვიხსენიო.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ბიძინა ივანიშვილი არ საჭიროებს ჩემგან დაცვას, ლევან ბერძენიშვილის საფუძველსმოკლებული თავდასხმები მას ვერაფერს დააკლებს. მაგრამ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ამ ბრალდებებს აყენებს ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს საზოგადოებას განსწავლულობის ეტალონად წარმოუჩენს და ახალგაზრდობას ლექციებს უკითხავს, მათ შორის ჩვენი ისტორიისა და ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებზე. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მებადება კითხვა, თუ როგორ უნდა ვენდოთ ადამიანს ისტორიული ამბებისა და ასპექტების განხილვისას, როდესაც ის ჩვენს თვალწინ მუდმივად ამახინჯებს დღევანდელობას. ჩემი მიზანი იმის ჩვენებაა, თუ სინამდვილეში ვინ არის ლევან ბერძენიშვილი, რა მორალისა და ზნეობის კაცია ის, ვინც დღეს ასე გამალებით ცდილობს ჩვენი ქვეყნის ისტორიის გაყალბებას. ისმის კითხვა, თუ რამდენად მისაღებია ისეთი ადამიანის „განმანათლებლობა“, რომელიც ასე თავხედურად ამახინჯებს ფაქტებს დღევანდელობაზე. როგორ უნდა გავყვეთ ლევან ბერძენიშვილს მის ლოგიკაში ისტორიული ამბების გადმოცემისას, როდესაც მას აწმყოშიც არ დაეჯერება?“, – ნათქვამია განცხადებაში.

ლიბერალური ძალები საქართველოს წინააღმდეგ

„სტრასბურგის სასამართლოს ძალიან გაუჭირდებოდა იმის თქმა, რომ სააკაშვილს საქართველოში არასათანადოდ მკურნალობენ და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. შესაბამისად, პოლიტიკური კომპონენტი გვერდზე გადადეს, საქმეს სამართლებრივი კუთხით მიუდგნენ და მხოლოდ უტყუარ ფაქტებს დაეყრდნენ“, - ამის შესახებ ანალიტიკოსმა ზაალ ანჯაფარიძემ „საერთო გაზეთთან“ საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, დასავლეთის ლიბერალური წრეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში არ დარჩეს; მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ ატეხილი კამპანია, დაფინანსებული კამპანიაა, რის შესახებაც ინფორმაცია აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზეა განთავსებული; რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმება კი იმ სამიზნე ჯგუფებზეა გათვლილი, რომელთა გამოყენებასაც კრემლი საკუთარი მიზნებისთვის ვარაუდობს.

- ბატონო ზაალ, როგორ შეაფასებდით სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, საქმეზე „სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადვოკატების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და, შესაბამისად, დამტკიცდა, რომ ყოფილ პრეზიდენტს ჩვენს ქვეყანაში არავინ „აწამებს“...

- სტრასბურგის სასამართლომ ობიექტურად შეაფასა არსებული მდგომარეობა. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ საკმაოდ კარგად იმუშავა და ისეთი დამაჯერებელი მტკიცებულებები წარმოადგინა, რაც მათთვის უფრო მეტად სარწმუნო აღმოჩნდა, ვიდრე ის ინფორმაცია, რაც სააკაშვილის ადვოკატებმა წაიღეს სტრასბურგში, იმის მიუხედავად, რომ „ნაცმოძრაობას“ სტარსბურგში ლობისტები ჰყავს, მათ შორის სასამართლოშიც. კონკრეტულად, თუნდაც სტრასბურგის სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს, ნონა წოწორიას ვგულისხმობ, რომელიც „ნაცმოძრაობის“ დიდი მხარდამჭერია და თავის დროზე აქტიურად ლობირებდა მათ ინტერსებს. სასამართლომ, ამ შემთხვევაში, პოლიტიკური კონიუნქტურა გვერდზე გადადო და მშრალ გადამოწმებულ ფაქტებს დაეყრდნო და დაასკვნა: სააკაშვილის მიმართ არანაირ წამებას და არასათანადო მოპყრობას ადგილი არ ჰქონია და მისი მკურნალობა საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებს შეესაბამება.

თავად ის ფაქტი, რომ მიხეილ სააკაშვილი მთელი ამ ხნის განმავლობაში იმყოფება კომფორტულ კლინიკაში და არა ციხის საკანში, შეთავაზებული აქვს ადეკვატური მკურნალობა, თავისთავად გამორიცხავს წამების ფაქტს. ეს ყველაფერი დოკუმენტირებულია და, შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს ძალიან გაუჭირდებოდა იმის თქმა, რომ სააკაშვილს საქართველოში არასათანადოდ მკურნალობენ, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და აუცილებელია მისი ვარშავაში გადაყვანა.

თავად სააკაშვილის ოჯახისა და ადვოკატების მოთხოვნა იყო აბსურდული და აშკარად შეიცავდა პოლიტიკურ კონტექსტს. მოთხოვნის მიზანი იყო სააკაშვილის გაყვანა საქართველოდან და მისთვის მართლმსაჯულების არიდება. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

- როგორც სოციალურ ქსელში წერთ, რადიკალურმა ოპოზიციამ და მასთან აფილირებულმა პარტნიორებმა უკვე „შემოაგდეს“ იდეა, რომ 26 მაისს, აქციით გააპროტესტონ პუტინის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთში უვიზოდ მიმოსვლის და პირდაპირი რეისების აღდგენის თაობაზე...

- შთაბეჭდილება მრჩება, რომ ოპოზიციას და მათთან აფილირებულ ექსპერტებს გონება გადაეკეტათ! რა უნდა გააპროტესტონ? - რატომ შემოიღო კრემლმა საქართველოსთან უვიზო რეჟიმი და რატომ მისცა ქართველებს რუსეთში უვიზოდ შესვლის უფლება? - ან რატომ აღადგინა რუსეთმა საქართველოსთან ფრენები? მაშინ მივიდნენ რუსეთის საელჩოს სექციასთან და იქ მოაწყონ საპროტესტო აქცია! ეს პროტესტი, თავისთავად, არავითარ მნიშვნელოვან დატვირთვას არ ატარებს, ის, უბრალოდ, იქნება მიტინგი-მიტინგისთვის, მაგრამ თუ ამ მიზეზით საზეიმო ღონისძიების ჩაშლა გადაწყვიტეს, გამოვა იმ სიტუაციის განმეორება, რაც 2011 წლის 26 მაისს ნინო ბურჯანაძის მოძრაობამ ჩაიდინა. არ გამოვრიცხავ, ადგილი ჰქონდეს მორიგ პროვოკაციებს, მოინდომონ საზეიმო ღონისძიებების ჩაშლა და სახელმწიფო აიძულონ, ძალა გამოიყენოს. შემდეგ კი ხალხს ათქმევინონ, რომ ეს ხელისუფლება წინაზე უკეთესი არაფრით არის.

რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის არსებობა კორუფციის ერთგვარი წყარო იყო და ამაში ფული კეთდებოდა. ახლა ადამიანები თავისუფლდებიან ზედმეტი ბიუროკრატიისგან და როგორც შენგენის ზონაში დავდივართ ვიზის გარეშე, ისე ვივლით რუსეთშიც. ეს არის პროცედურული მხარე. რეალურად კი საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს, ვისაც რუსეთში ჰყავს ნათესავები, აქვს სხვადასხვა ინტერესი. არის ბევრი ბიზნესოპერატორი, ვისაც რუსეთში ბიზნესი აქვს. ამ ბიზნეს-ოპერატორებს ჰყავთ ოჯახები და ასობით დასაქმებული ადამიანი, რომელთა უკანაც ასევე ოჯახები დგანან. სტატისტიკური მონაცემებით, რუსეთი წლების განმავლობაში რჩება საქართველოს საგარეო სავაჭრო პარტნიორთა პირველ სამეულში. რუსეთმა ეს ყველაფერი გათვალა ზუსტად იმ სამიზნე ჯგუფებზე, რომელთაც, ალბათ, ფიქრობს, რომ გამოიყენებს თავისი მიზნებისთვის.

- „გამოყენებაში“ რას გულისხმობთ ბატონო ზაალ, ფაქტს უარყოფითად აფასებთ?

- არც უარყოფითად ვაფასებ და არც დადებითად. ეს არის რუსეთის გადაწყვეტილება, რომელსაც აქვს საკუთარი ინტერესები რეგიონში, კონკრეტულად, საქართველოში და იქცევა საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ახლა უკვე საქართველოს მოქალაქეებზეა დამოკიდებილი, ამ შემოთავაზებით როგორ ისარგებლებენ. წლის ბოლომდე, ალბათ, გვექნება სტატისტიკა და საინტერესოა, რამდენი მოქალაქე წავა რუსეთში სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ, - მათი ასაკი, სოციალური მდგომარეობა, მიზანი... და უკვე შეგვეძლება მსჯელობა იმაზე, ამ ნაბიჯმა ქართულ საზოგადოებაში დადებითი გამოხმაურება ჰპოვა თუ დიდი დაინტერესება არ გამოუწვევია. მივიღებთ პასუხს იმის თაობაზეც, თუ რა პოლიტიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ზეგავლენა იქონია ამ გადაწყვეტილებამ საქართველოს მოქალაქეებზე.

ეს ნაბიჯი კრემლს შემთხვევით არ გადაუდგამს. ეს მოხდა ზუსტად იმ დროს, როდესაც საქართველო ევროკავშირის მხრიდან კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას ელოდება. ნახეთ, როგორი გავეშებული რეაქცია ჰქონდა რუსეთის ამ ნაბიჯზე აშშ-ის საელჩოს, პირადად ელჩს და ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომიტეტს?! დადებითი რეაქცია რომ არ ექნებოდათ ამაზე ევროპას და ამერიკას, გასაგებია. მათ კრემლის გადაწყვეტილებაში დაინახეს საფრთხე, რომ რუსეთმა არ გამოსტაცოს ევროპას საქართველო თავისი გავლენის სფეროდან! თუმცა, თუკი ისინი იფიქრებენ, რომ საფრთხე რეალურია და საქართველო შეიძლება ევროპასთან ასოცირების ტრიოს მოწყდეს და გადაიხაროს რუსეთისკენ, - გეოპოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება პირიქით, მიიღონ გადაწყვეტილება, მოგვცეს კანდიდატის სტატუსი და ამით, რაღაცნაირად, საქართველო ევროპისკენ შემოაბრუნონ.

- 2024 წელი მნიშვნელოვანი საარჩევნო წელია. ცვლილებებიც უკვე დაანონსდა. მომავალი საპარლამენტო არჩევნები, მეტი გამჭვირვალობისთვის, ელექტრონულად გაიმართება და საარჩევნო ბარიერიც 5 პროცენტი იქნება, რასაც ბევრი პარტია, სავარაუდოდ, ვერ გადალახავს...

- ახალი რედაქციით ასეთი წესია, რომ 2024 წლის არჩევნები ჩატარდება სრულიად პროპორციული სისტემით. ეს იყო შეთანხმების ნაწილი, მაგრამ ახლა ლაპარაკია იმაზე, ბარიერი დავწიოთ თუ არა, რადგან პარტიების უმრავლესობა მას ვერ გადალახავს. გაერთიანდებიან თუ არა მცირე ოპოზიციური პარტიები, ეს მომავლის საქმეა, მაგრამ ამ ეტაპზე მოცემულობა ასეთია, რომ მხოლოდ ორ პოლიტიკურ ძალას აქვს 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსი.

არ მგონია, რომ მმართველი პარტია, პოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარე, 5-პროცენტიანი ბარიერის დაწევაზე წავიდეს, თუ „გარედან“ ძალიან ძლიერი ზეწოლა არ იქნა, - დასავლელ პატრნიორებს ვგულისხმობ.

- ახლახან, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბუდაპეშტში, ყოველწლიურ კონფერენციაზე წარსდგა, სადაც სხვა არაერთ საკითხთან ერთად, ოჯახსა და მის სიწმინდეზე, ქართულ ტრადიციებზეც ისაუბრა. რადიკალებმა მისი სიტყვები კიდევ ერთ რუსულ ნარატივად მიიჩნიეს და ევროპელი პარტნიორებიც გაგვინაწყენდნენ...

- დიახ, პრემიერის ამ გამოსვლის შემდეგ ევროპელმა სოციალისტებმა გადაწყვიტეს, რომ ივნისის თვეში „ქართული ოცნება“ გაერიცხათ ალიანსიდან, თუმცა, მმართველმა გუნდმა დაასწრო და თავად მიიღო გამოსვლის გადაწყვეტილება. ევროპის ლიბერალურ წრეებში, ღარიბაშვილის ასეთი გამოსვლა, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა მოსაწონი, რადგან მათ სხვა ღირებულებები, სხვა ფასეულობები ამოძრავებთ, მაგრამ რას ვიზამთ, არის ასეთი შეუთავსებლობა ჩვენს ხელისუფლებასა და ევროპის ლიბერალურ დაჯგუფებებს შორის. სავარაუდოდ, დასავლეთის ლიბერალური წრეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში არ დარჩეს. ხომ ხედავთ, აშშ-მ გამოაცხადა, რომ საქართველოში საგანგაშო მდგომარეობაა დემოკრატიის მხრივ, „ზომებია მისაღები“ და არ უნდოდათ, რომ ნაციონალები დარჩენილიყვნენ ხელისუფლებაში? კარგად იყვნენ ერთმანეთთან შეთამაშებული და მათი ჩანაცვლება სულაც არ აძლევდათ ხელს, მაგრამ ხალხის ნების წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. დღემდე გაიძახიან ნაციონალები, რომ ნებაყოფლობით გადააბარეს ხელისუფლება, მაგრამ არც მთლად ასე იყო საქმე. ამერიკელი სენატორები ჯინ შაჰინი და ჯიმ რიში იყვნენ შესული სააკაშვილთან და ორი საათის განმავლობაში არწმუნებდნენ მას, ეღიარებინა მარცხი და დაეთმო ძალაუფლება. რაში დასჭირდათ ეს, თუკი ნაციონალები ნებაყოფლობით აპირებდნენ ხელისუფლების გადაბარებას?!

ხალხის ნებაზეა დამოკიდებული, ვინ გაიმარჯვებს. არჩევნები უნდა ჩატარდეს ისე გამჭვირვალედ, რომ არავის ჰქონდეს რამე სათქმელი... იმიტომაც არის სანდო ელექტრონული წესი, რომ ადამიანური ფაქტორის ზეგავლენა მაქსიმალურად მოიხსნას.

ნონა ქარქაშაძე

ამერიკა ქართულ ცნობიერებაზე შტურმით „მშვიდობიან ექსპანსიას“ ახორციელებს



გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:

— ბატონო ელიზბარ, ლომაიას მინისტრობიდან დაწყებულ განათლების სისტემის რეფორმას დასასრული არ უჩანს...

— მთელი უბედურება ის არის, რომ ვერ გაგვიგია, საიდან იღებს სათავეს ჩვენი სამშობლოს წახდენა, ერის მოსპობა და გადაგვარება. ამერიკის დღევანდელი საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს პლანეტარული იმპერიის შექმნას, რისთვისაც უკან არაფერზე დაიხევს.

ჩვენ უძველესი ტრადიციების, ცივილიზაციის შემქმნელი ერი ვართ. შუა საუკუნეებში, როცა არაბები, მონღოლები, სპარსელები გვიტევდნენ, ყოფნა-არყოფნის საკითხი ასე მწვავედ მაშინაც კი არ იდგა. მავანთა ძალისხმევით საქართველო განვითარებად ქვეყანად იქცა და განათლება უნარ-ჩვევების „სწავლებით“ შემოიფარგლა. რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო მეტად ცნობიერი და ზნეობრივია. ადამიანი უფალმა ხატად თვისად შექმნა. მან ხატობა ღვთისა უნდა გაამართლოს. ადამიანის გამო შექმნა ღმერთმა სამყარო. ღმერთი არის სრულყოფილება, მშვენიერება, ჭეშმარიტება, რისი შეცნობაც მხოლოდ ადამიანს ძალუძს. მას აქვს აზროვნების უნარი, ესთეტიკური განცდის ნიჭი. ბოლო დროს კი ადამიანის გაცხოველება ხდება, რა დროსაც იგი რწმენას, ზნეობას კარგავს, ცნობიერება უბნელდება,

ნათელსა და ბნელს ვეღარ არჩევს და ცხოველზე დაბლა ეშვება. სააკაშვილიც ასეთი ცხოველური ნიჭით გახლავთ დაჯილდოვებული.

დღეს გლობალიზაციის, პლანეტარული იმპერიის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ეროვნება, სარწმუნოება გახლავთ, რის წინააღმდეგაც ჩვენი „მეგობარი“ ამერიკა და დასავლეთი ილაშქრებს. ილია ამბობდა: ორი მტერი არსებობს, ერთი ცეცხლით და იარაღით მოდის და მეორე ეკონომიკით, ქვეყანაში მშვიდობიანი გზით გავლენას იხვეჭს, უნდა, შენი განათლება და კულტურა ამოძირკვოს და თავისი დაამკვიდროსო. ამერიკა ბოლო დროს „მშვიდობიან ექსპანსიას“ ამჯობინებს. მიზანი ადამიანის მენტალიტეტისა და აზროვნების სტრუქტურის შეცვლაა, რასაც ის „ცნობიერების შტურმით“ წარმატებით ახორციელებს. შევარდნაძეც ამას ემსახურებოდა, მაგრამ ცნობიერებაზე შტურმი განსაკუთრებით სააკაშვილის დროს დაიწყო. მისი მთავარი ამოცანა აზროვნების ფილტრაცია, ანუ ტვინის გამორეცხვა და „სპექტაკლის“ საზოგადოების დაბადებაა, რის შედეგადაც ადამიანი საღ, კრიტიკულ აზროვნებას კარგავს. ჩვენი განათლება მაშინ დაინგრა, როცა ლომაიამ ავბედითი რეფორმები დაიწყო. განათლება საბჭოთა გადმონაშთიაო თქვეს და განათლების სისტემის რეფორმირება დაიწყეს, რასაც სათავეში თვითონვე ჩაუდგა. სწორედ მან დაიწყო ქართული განათლების განადგურება. ლომაიას დამსახურებით დაიწყო სკოლის პროგრამაზე შეტევა — ყველა ნაწარმოები, რაც მოსწავლეში ეროვნულ ცნობიერებას აღვივებდა, პროგრამიდან ამოიღეს და ამერიკაში ძნელადაღსაზრდელი ბავშვებისთვის განკუთვნილი პროგრამა გადმოიტანეს. წინ წამოსწიეს არა ცოდნა, არამედ უნარ-ჩვევები, თითქოს ეს ბავშვის გონებამახვოლობას, სისხარტეს, სწრაფ აზროვნებას უწყობდა ხელს. სინამდვილეში, კი უნარ-ჩვევები იმ ადამიანებზეა გათ-

ვლილი ვისაც ცხოვრებაში პრაქტიკული ინტერესი აქვს, ცოდნა, განათლება და სულიერი სიმდიდრე კი არა, არამედ ეკონომიკური სიმძლავრე უნდათ.

ლომაიას თეზისი გახლდათ: ჩვენ ამერიკული განათლების პროგრამით უნდა ვისწავლოთო (ჯერ ერთი, იმ დროს ამერიკა განათლების დონით მსოფლიოში 47-ე ადგილზე იყო). ამერიკული განათლების მიხედვით, ადამიანი განათლებული, მაგრამ მორჩილი უნდა ყოფილიყო. ლომაიას „რეფორმიერებულ“ სკოლებში მასწავლებელმაც დაკარგა ფუნქცია — მას უჩივიან, დევნიან, ულახავენ ავტორიტეტს. გვავიწყდება, რა წერია „ახალ აღთქმაში“: შეგირდი ოსტატზე მაღლა ვერასოდეს დადგებაო. ჩვენ კი განგვიცხადეს, მთავარი თავისუფლებაა — საშუალო სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში მოწაფის, სტუდენტის უფლებები უნდა გაიზარდოს, ხოლო მასწავლებლის უფლებები და გავლენა შემცირდესო. ამან განათლების სისტემა თავდაყირა დააყენა. როცა მე ვსწავლობდი სკოლაში, მასწავლებელი წმინდა ადამიანად მიმაჩნდა, მეგონა, საჭირო ოთახშიც კი არ დადიოდა. უნივერისტეტში მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები რომ ჩაგვივლიდნენ, კედელს ვეკვრებოდით. ახლა ხედავთ, რა ხდება? — სტუდენტები ლექტორებს მონებს ეძახიან, უშვერი სიტყვებით მიმართავენ, მერხებზე მაიმუნებივით დახტიან და რას აღარ კადრულობენ. ეს გახლავთ ლომაიას მიერ თავდაყირა დამდგარი განათლების სისტემა. მას მერე არაერთი განათლების მინისტრი გამოიცვალა, მაგრამ დღემდე სწავლება ლომაიას მიერ დაკანონებული წესებით ხდება.

მოდი, გადავხედოთ, რა ხალხი მოვიდა განათლების სამინისტროს სათავეში: ალექსანდრე ლომაია, რომელიც პროფესიით სანტექნიკოსი გახლდათ. მისი სიტყვებია: ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ სკოლებში ისეთ ადამიანებს ვნიშნავთ, რომლებიც სპეციალისტები არ არიანო; მერე მინისტრის სავარ-

ძელი პროკურორმა გვარამიამ დაიკავა, რომელმაც „რუსეთის აგენტებზე“ ფილმები გადაიღო. გვარამია ამაყობდა: ტოლსტოი არ წამიკითხავს და არც წავიკითხავო; მერე მობრძანდა შაშკინი — ციხეების უფროსი, რომელმაც მანდატურის ინსტიტუტი შემოიღო; შემდეგი გახლდათ „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოზრდილი „სოროსის“ საზოგადოების აქტიური მოღვაწე გიორგი მარგველაშვილი, რომელიც ამბობდა: ქართველი ერი არის ავადმყოფი, რომლის მკურნალობა არ შეიძლება. ისინი დეგენერატები, განუვითარებლები არიანო. მან პრეზიდენტად დაწინაურების მერე მინისტრად თავისი ბუღალტერი თამარ სანიკიძე დაგვიტოვა, რომელსაც მეცნიერება და განათლება სხვადასხვა რამ ეგონა. ამის მერე რაღაზე ვილაპარაკო?! ამჯერად ახალი მინისტრი გვყავს, წინასწარ ვერ შევაფასებ. თუმცა მისი წინამორბედი მიხეილ ჩხენკელი, უდავოდ, განათლებული კაცია. მან დიდი შრომა გასწია იმისთვის, რომ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დაბრუნებულიყო. თუმცა, რიგ სკოლებში „დედა ენა“ კვლავ არ ისწავლება, განათლების სისტემაში ლომაიას დანიშნული პირები დღესაც ლაღად გრძნობენ თავს.

რეფორმა უმაღლეს სასწავლებელშიც ჩაატარეს — ყველა პროფესორი განდევნეს და „სოროსის“ ხალხი მოიყვანეს. როინ მეტრეველი, ნოდარ ტაბიძე გააძევეს, სამაგიეროდ, დედა-უნივერსიტეტმა „პროფესორი“ თეა თუთბერიძე შეიძინა. უნივერისტეტი „სოროსის“ გაზრდილებით გაივსო. საოცარია, მაგრამ თავად უნგრეთში — მის სამშობლოში „სოროსი“ აკრძალულია, აქ კი — ჰყვავის! ღირსეული მასწავლებლები გაყარეს და უწიგნურები შეყარეს. გარდა ამისა, ფაკულტეტები მოსპეს, კაბინეტები დახურეს, კათედრები გააუქმეს. უნივერსიტეტი არის სწავლა და მეცნიერება. მათ მეცნიერება, საერთოდ ამოიღეს. მახსოვს, დიპლომს რომ ვიცავდი, 187 გვერდი დავწერე, 160 შრომა მქონდა დასახელებული. დღეს 20-გვერდიან

სადოქტოროს იცავენ, სისულელებს წერენ და დოქტორები ხდებიან. ისეთი წესები შემოიღეს, სტუდენტები დეკანებად დანიშნეს. ბოლოს ლომაია მეცნიერებათა აკადემიას მიადგა და საბჭოთა გადმონაშთად მონათლა. მეცნიერება საერთოდ გაანადგურეს — ყველა ინსტიტუტი სისტემიდან გაიყვანეს, შენობები გაყიდეს, კადრები შეამცირეს. ამ „რეფორმებმა“ სამი ათასამდე დიდი მეცნიერი უმუშევარი დატოვა. ბოლოს, ჩვენი ლომაია მიადგა აკადემიას და დაშალა, დაანგრია. დღეს ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა დასავლეთში გარბის, რადგან ქართველ მეცნიერ-მუშაკს დღეს ხელფასი 400 ლარი აქვს, დამლაგებელს 800 ლარი, მძღოლებს კი — 1500. ამიტომ ნიჭიერი ბავშვი აქ არ ჩერდება. უცხოეთში განათლებას კი იღებს, მაგრამ ქართულ სულს, ტრადიციებს კარგავს. მთელი უბედურება ისაა, რომ დღეს ჩვენ ეროვნული გადაგვარება გველის, რასაც ებრძვიან ღარიბაშვილი, კობახიძე, „ხალხის ძალა“. ჩვენ ისტორიულად ყველაზე მცირერიცხოვანი, მაგრამ ყველაზე დიდი, ევროპის წინარე კულტურის ხალხი ვართ, რომელიც ჩვენ შევქმენით. ეს არავის აინტერესებს. გახსოვთ, როგორ ანგრევდა საკაშვილი ძეგლებს, ამისთვის ქუთაისის მაგალითიც საკმარისია. ის ამბობდა: საქართველოს ისტორია ჩემგან იწყებაო.

— ახლა ახსენეთ, პრემიერ ეროვნული გადაგვარების წინააღმდეგ იბრძვისო. სხვათა შორის, სწორედ მან თქვა: ქართველი ერის სულიერი ამაღლება დიდგორიდან იწყებაო...

— დიახ, მან პირველი პრემიერობისას თქვა, რომ ოჯახი ქალი და კაცია, ქალი — დედაა, მამა კი — კაცი. ასევე, ახლა თქვენ ახსენეთ: განათლება დიდგორიდან უნდა დაიწყოსო, ამაში ქართული ტრადიციების არმოშლა იგულისხმება. ცოტა ხანი განათლების მინისტრი მეც გახლდით და მაქსიმალურად ვცდილობდი, ჩვენი ტრადიციული განათლების ფესვები არ დაგვეკარგა. ამ სფეროში სიახლე შეგვეტანა, მაგრამ ეროვნულ

ფესვებზე დაგვეფუძნებინა. ახლახან ღარიბაშვილმა უნგრეთში ისეთი მოხსენება წაიკითხა, ამაყი ვიყავი, რომ ქართველი ვარ. „ქართული ოცნება“ ერთადერთია, რომელიც ქართულ ცნობიერებას, კულტურას, ტრადიციებს და ა.შ. იცავს. ნაცების და მათი მიმდევრების ე.წ. პოსტლიბერალური პოლიტიკა კი მიმართულია იქითკენ, რომ უფლის სიყვარული, რწმენა, ზნეობა წაგვართვან. ეს პროცესები მიმართულია იქითკენ, რომ ქართველმა ერმა თავისი სახე დაკარგოს. განათლების მოსპობაც ამ პროცესის ნაწილია. იმედია, ქართველი კაცი თავის სამშობლოს, ქვეყანას, ტრადიციებს არ უღალატებს. **მათ, ვინც სამშობლოს ყიდის, რადიკალური ოპოზიციაკი არა, პირდაპირ თავიანთი სახელი — საქართველოს მტრები უნდა ვუწოდოთ. ხაზგასმით ვამბობ: არავითარი რადიკალური ოპოზიცია არ არსებობს, არსებობენ სამშობლოს მოყვარული ადამიანები და არსებობენ საქართველოს მტრები.**

— ევროპამ ღარიბაშვილი უნგრეთში კონფერენციაში მონაწილეობის გამო, რომლის დევიზი — ღმერთი, სამშობლო, ოჯახი იყო, გაკიცხა და არც მუქარამ დააყოვნა: სტატუსს დაემშვიდობეთო...

— ეს ის ევროპა აღარ არის, რომლისკენაც მივილტვოდით. ევროპამ კულტურა, ტრადიციები დაკარგა. ამაზე უამრავი შრომა არსებობს — „ევროპის დაცემა“, „ევროპის სიკვდილი“ და ა.შ. ჩვენი მთავარი პრინციპი ესაა: სამშობლო, რწმენა, ოჯახი, რაც ღარიბაშვილის გამოსვლას ლაიტმოტივად გასდევდა. თუმცა მავანისთვის მიუღებელია ქალი — დედა იყოს და მამა — კაცი. ბავშვებს ცნობიერებას საბავშვო ბაღიდანვე უბინძურებენ. რიგ ბაღებში ბიჭებს თოჯინებს აძლევენ რომ ითამაშონ. ეს შეგნებულად ხდება. ვინც ბაღში, სკოლებში ამის აგიტაციას ეწევა, ის დასაჭერია, ხოლო დაწესებულება — დასახურია.

თამარ ჯველიძე
555 23 28 24

რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...

რა განათლებას მისცემენ ისეთი მასწავლებლები, როგორიც მიხეილ ყაველაშვილის შვილის მასწავლებელი აღმოჩნდა, ან გიგი თევზაძის მსგავსი რექტორები, შობა რომ „რუსული ნარატივი“ ჰგონია და სტუდენტებს ჩააგონებს, ჩვენი ყველა წინაპარი კანიბალი იყოო; ან ლევან ბერძენიშვილის მსგავსი ლექტორები, რომელმაც კუდი აუწია მას, „დააზუსტა“, ხევსურები იყვნენ კანიბალებიო და თან ვაჟას, ილიას, ერეკლე II-ს და, ზოგადად, ყოველივე ქართულს აკნინებს. ბატონი ბერძენიშვილი ქართულ სისხლზეც აგდებით საუბრობს, ჩვეულებრივი სისხლი აქვს ყველასო — თითქოს არ იცის, ამ შემთხვევაში რაზეა საუბარი და ღმერთის არარსებობას ცაში სიცარიელით ხსნის, აბა, სად არის ცაში ღმერთიო.

ხვიჩა კვარაცხელიას, როგორც ფეხბურთელს, მხოლოდ ყველა ნამდვილი ქართველი კი არა, მსოფლიო შესაციცინებს, უსახური შარახვეტია, ვინმე ნოდარ ლადარიამ კი სოციალურ ქსელში საქვეყნოდ დაწერა: „მთელი ნეაპოლი მოხუცი ქართველი ქალების ნაპატრონებია, დიდება კი მაინც ვიღაც შარახვეტიას შეხვდა“. ან იგივე „ილიაუნის“ ლექტორმა გიორგი ტაბატაძემ რა უნდა ასწავლოს სტუდენტებს სიძულვილის გარდა, რომელიც ასევე სოციალურ ქსელში საქვეყნოდ წერს ლაშა ტალახაძეზე: „პოლიტიკა და სპორტი ერთი და იგივეა, ლაშა ტალახაძე კი ქოცია, ქოცი კი რუსია. შესაბამისად, არაფერი გასახარი და მისალოცი მის ჩემპიონობაში არ არის“.

მხოლოდ ერთეულები ვახსენე — განათლების სისტემა კი გადავსებულია ამგვარი „მასწავლებლებით!“ სამწუხაროდ, სწორედ ის მივიღეთ მათ მიერ „განათლებული“ ახალგაზრდებისგან, რაც ბატონმა ლევან ადეიშვილმა დაუფარავად თქვა.

ლევან ადეიშვილი (ტექსტი მოტანილია მცირედი შესწორებით. ავტორის სტილი შენარჩუნებულია): „დაგპირდით, მომიტინგე ახალგაზრდებზე დავწერო და გული არ მიმიდიოდა, მაგრამ მშობლების თუ სხვა პირთა აღტაცებულმა პოსტებმა მომიყვანა ხასიათზე — „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ არაფერია იმ ხოტბასთან შედარებით, რაც ამ ბანდერლოგებს აღუვლინეს. დალეწეს პარლამენტთან ყველაფერი. იქვე პარლამენტთან კი არა, პუშკინის სკვერის ქუჩის ქვევით, კოლმეურნეობის მოედანზე მდგარ სამგზავრო ავტობუსებს ისეთი ავადმყოფური აღტკინებით ესროდნენ ქვებს, თითქოს წყლის გადამკეტ გველეშაპს კლავდნენ...

შებღალეს ეკლესიის შენობა! ჯვარი!

განათლებულები კი არა, მოკლე და მახინჯ კლიშეებჩაკეტილი არიან; მოაზროვნენი და იდეურები კი არა — ზომბები; პროგრესულები კი არა, მართლა ბნელები და თვალსაწიერგაყინულები...

სხვადასხვა კატეგორია იყო: 1. ერთნი, ახალგაზრდული მაქსიმალიზმით გატენილები, რომლებსაც ნგრევის მანიაში გადაუვიდათ თავისუფლების ის ვულგარული გაგება, რასაც დღევანდელობა სთავაზობთ. ამ კატეგორიიდან გამოდიან;

2. ეს უარესი ფენაა. ესენი არიან აბსოლუტურად დაზომბირებული ნეობოლშევიკები! იდეურები, რომლებსაც საკუთარი ერი სძულთ, რადგან ვერ პასუხობენ იმ „ნათელ იდეებს“, რასაც ნეოლიბერალიზმი სთავაზობთ. ამიტომ, ისეთივე გაშმაგებით იბრძვიან უცხო იდეოლოგიისთვის, როგორც კომკავშირლები ანგრევდნენ ეკლესიის გუმბათებს. აქედან იზრდებიან „ბოკერიები და რამიშვილები;“

3. ეს ფენაა ზოგადად ახლისმოყვარული და კლასიკური ახალი თაობა. არცკი გაიაზრებენ, ისე შეუტევენ „მამათა თაობას“. მათ სჯერათ, რომ ნებისმიერი ახლადშემოთავაზებული იდეა ასატაცებელია და პროგრესულია. ამიტომ, ევროპა და დასავლური კულტურა კრიტიკის გარეშე მიიღეს და აქციებზე სიარული მათთვის კარგი ტონია;

4. ყველაზე გარეწარი ფენაა! ნჯო-ებსა თუ სხვადასხვა ფონდებში თავშეფარებული, კარგი ცხოვრების მოყვარული, გრანტებზე გაწუწკებული, თვალ- და გულგაციებული ახალგაზრდები არიან. აქედან გამოდიან ისეთი კარიერისტები, ყველას და ყველაფერს რომ გადათელავენ კიბეზე ასვლისას. ვინც დიდ ფულს იშოვის, „ჭყონიები და ოქრიაშვილები“ გამოდიან, პოლიტიკაში კი — „სამადაშვილები.“ საზღვარგარეთ, მაგალითად, მაკრონი და კანადელი ტრიუდო გამოდგებიან. რასაც გინდა, იკადრებენ, ყველაფერს, რასაც უბრძანებს მომთრევი ფარული ძალა, ოღონდ იპოზიორონ, სამთავრობო სასახლეებში იცხოვრონ და სამიტებზე სამარიაჟოდ იარონ თავის მსგავს გარეწრებთან ერთად;

5. ესაა ფენა „ხუი ევო ზნაეტ“ ტიპები, რომლებიც ერთად არიან ნაზავი არშემდგარი მსახიობები, კოლორიტობა-ცნობადობაზე დახამებულები, რომლებსაც „პაკაზუხობა“ და ამპარტავნობა სნობობასთან აქვთ არეული. ასეთი მიტინგები მათთვის სცენაა, სადაც ან წყლის ჭავლის წინ დასხდებიან რაფინირებული დუელიანტის უდარდელი სახით, ან პოლიციელებს ახტებიან ფარებზე, ან დროშას დააგდებენ გამომწვევად — მოკლედ, კამერაზე და გოგოშკების თუ მათივე ამქრის პუბლიკაზე მომუშავეები, რომლებსაც ის შარდი, რაც ძარღვებში უდუღთ, მაჭარი ჰგონიათ! მიტინგი, კამერა და ისტერია, როგორც საშუალება ცნობადობის მოპოვებისა და შემდგომი შემოთავაზებებისა მსგავს ტიპაჟებზე მონადირეებისგან;

6. ყველაზე საზიზღარი ფენა, რომელსაც ევროპა იქ და აქაც უნდათ, როგორც ყოველგვარი სექსუალური პერვერსიების ნებადამრთველ, გარყვნილების, ნარკოტიკების, თავაშვებული ცხოვრების სიმბოლო და ნების მომცემი. ეს ფენა ყველაზე გააფთრებით იბრძვის აქ ევროპაში შემოსვლაზე თუ იქით სვლაზე. ამ ფენაში უმეტესობას ჰგონია, რომ „იქ“ მილიონერები გახდებიან; კერძო და დიდი ბრუნვის კომპანიები ექნებათ; ლიმუზინებით ივლიან; კოკაინს შეიყნოსავენ გაბმულ წვეულებებზე; მოდელებს გაჟიმავენ, ან „ფლეიბოები“ გაჟიმავენ მათ... არადა, მილიონიდან ერთსაც არ აქვს მსგავსი შანსი.

ძალიან ცოტა ერიევნენ ისინი, ვინც გულწრფელი იყო. მათ თუ კარგად აუხსნი, მიხვდებიან, საით მიაქანებენ იმ ევროპას მსოფლიოს ფარული მმართველები... რომ იმას, რასაც ხედავენ, ძველი დიდებიდან გადმოყოლილია, ჯერ კიდევ კარგად და მაძღრად რომ ბრჭყვიალებს...

მთავარი დამნაშავეები ჩვენ ვართ!

ჩვენი უნიათობითა და მედღეხვალიობით მივაგდეთ ჩვენი შვილები ათასგვარ უნივერსიტეტებში თუთბერიძის, ზედანიას, ნოდიას, მაისურაძისა და მსგავს პერვერტ პროფესორებს, რომლებიც უშუალოდ თუ ირიბად იმართებიან ათასგვარი ფონდებიდან და „სპეცებიდან“, რათა ემსახურონ არა საკუთარ სამშობლოს, არამედ სხვა ქვეყნების ინტერესებს...

რა თქმა უნდა, ყველას ვერ გამოვგლეჯთ იმ პარადიგმას, სადაც პერვესიულობა, უზნეობა, უგემოვნობა და სხვა სიშლეგეებია წახალისებული, მაგრამ უნდა ვეცადოთ და არ დავნებდეთ, რადგან აქ ფიზიკური ცხოვრებით არ მთავრდება ადამიანი — ერთი გადარჩენილი ბავშვიც კი მთელი სამყაროა!

იქნებ, მიხვდნენ მაინც, მერამდენედ გამოიყენეს პოლიტიკოსებმა...“

განათლების სისტემის ვითომ რეფორმა და ახალგაზრდა თაობებისთვის განათლების მიმცემი პროფესორ-მასწავლებლების ჩარეცხვა სხვა შედეგს ვერც მოიტანდა...

საგანგაშოა, რომ ასეთ ახალგაზრდებს კონვეირულად უშვებს ქართული განათლების სისტემა და პროპაგანდის ამერიკული ფაბრიკა. შედეგად მივიღეთ ზომბირებული, ცრუსწავლებითა და ყალბი ფასეულობებით გამოყვანილი გამოთაყვანებული ახალგაზრდობა. „ახალგაზრდობის“ შესახებ ყბადაღებული ფრაზები უკვე გამაღიზიანებელი გახდა, რადგან „ახალგაზრდებში“ გულისხმობენ არა საღად მოაზროვნე, ოჯახში აღზრდილ გოგო-ბიჭებს, არამედ ნაცდასავლეთის მიერ გამოწვრთნილ აგრესიულ ფარას, რომელთაც, ხელისუფლების ლოიალობის გამო საკმად დიდი ხანია, თავზე აქვთ ხელი აღებული და ადამიანების ცოცხლად დაწვასა და ნგრევაზე გადავიდნენ.

„... რატომღაც ვამაყობდი თანამედროვე საზრიანი ახალგაზრდებით. მეგონა, რომ კრიტიკული აზროვნებით ჩვენზე მეტად დაჯილდოებულნი არიან — გადამოწმება უყვართ-მეთქი: ხომ არ „გვაბოლებენ“, ხომ არ გვიყენებენ, ხომ არ მანიპულირებენ ჩვენით...

ვცდებოდი! გაუმაძღარმა, უსამშობლო დამკვეთებმა გამოგიყენეს და უხერხულ მდგომარეობაში მიგატოვეს.

იმედია, კითხვა მაინც გიყვართ, რა თქმა უნდა, ინგლისურად! მაშინ შემოგთავაზებთ ცნობილი ინგლისელი პუბლიცისტის, დუგლას მიურეის 2019 წლის ბესტსელერს „თჰე Madნესს ოფ Gროწდს: Gენდერ, ღაცე ანდ Iდენტიტყ“ („ბრბოს სიგიჟე“), ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით ავტორის პიროვნების თვალსაზრისით: იგი ანგლიკანური ეკლესიის კურსდამთავრებული ათეისტი და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის კონსერვატორია. ეს მაინც წაიკითხეთ, თორემ „სიბრძნე სიცრუისა“ ან „სახარება“ რომ შემოგთავაზოთ, ხომ „იავნათ“ რუსული ნარატივია... “ (დავით ქართველიშვილი)

სხვის დაკრულზე ცეკვით რამდენიმე თაობა დავკარგეთ, დაწყებული აფხაზეთის ომიდან, 2000-იანი წლებიდან ნარკომანიის მორევში, პოლიტმორევში, ახლა, ყველაფერთან ერთად, უწიგნურობის მორევია და განათლებული მომავალი თაობების გარეშე მეტი გაძლება შეუძლიაღა ამ პატარა საქართველოს?

ოჯახის რეფორმას ვერავინ მოახდენს, ისეა დეფორმირებული; ვერც ვერავის მშობელს ვერ აღვზრდით ასაკიდან გამომდინარე, მანამდე უნდოდა აღზრდა მშობელს, მაგრამ გაუზრდელი მშობლების ჯერ კიდევ ხალასი შვილების გადარჩენა ხომ შესაძლებელია... პორნოს ყურება, „სელფების“ გადაღება, შუა თითების აშვერა ბილწსიტყვაობის დართვით და მხოლოდ ინგლისური ენის საყველპურად ცოდნა არც ევროპული განათლებაა, არც ამერიკული და არც მარსიანული — პლინტუსსქვემოთ მდგომარეობაა, მაგრამ ამას როგორ მიხვდება გაუნათლებელი და ყოვლად უწიგნური მოზარდი? წიგნში ხომ უნდა ეწეროს ის, რაც მოზარდს დააინტერესებს — სად არის ასეთი სახელმძღვანელოები? ამჟამად უკვე შვილიშვილების წიგნებში ვიხედები და მათი დანახვა მეც კი არ მინდა, წიგნთან შეუთამაშებელ მოზარდი რამ უნდა დააინტერესოს...

განათლების რეფორმა! სასწრაფოდ!

„განათლების რეფორმის“ დროს დაშვებულმა შეცდომებმა შედეგად მოგვიტანა ის, რომ მოზარდები უკვე ნაკლებად ამჟღავნებენ ცოდნის შეძენის სურვილს. სამეცნიერო მოღვაწეობა არაპრესტიჟულად მიაჩნიათ, რადგან ხედავენ, რომ ინტელიგენციას სათანადო დაფასება არა აქვს (ისინი ხომ საშუალო ფენის დონეზეც კი ვერ ინახავენ ოჯახს). ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. მეცნიერების განვითარების გარეშე ქვეყანას არა აქვს მომავალი, რადგან ერის სულიერებისა და განათლების ერთ-ერთ უმთავრეს ძალას სწორედ ისინი წარმოადგენენ“ (ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. საშობაო ეპისტოლე. 2010 წელი).

ნამდვილად არ მესმის, რატომ არიან ერთმანეთის დასანახად ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთი სიგრძე სანთლებით ეკლესიის კართან აკრულები, როცა პატრიარქის სახელმწიფოებრივი შეგონებანი სახელმწიფო დონეზე არ განიხილება?

უამრავი ისეთი მაგალითის დასახელება შემიძლიაჩემი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც განათლების სისტემის რეფორმის აბსულუტური კრახის დასტურია და სასწრაფოდ შველას ითხოვს.

ყველამ კარგად ვიცით, რა სენი გვჭირს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, განათლების ახალმა მინისტრმა უკვე დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა განათლების სისტემის გასაჯანსაღებლად. იმედია, მისი ძალისხმევა შედეგს გამოიღებს, ჩვენ კი ჩვენ წილ მხარდაჭერას ვპირდებით...

ნინო დაუშვილი

კელი დეიდა პიონერხელმძღვანელივით ჭკუას გვარიგებს

გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, ანალიტიკოსი
მაია ნიკოლეიშვილი:

— ქალბატონო მაია, საქართველოს მოქალაქეებისთვის 15 მაისიდან რუსეთში საავიზო რეჟიმზე აკრძალვა იხსნება, ასევე, ფრენებზეც. ოპოზიციამ რუსეთის მოქალაქეებისთვის სანქციების დაწესება მოითხოვა. ეს ხომ რუსეთისთვის ეკონომიკური ომის გამოცხადების ტოლფასია?

— ოპოზიცია ახსენეთ, მაგრამ, სინამდვილეში, ჩვენ ასეთი გაერთიანება არ გვყავს. ე.წ. ოპოზიციონერები პოლიტიკოსები კი არა, კარგად გაწვრთნილი თავდამსხმელები არიან, რომლებიც დამკვეთის ბრძანებას ასრულებენ. მათი ძველბიჭური გამოსვლები საერთოდ გამაოგნებელია. ვის ვუწოდებთ დღეს ოპოზიციას — მასკულინურ, მოძველბიჭო ქალებს და მათ ზურგს უკან მდგომ ფემინურ მამაკაცებს?! პოლიტიკოსმა საზღვარზე შარვალი უნდა ჩაიხადოს?! ისინი ჩვეულებრივი მავნებლები, დაკვეთის შემსრულებლები არიან. გახსოვთ, რა დღეში იყვნენ ეს ე.წ. ოპოზიციონერი „ქალბატონები“ პარლამენტში „ფარას“ კანონპროექტის განხილვისას — სრულიად შეშლილები, აბსოლუტურად ეგზალტირებულნი, განძარცვულნი, ისტერიული ორღობის ქალებს ჰგავდნენ. არ იკითხავთ, ქურდად ვინ უზით? — კელი „გარაჟსკი“, იგივე, „დიღომსკი“. აშშ-ის ელჩი „გარაჟების“ საქმეში რომ ჩაერევა, ე.წ. ოპოზიციისგან რაღა უნდა გაგიკვირდეს. დეგნანი ამ ბანაკის პიონერხელმძღვანელია. გახსოვთ, ბოლშევიკების დროს რთულად აღსაზრდელ ქუჩის ბავშვებს მაკარენკომ სკოლები რომ შეუქმნა. აი, დღევანდელი ოპოზიციაც სწორედ იმ სკოლების ძნელად აღსაზრდელი, უკვე გადამწიფებული ბავშვები არიან. მოკლედ რომ ვთქვა, ისინი ჩვეულებრივი „ფეზეუშნიკები“ არიან. რაც შეეხება უვიზო რეჟიმს და ფრენების აღდგენას, დადებითი მოვლენაა. ქვეყნის ავტორიტეტი მით უფრო მატულობს, რაც მეტ სახელმწიფოსთან აქვს უვიზო რეჟიმი. ფრენების აკრძალვა ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დამამცირებელი იყო. ბოლო პერიოდში ყოველთვის დასავლეთის იმედად ვიყავით, თუმცა რა მივიღეთ — თუ ადრე ჩვენს მიმართ თაფლაკვერის და მათრახის პოლიტიკას იყენებდნენ, ახლა ყველა პარტნიორმა მხოლოდ მათრახის პოლიტიკა გამოიყენა. ევრობიუროკრატიამ არაფრის მაქინისი კანდიდატის სტატუსის ღირსიც კი არ გაგვხადა. ეს დამამცირებელი იყო. დეგნანი პიონერხელმძღვანელივით ჭკუას გვასწავლის, თან ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობს. ის ქართველი ხალხი, რომლის სახელითაც დეგნანი ლაპარაკობს, ბუნებაში არ არსებობს. სამწუხაროდ, დასავლეთის მიმართ შექმნილი ილუზია დაინგრა. აშშ-ში ოთხჯერ ვიყავი, მაგრამ მე სულ სხვა ამერიკა მაქვს ნანახი. დეგნანი გვაშინებს: რუსეთთან სავიზო რეჟიმი გაუქმდა, მილიონ რუსს ბილეთები ნაყიდი აქვს და საცხოვრებლად აქ მოდისო. როგორც ჩანს, თავად სჭირთ რუსოფობია, სამკურნალონი არიან. რეალურად, საქართველოში მილიონი რუსი ტურისტი თუ შემოვა, ფრენების აღდგენაც სერიოზულ ეკონომიკურ შედეგებს მოგვცემს და საქართველოც ამოისუნთქებს. ამერიკამ უვიზო რეჟიმი მოგვცა კი არა, ძაღლადაც არ ჩაგვაგდო. „კეთილ“ პროექტებში ჩადებულ თანხებს კი ახლა კელი დეგნანი გვამადლის. ჩემი ახლობელი დეგნანს იმერულად კელიელეს ეძახის და მეც ასე მოვიხსენიებ. კარგი იქნება, თუ ამერიკაც მოგვცემს უვიზო რეჟიმს და პირდაპირ ფრენებს დანიშნავს, ეს ყველაზე მცირეა, რისი გაკეთებაც აშშ-ს საქართველოსთვის შეეძლო. მათ მიერ ბოძებული გრანტებით არცერთი საწარმო არ აშენებულა, პირიქით, ინდუსტრიის განვითარებას კრძალავდნენ. როცა უვიზო რეჟიმის აღდგენაზე ინფორმაცია გავრცელდა, აღმოვაჩინე, რომ ჩემს გარშემო ყველა აღფრთოვანებული და კმაყოფილი იყო. დასავლეთი ჩვენ მიმართ წნეხს ახორციელებს, ქართველ ხალხს ამცირებს და ეუბნება, რომ რუსეთის მიერ ფრენებზე აკრძალვის მოხსნას ცუდი შედეგები მოჰყვება. ამის საპირწონედ დასავლეთის არჩევანი სალომე სამადაშვილი, ელენე ხოშტარია, გირჩი ჩახდილი, პაატა მანჯგალაძე და მათი მსგავსი „დიდი პოლიტიკოსები“ არიან. დღევანდელი ამერიკა უგუნურ პოლიტიკას ეწევა. ევრობიუროკრატიაზე აღარაფერს ვამბობ — ჩვენი უფროსები ფოტიგები, კუბილიუსები, ფონ კრამონ დოლ-გარმონები გახდნენ. დელიკატურობას მაინც მოუხმონ და ნუ გვამცირებენ. თუმცა ამას ვერც ხვდებიან, რადგან მათში კოლონიალური გენი დევს და სხვაგვარი ურთიერთობა არ შეუძლიათ. ამიტომ საკუთარი ავტორიტეტი თავადვე გათელეს. ისევ სანქციების დაწესებით გვემუქრებიან, რადგან მათ არც მეგობრობა იციან, არც სტრატეგიული პარტნიორობა, არც პრაგმატული პოლიტიკა და თუ ცალ ფეხზე არ იხტუნავებ, გრანტებს არ მოგვცემენ. თან, თურმე ამით ბედნიერიც უნდა იყო. იმდენსაც ვერ ხვდებიან, რომ სწორედ მათრახის ქნევით დაკარგეს მთელი აზია, ვასალის ვასალს რა უნდა მოსთხოვო — ევრობიუროკრატია ხომ ამერიკის ვასალია. ამერიკელები ჩვენი პრეზიდენტის ჯანმრთელობაზე წუხან. არ სჯობს, თავისას მიხედონ?! სადღაა ქვეყნის დიდება. დღეს ჩვენს ხელისუფლებას ნერვების ომში ყოფნა უწევს. ჯერჯერობით, მან ყველა ნაბიჯი სწორად გათვალა. იმედი მომეცა, რომ სამართებლის პირზე უსაფრთხოდ გავივლით. ბევრი სირთულეც იქნება. პირდაპირ ვამბობ: ანგლოსაქსურ პოლიტიკაში ალცჰაიმერის ნიშნების კლინიკური სურათი იკვეთება. ჩვენ უნდა ვეცადოთ, როგორმე გადავრჩეთ. რუსეთთან მიმართებით სუბიექტური დამოკიდებულებაც მაქვს, წლების განმავლობაში პეტერბურგში ვცხოვრობდი. დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. ჩემს უფროს ქალიშვილს ნანახი აქვს, ხოლო უმცროსს — არა. ახლა იმედი გამიჩნდა, რომ ამ სასწაულს უმცროს ქალიშვილსაც ვაჩვენებ. რითაც მე კულტურული შოკი მივიღე — ესაა პეტერბურგი და ვენეცია. თუკი აქამდე სამედიცინო პრობლემების გადასაჭრელად თურქეთში მივდიოდი, ახლა პეტერბურგში წავალ. ბოლო-ბოლო იქ თარჯიმანი მაინც არ დამჭირდება, რუსულიც ისევე ვიცი, როგორც ქართული. ჩვენ და რუსებს საოცრად მსგავსი ემოციები გვაქვს. ამერიკას ფუკუიამა დაემართა, ამ ცივილიზაციის აღსასრული დადგა. მათ ფასეულობებს ვეღარ ვიგებ. თუ ტრამპმა ან მისი ტიპის ადამიანების ხედვამ ამერიკა არ გადაარჩინა, არ ვიცი,

რა იქნება. ვერ ვხვდები, ის რა ამერიკაა, რომელიც ევროპას ასე იმეტებს. მგონია, რომ ამერიკას გეგმა ჰქონდა, რუსეთი და ევროპა ერთად დაესუსტებინა, ემართა რუსეთის უზარმაზარი რესურსები და ევროპისთვისაც ლაგამი ამოედო. ეს ორი პროცესი პარალელურად უნდა წარმართულიყო. დარწმუნებული ვარ, ამერიკას ვერაფრით წარმოედგინა, რომ რუსეთისთვის სანქციების დაწესება მის ეკონომიკას არ გაანადგურებდა. ამ დროს პირიქით მოხდა. სანქციების დამწესებლებმა კისერზე ყულფი თავად ჩამოიცვეს. ჯოზეფ ბორელმა თქვა: ჩვენ ეს ზამთარი გვეგონა რთული, მაგრამ შემდეგი უარესი იქნებაო. ევროკავშირის მთავარი დიპლომატი გებელსის სიტყვების ციტირებას ახდენს: კი, ზარბაზნებს კარაქი მირჩევნა, მაგრამ თუ ზარბაზანი არ გექნა, შეიძლება კარაქი წაგართვანო. ვერ ხვდებიან, რომ მათთვის და განსაკუთრებით, გერმანიისთვის კარაქი ბარენცის ზღვაში აფეთქებული ნავთობსადენები იყო. დიახ, ეს იყო ევროპის კარაქი — იაფი ენერგომატარებლები, რომელსაც რუსეთიდან იღებდა.

— მავანი ამბობს, რომ რუსეთთან ფრენების აღდგენით საქართველოს სუვერენიტეტს საფრთხე ექმნება...

— აშშ-მ, მისმა ელჩმა კელიელამ, საკუთარი ქცევებით ჩვენი სუვერენიტეტი ფეხქვეშ გათელა. იგი საქართველოს საქმეებში აქტიურად ჰყოფს ცხვირს, მათ შორის, არეულობის, გადატრიალების მოწყობასაც მწვანე შუქს უნთებს. სუფთა მაფიოზია. ამის მერე ფრენების აღდგენის გამო სუვერენიტეტის დაკარგვაზე სასაუბროდ ენა როგორ უბრუნდებათ?! მადლობა ღმერთს, საქართველოს ხელისუფლებამ გაბედა და თქვა: ჯერ ხალხის ინტერესია უპირველესი და მერე სხვა დანარჩენი. უკრაინაში ომია გაჩაღებული, თუმცა დღემდე რუსეთთან უვიზო მიმოსვლა აქვთ. ეს რას ნიშნავს? უკრაინელებისთვის შეიძლება უვიზო მიმოსვლა და ჩვენთვის არა?! ისრაელისთვის, მოლდოვასთვის, თავად მათთვისაც უვიზო მიმოსვლა ნებადართულია და მაინცდამაინც აქ უნდა იყოს აკრძალული?! ეს რა ლოგიკაა. თვითონ რომ არიან გონებაშეზღუდულები, ჩვენც ასეთები ვგონივართ. გახსოვთ ისიც კი არ იცოდნენ, რომ რუსეთს აქ ელჩი არ ჰყავს!

— რამდენიმე დღის წინათ სტრასბურგმა საქმეზე — საკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, მას ვარშავაში სამკურნალოდ გადაყვანაზე უარი უთხრა...

— დიახ, რაც სწორი გადაწყვეტილებაა. გახსოვთ, რა თქვა საქართველოში ყოფნისას ვიოლა ფონ კრამონმა: დასკვნა არ მაინტერესებს, მე თავად ვნახე, მიშა როგორი გამხდარიაო. არადა, სიგამხდრეს უამრავი მიზეზი აქვს. თუმცა, ეს მათ საერთოდ არ აინტერესებთ. ასე უნდათ და მორჩა. აი, სად იკვეთება სუვერენიტეტის შეზღუდვა, შელახვა და შეურაცხყოფა. ჩვენს დამოუკიდებლობაზე ხომ კუბილიუსიან-ფოტიგიანად ყველამ ფეხები შეიწმინდა! მათ ეგონათ, როგორც სააკაშვილის დროს ხდებოდა, ყველა მათ ბრძანებას ხელისუფლება უსიტყვოდ აასრულებდა. ჩვენ ახლა სუვერენიტეტის მოპოვების პროცესში, მისკენ მიმავალ გზაზე ვდგავართ. მიხარია, ბედნიერი ვარ, როცა ვისმენ: ხელისუფლება ქართველი ხალხის საწინააღმდეგოს არაფერს გააკეთებს. პირველად 30 წლის განმავლობაში ვიცი, რომ ეს ცარიელი სიტყვები არ არის, ამის უკან დიდი შრომა დგას, რის გამოც ძალიან ამაყი ვარ.

— „გორბის“ კვლევებით, მოსახლეობის 53% სწორედ ხელისუფლებას უჭერს მხარს. რაც მთავარია, 82%-ს ომი არ სურს...

— დიახ, „ფეზეუშნიკებს“ უფრო და უფრო ნაკლები ამომრჩეველი რჩებათ. „გორბის“ კვლევებით, მოსახლეობის 82% ომის წინააღმდეგია. ეს ბევრი ე.წ. ოპოზიციონერის აზრიცაა. საზოგადოება ამ ყველაფერს გრძნობს. ხალხი ხვდება, ასაკით დიდი, მაგრამ ძნელად აღსაზრდელი „ფეზეუშნიკები“, შეშლილი ლიდერები სისულელეზე სისულელეს რომ ამატებენ. საინტერესოა ხელისუფლების მხარდამჭერთა ციფრიც, რომელიც 53%-ს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება სწორ პოლიტიკას ატარებს, რაც ხალხს მოსწონს. ე.წ. ოპოზიციამ უნდა გააანალიზოს, რომ ხალხი მათ პოლიტიკოსებად არ მიიჩნევს და აქედან მომდინარეობს ეს 82%-ც. საზოგადოების ნაწილს საკუთარი აზრი უყალიბდება, რაც ამ ლიდერების პოზიციებს აბსოლუტურად აცდენილია, რადგან მათი პოზიცია ქართულ საქმეს არ ემსახურება და არც ქართველი ხალხისთვის არის მისაღები.

— როგორც ჩანს, ოპოზიცია სავიზო რეჟიმის გაუქმებას კვლავ რევოლუციის მოსაწყობად გამოიყენებს. ორიოდე დღის წინათ ექსპერტმა ხუხაშვილმა ღია ეთერში განაცხადა: ხალხი ლოზუნგით: არა — რუსეთს! გარეთ უნდა გამოვიდეს. მით უმეტეს, რომ 26 მაისი მოდის, რაც რუსეთის იმპერიიდან გამოსვლის სიმბოლოაო...

— კი, ბატონო, ე.წ. ოპოზიციას ეს დავალება მიცემული აქვს. დასავლური „კონტრნასტუპი“ და ამათი რევოლუცია ერთი მთლიანი ჯაჭვია. სხვა აღარაფერი დარჩათ. სინამდვილეში, ეს ერთი მუჭა ხალხია, რომლებიც ბავშვების იმედად დარჩნენ. ხელისუფლებამ ბოლო დროს ბევრი სიმართლე თქვა. „ხალხის ძალამაც“ დაიწყო იმის გახმოვანება, რაც ადრე დაფარული იყო და დიპლომატია გულისხმობდა, რომ ეს არ უნდა თქმულიყო. ფაქტობრივად, „ხალხის ძალამ“ სააშკარაოზე სწორედ ის გამოიტანა, რასაც საზოგადოება ფიქრობდა. იმის თქმის აღარავის ეშინია, რასაც თუნდაც სამი წლის წინათ ვერ იტყოდი. ეს პროფესიონალი მავნებლები — ე.წ. ოპოზიცია უკვე იდენტიფიცირებულია. მათი დაფინანსების წყარო თაღლითური გზით პენსიონერების ფულის მოპარვაა, იმ ადამიანების, რომელთაც მთელი ცხოვრება იმუშავეს, დანაზოგი შექმნეს. მეტი ნაძირლობა არ არსებობს. მათ იციან, რომ არჩევნების გზით ხალხი არასდროს აირჩევს და ქვეყნის რყევით ცდილობენ საწადელის მიღწევას. ამას ხალხი არ დაუშვებს. რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ ექსპერტს, ხუხაშვილი ხალხის ქუჩაში გამოყვანას ვერ შეძლებს. კი ბატონო, ჭკვიანი კაცია, მაგრამ ჭკუას ქოთანივით იყენებს — ყურს იქით აბამს, საითაც თვითონ უნდა. სამწუხაროდ, მას ლავირება უწევს. ხუხაშვილის პროგნოზი მუდმივად სუბიექტური, პროპაგანდისტულია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ზურაბ ცუცქირიძე

ყველა ევროპელი როდია ნეოლიბერალი - მამათმავლების, ლესბოსელების, ტრანსგენდერებისა და სხვა უკულმართობისა და უღმრთობა-უზნეობის მეხოტბე. ტრადიციების, ადამიანური ღირებულებების ერთგულიც ბევრია, მაგრამ მთელ ხალხზე იმის მიხედვით მსჯელობენ, რა მრწამსის ხელისუფლებაც მართავს მათ და როგორია ამ ქვეყნების სტრატეგიული ორიენტაცია.

ევროპის მზის ჩასვენება

1920 წელს გამოქვეყნდა დიდი გერმანელი მოაზროვნისა და ისტორიული პროცესების ანალიტიკოსის ოსვალდ შპენგლერის ნაშრომი „ევროპის მზის ჩასვენება“ (ქართულად მას „ევროპის დაისი“, რუსულად „**Закат Европы**“ ჰქვია!). ქართულად ევროპის მზის ჩასვენებას ნიშნავს „დაისი“, რაღაცნაირად რომანტიკული შეფერილობის სიტყვაა რაც, არა მგონია, ევროპის რეალობას შეესაბამებოდეს.

„ევროპის მზის ჩასვენებაში“ შპენგლერი კულტურულ დეგრადაციას გულისხმობდა, რაც ათეისტური თეორიებისა და განწყობების გაძლიერებით გამოიხატა. ნიცშეს „მიგნებას“, რომ ღმერთი გარდაიცვალა, ბევრი ევროპელი დაეთანხმა, სრულიად ბუნებრივი გახდა უზნეობის ის ღვართქაფი, რამაც იმდროინდელ ე.წ. დასავლეთს გადაუარა: ეროვნულ ნიჰილიზმისა და კოსმოპოლიტიზმს პროგრესულობა დაერქვა, ბოზობის თავისუფლებას ქალთა ემანსიპაცია, ღვთის რწმენას - ოპიუმი, მშობლებისადმი პატივისცემას, აღზრდას - ბავშვებზე ძალადობა და ა. შ. ყოველივე ეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დემაგოგიური ლოზუნგით - „თავისუფლება!“ - ინერგებოდა საზოგადოებაში. ამგვარმა განწყობებმა და იდეოლოგიის პროპაგანდამ ევროპული კულტურა, დიდწილად, ანტიკულტურამ ჩაანაცვლა.

ეს დაინახა შპენგლერმა და ამიტომ თქვა, ევროპის მზე ჩაესვენაო, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, კულტურის დეგრადაციას საზოგადოების როგორი დეგრადაცია მოჰყვებოდა. „ღმერთი არ არის, მაშასადამე, ყველაფერი ნებადართულია!“ (დოსტოევსკი). რა მოსდევს ყველაფრის ნებადართულობას, ანუ ადამიანის სრულ თავისუფლებას, ეს კარგად დაინახა მეორე დიდმა მოაზროვნემ, ფრანგმა ჟან-პოლ სარტრმა, რომელმაც გამოაქვეყნა საქვეყნოდ ცნობილი ნაშრომი „თავისუფლებით დაწყევლილი“. ვინ არის, სარტრის აზრით, თავისუფლებით დაწყევლილი? - ადამიანი!

რატომ მაინცდამაინც ადამიანი? განა ცხოველები დაწყევლილები არ არიან?

არა, არ არიან! ამის მიზეზი მარტივია, რაც ყველა ნამდვილმა ფსიქოლოგმა იცის, მაგრამ მათ არ იციან, რომ ფსიქოლოგის დიპლომი სადღაც ორღობის „უნივერსიტეტებში“ მიიღეს. ვინც არ იცის, იმათთვის განვმარტავ: ადამიანი თავისი ბიოლოგიური კლასის ცხოველებისგან (ხერხემლიანი ძუძუმწოვარა ცხოველები) მხოლოდ ერთი რამით განსხვავდება - შემეცნების უნარით! შემეცნება კი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა და ამის საფუძველზე დასკვნის გაკეთების უნარია. ამიტომ ცხოველი როგორ პირობებშიც უნდა გაზარდო, ის იმ მემკვიდრეობის შესაბამისი იქნება, რაც მასში გენეტიკურად არის მოცემული. ამიტომ არის, რომ ლომი თუ მგელი დღესაც ისეთივეა, როგორიც მისი წინაპარი იყო მილიონი წლის წინათ, ადამიანი კი თავისი შემეცნების უნარის მეშვეობით მუდმივად იცვლება - ვითარდება ან დეგრადირდება.

ადამიანის განვითარება მის სოციალურ გარემოში აღზრდაზეა დამოკიდებული. აღზრდა კი ადამიანში დადებითი სოციალური თვისებების ჩამოყალიბების მიზანმიმართული პროცესია.

აი, ამ პროცესის უგულებელყოფაა პიროვნების სრული თავისუფლების სატანისტური იდეა, რაც საფუძვლად უდევს ყველა რევოლუციას, სოციალური იქნება ის, თუ სექსუალური. რადგან ზნეობრიობა ზღუდავს ადამიანს „ძირს სირცხვილი!“-ო (**Далой стыд!**) წამოაყენა ტროცკიმ ლოზუნგი. დღევანდელი ნეოლიბერალიზმი სწორედ ტროცკიზმის რეინკარნაციაა!

ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში ნეოლიბერალიზმი, რასაც არანაირი კავშირი არ აქვს ლიბერალიზმთან და სწორედ ფაშისტური მეთოდებით მკვიდრდება, სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. მეტიც, ის სატანისტურ რელიგიად იქცა. აშშ-ის პრეზიდენტმა, ბაიდენმა საქვეყნოდ განაცხადა, ამერიკის ჭეშმარიტი სახე ტრანსგენდერები არიანო.

ეს ანტიადამიანური პოლიტიკის გატარება, პირველ ყოვლისა, მოზარდი თაობიდან დაიწყეს. დასავლური განათლების სისტემა უკვე კარგა ხანია, სრულად მოიცავდა უზნეობის თავისუფლების პროპაგანდას.

ევროპასა და აშშ-ში დაიჯერეს „ღმერთის გარდაცვალება“ და მიწიერი ზეკაცის ილუზიის ტყვეობაში მოექცნენ, რამაც არია ის წესრიგი, რაც ადამიანის სოციალური განვითარების პირობებს უზურნველყოფდა. სკოლამ დაკარგა აღმზრდელობითი ფუნქცია და სასკოლო განათლების სისტემაში მკაცრი წესრიგი და დისციპლინა ე.წ. ლიბერალურმა ატმოსფერომ შეცვალა. ეს, ცხადია, სწავლების შინაარსზეც აისახა, არა სიღრმისეული ცოდნის ათვისება, სწავლების შედეგად ლოგიკური აზროვნების განვითარება, არამედ ზოგადი უნარების განვითარება გახდა პრიორიტეტული. ეს იყო არა შემოქმედის, კეთების ცოდნით აღჭურვილი პიროვნების აღზრდაზე, არამედ მომხმარებელზე ორიენტაცია.

ყველაზე მზაკვრული ნეოლიბერალური ნარატივი არის გენდერული თანასწორობის ანტიადამიანური შეგნების დამკვიდრების აუცილებლობის მოთხოვნა, რაც ფაშისტური მეთოდებით განხორციელდა და ხორციელდება ე.წ. დასავლეთში. რას ნიშნავს, სინამდვილეში, ეს? კანონის წინაშე ქალი და კაცი რომ თანასწორია, ეს კლასიკური დემოკრატიის ურყევი ჭეშმარიტებაა, მაგრამ გენდერული თანასწორობა, ნეოლიბერალების აზრი, ამას როდი ნიშნავს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალისა და კაცის არამარტო სოციალური ფუნქციები, არამედ ბიოლოგიური ფუნქციებიც გათანაბრებული უნდა იყოს. მაგალითად, კაცისა და ქალის ქორწინება ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორიც ქალისა და კაცის ქორწინება. ეს კაცი გათხოვდაო, თუ თქვეს, არ უნდა გაგიკვირდეთ და ენის უცოდინარობა არ დააბრალოთ ამის მთქმელს.

ამერიკელი მეცნიერების აზრით, აშშ-ის სკოლები ყველაზე უარესია მსოფლიოში (93% სახელმწიფო სკოლებია, მხოლოდ 7%-ია კერძო, სადაც გადასახადი ფანტასტიკურად მაღალია). ამიტომ არის, რომ აშშ-ში მეცნიერ-მკვლევართა 70%-ზე მეტი უცხოეთიდან არის ჩაყვანილი - იაპონიიდან, ჩინეთიდან, რუსეთიდან, ისრაელიდან...

მეცნიერებს კი ყიდულობენ, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწეებისა და, საერთოდ, პოლიტიკოსების იმპორტი არც ისე ადვილია, აბა, ნახეთ, რა პოლიტიკოსები მართავენ ევროპასა და აშშ-ს და ვინ წარმართავს მათ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას.

ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის - დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი არც ისე შორეულ წარსულში **უინსტონ ჩერჩილს** ეკავა, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა.

მის აზრს ანგარიშს უწევდა ყველა, რატომ? იმიტომ, რომ დიდი ცოდნა და შესაბამისი ერუდიცია ჰქონდა. ასევე ღირსეული პრემიერები იყვნენ **ანტონ იდენი** და ლეგენდარული **მარგარეტ ტეტჩერი.**

ამ ბოლო ათწლეულებში კი ვინ მართავდა ამ ქვეყანას? უღირსებო **ტონი ბლერი,** რომელმაც ბრიყვულად აღიარა: ერაყი იმიტომ გავანადგურეთ, რომ გვეგონა, სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება ჰქონდა, დაზვერვამ შეგვიყვანა შეცდომაშიო. **ბორის ჯონსონს** თავის ქვეყანაშიც კი დასცინოდნენ, გადადგომის შემდეგ ხომ მსოფლიო მასშტაბის კლოუნად იქცა. მისმა შემცვლელმა **ლიზ ტრასმა** პრემიერის პოსტზე სამი თვეც ვერ გაძლო, თუმცა, მანაც მოასწრო თავისი იდიოტობის დემონსტრირება. დიდმა ბრიტანეთმა ინგლისელთა შორის პრემიერობის შემძლე კაცი რომ ვერ მოძებნა, პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფილი დამონებული ქვეყნის შვილი, ინდოელი **რიში სუნაკი** დანიშნა. ლონდონის მერი კი, კარგა ხანია, ეგვიპტელი არაბია, რომელმაც ამ ათ წელიწადში 100-ზე მეტი მეჩეთი ააშენა ლონდონში, რომლის შემოგარენში შარიათის კანონები მოქმედებენ. ერთსაც ვიტყვი: რიჩარდ ლომგულისა და ოლივერ კრომველის ქვეყანაში რაინდის წოდებას იმ „კაცს“ ანიჭებენ, რომელიც ზარ-ზეიმით გათხოვდა მასზე ბევრად ახალგაზრდა კაცზე.



საფრანგეთის პრეზიდენტს, რომელსაც შარლ დე გოლის კაბინეტი უკავია, ევროპელები ყურებიან საჯდომს უწოდებენ, საკუთარი ხალხი კი კაცად არ მიიჩნევს...

რაც შეეხება გერმანიას, ადენაუერის ქვეყანაში, უსერიოზულესი და ღირსეული **ჰელმუტ კოლი** და **ვილი ბრანდტი** იკავებდნენ კანცლერის პოსტს, ბოლო წლებში გერმანიას სრულიად არასერიოზული პოლიტიკოსი **ანგელა მერკელი** მართავდა, ახლა კი ამ პოსტზე აბსოლუტურად უღირსებო **შოლცი** ბრძანდება.

ამერიკის ახლანდელ პრეზიდენტს კანადა და ჩინეთი ერთმანეთში რომ ერევა, ეს შეიძლება, მის ასაკსა და გონების ასაკობრივ სისუსტეს დააბრალო, მაგრამ მისი ქვეყნის ამასწინანდელი ახალგაზრდა პრეზიდენტი ბუში-უმცროსი რომ ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს ავსტრიასა და ავსტრალიას, განა ეს აშშ-ის პოლიტელიტის ინტელექტუალურ დეგრადაციაზე არ მიუთითებს? აშშ-ის პრეზიდენტის საგანგებო წარმომოადგენელმა და მრჩეველმა, რომელიც ახლა ბაიდენის ადმინისტრაციასთან დაახლოებული პირია და, ალბათ, ჭკუასაც ეკითხებიან, ამასწინათ განაცხადა: თუ ბელორუსია რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში ჩაერევა, ამერიკის მე-7 ფლოტი ბელორუსის საზღვრებს მიადგებაო. ხმელეთზე, მით უფრო, ტყიან მონაკვეთზე როგორ იმოძრავებს აშშ-ის ფლოტი, მაცოდინა, ნეტავი!

ბრძენთა ნათქვამია: კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, ჯერ ჭკუას გამოაცლისო. მზეგამწყრალი ევროპის მაგალითზე ეს ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ გაცხადდა.

მზედაკარგული ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო წარსულში გერმანია იყო უძლიერესი ეკონომიკით, ტექნიკით, მეცნიერებით, კულტურით, ლიტერატურით. მსოფლიო კულტურა და აზროვნება წარმოუდგენელია გოეთეს, ბახის, ბეთხოვენის, ჰეგელის, კანტის, აინშტაინის და ბევრი სხვა დიდი შემოქმედის გარეშე, მაგრამ დღეს? ბისმარკის ქვეყანაში ქვეყნის პრეზიდენტია კაცზე გათხოვილი კაცი, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრი რომ იყო, მაშინ „გაბედნიერდა“, რაც მხურვალედ მოულოცა მას იმდროინდელმა კანცლერმა ანგელა მერკელმა. ლიბერასტულ-სატანისტურ ჭაობში იძრება გერმანია და მასთან ხელჩაკიდებულ „ბებერი“ ევროპაც.

აი, ამ ევროპულ მომავალზე ლოცულობთ თქვენ, ქართველო ლიბერასტებო, რომლებსაც ევროპა საკუთარი „შინ“ გგონიათ? თქვენც ბაიდენივით გინდათ იამაყოთ საკუთარი ეროვნული მამათმავლებით, ტრანსგენდერებითა და პედოფილებით? თქვენც ოცნებობთ იმ დროზე, როდესაც თქვენც შეგეძლებათ აშშ-ის პრეზიდენტივით ქვეყნის წინაშე „ვალმოხდილებმა“ განაცხადოთ: ტრანსგენდერები საქართველოს ნამდვილი სახეაო, არა?

ვერ მოესწრებით ამას! საქართველოს მზე არ ჩაესვენება და მართლმადიდებლურ სამყაროში, ყველა ჭეშმარიტი ღმერთის სამწყსოში მუდამ იჩახჩახებს მზე, თქვენი გასაგისი კი ისე გაქრება, როგორც სოდომ-გომორი გაქრა და ჩაინაცრა! ეს წყევლა არ არის, თქვენ თქვენი თავი თვითონ დაწყევლეთ მაშინ, როდესაც ღმერთი და ზნეობა უარყავით!

საქართველოს ხელისუფლებავ, ნუ შეკრთები სასიკვდილოდ განწირული „თავისუფლებით დაწყევლილთა“ მუქარის წინაშე! გადარჩენა თუ გინდა, მიაფურთხე მამონას და მტკიცედ სდეგ ჭეშმარიტ ადამიანურ მრწამსზე, აწინდელ და მომავალ თაობათა გადასარჩენად!..

თურქეთის პრეზიდენტის ვინაობას არჩევნების მეორე ტური გადაწყვეტს

მსოფლიოს საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო კვირას თურქეთში გამართული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. მოქმედი პრეზიდენტი უკვე ოცი წელია, რაც ქვეყნის სათავეაშია. მართალია, თურქეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა, მაგრამ ერდოღანი ბოლო 8 წელია, დამოუკიდებლად მოქმედებს და ხშირად არ ითვალისწინებს ალიანსის გადაწყვეტილებებს. განაწყენების მიზეზი მოკავშირე ქვეყნების მიმართ საკმაოდ აქვს. პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში იგი გაწონასწორებული საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებს და არ დაუშვებს შავი ზღვის აუზში საბრძოლო მოქმედებებს. ნატო-ს წევრი ქვეყნები და აშშ უკმაყოფილონი არიან ერდოღანის პოლიტიკით: იგი არ ჩაერთო რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში, უარი უთხრა აშშ-ს **S-400** დანადგარების შესწავლის დაშვებაზე და, მით უფრო, უკრაინისთვის გადაცემაზე. ერდოღანი განაგრძობს რუსეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობას. მოკლედ, მოქმედი პრეზიდენტი დასავლეთისთვის არასასურველი პერსონა გახდა.

განსხვავებული პოზიცია აქვს ერდოღანის ძირითად კონკურენტს, ქემალ კირიჩდაროღლუს. გამარჯვების შემთხვევაში, იგი განაახლებს ევროკავშირთან მოლაპარაკებას თურქეთის გაწევრიანების თაობაზე, არ გამორიცხავს რუსეთთან კავშირის გაწყვეტას და უკრაინისთვის დახმარებას. არჩევნების დაწყებამდე ორი დღით ადრე კირიჩდაროღლუმ რუსეთი ერდოღანის სასარგებლოდ არჩევნებში ჩარევაში დაადანაშაულა. რუსეთის მხარემ ბრალდება კატეგორიულად უარყო. ერდოღანმა კი საჯაროდ უპასუხა: ...როგორ არ გრცხვენია ამის თქმა! რას იტყვი, მე თუ გიპასუხებ, ვინც ერევა ჩვენს არჩევნებში. ესენი არიან საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია, აშშშ... შენ ჩემზე უკეთესად არ იცნობ დასავლელ პოლიტიკოსებს, რომლებსაც ორი წელია, ვიცნობ, ერთ მაგიდასთან ვმჯდარვარ მათთან. ისინი ფლიდები არიან!“

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ კანდიდატებმა 50%-იანი ბარიერი ვერ გადალახეს. ერდოღანმა ხმების 49,51 % მიიღო, კირიჩდაროღლუმ კი – 44,88 %. ვნახოთ, ვინ გახდება მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი, რომლის არჩევნების მეორე ტური 28 მაისს გაიმართება.

საგანგაშო ინფორმაცია გავრცელდა გასულ კვირას: ამერიკის შეერთებულ შტატებში, შესაძლოა, დეფოლტი გამოაცხადონ. ცნობამ მხოლოდ აშშ-ის მოსახლეობა როდი შეაშფოთა. მსოფლიოში ყურადღებით აკვირდებიან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, რადგან ამერიკაში არსებული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, გაღრმავების შემთხვევაში, მსოფლიო ეკონომიკასაც დააზარალებს. შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლად პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია შიდა სახელმწიფო ვალის გაზრდას მიიჩნევს. ადმინისტრაციამ შესაბამისი წინადადებით მიმართა კონგრესს, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოსთან საერთო ენის გამონახვა ვერ მოხერხდა, შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. მიზეზი კონგრესში რესპუბლიკური პარტიის უმრავლესობით ყოფნა როდია შიდა ვალის ოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, 31,5 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. რესპუბლიკელები და დემოკრატების ნაწილი არ ეთანხმებიან შიდა ვალის გაზრდას. კონგრესმენები ითხოვენ, შემცირდეს უსარგებლო ხარჯები, მათ შორის, უკრაინისთვის დახმარების გაწევა.

თავად ჯო ბაიდენი კრიზისის სხვებზე, კერძოდ, რესპუბლიკელებზე გადაბრალებას ცდილობს. ნიუ-იორკში გამოსვლისას მან განაცხადა, რომ რესპუბლიკელები მუშაობაში ხელს უშლიან, რათა აშშ-მ კრიზისიდან გამოსვლა შეძლოს. უფრო მეტიც, მის გამოსვლაში მუქარაც შეინიშნებოდა. „...ჩვენი ეკონომიკა რეცესიისკენ მიექანება. აშშ-ში დეფოლტის შემთხვევაში, პრობლემები მსოფლიოს ეკონომიკასაც შეექმნება“, — განაცხადა ჯო ბაიდენმა. გამოსვლა ოპტიმისტურად დაასრულა: „ჩვენ მოვიგებთ ამ ბრძოლას“, — განაცხადა პრეზიდენტმა. რა იგულისხმა, გაუგებარი დარჩა, მაგრამ სიტყვის დასრულების შემდეგ, ტრადიციულად, დაცვის დახმარების გარეშე სცენიდან გასასვლელი ვერ იპოვა. აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, დეფოლტი კატასტროფულ შედეგებს მოუტანს ქვეყანას — ათ მილიონამდე ადამიანი დაკარგავს სამსახურს, დაიხურება უამრავი საწარმო. ანუ, პანდემიის შედეგად გაზრდილი უმუშევრობა გაორმაგდება.

ქვეყნისთვის უსარგებლო ხარჯების შემცირებას ითხოვს ბაიდენის წინამორბედი დონალდ ტრამპი. მისი განცხადებით, რესპუბლიკელებმა უნდა დაუშვან დეფოლტი, თუ არ შეაიცმირებენ ხარჯებს, განსაკუთრებით უკრაინისთვის ფინანსურ დახმარებას. საინტერესოა, რომ ნიუ-იორკის სასამართლომ ტრამპი დამნაშავედ ცნო გაუპატიურების მცდელობაში და 5 მლნ დოლარით დააჯარიმა. ტრამპი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს: „კუდიანებზე ნადირობა გრძელდება“-ო. მომჩივანი, ყოფილი ჟურნალისტი ზუსტად ვერ ასახელებს მომხდარი შემთხვევის თარიღს და 1995-1996 წლებს ასახელებს. მისი თქმით, თურმე ტრამპმა ხუთი წუთის წინ გაცნობილ ქალს სთხოვა, ჩაეცვა თეთრეული, რომლის ყიდვას საჩუქრად აპირებდა. ქალი დათანხმდა. ძალადობის მცდელობა გასასინჯ ოთახში მოხდაო, განაცხადა „დაზარალებულმა“. პრეზიდენტობის პერიოდში ტრამპი ტელეკომპანია **CNN**-ს არ წყალობდა, სიცრუის გამავრცელებელ არხს უწოდებდა. გასულ კვირას ტრამპმა დაარღვია დუმილი და ამ ტელეკომპანიას ეწვია, სადაც მთელი საათი პასუხობდა ჟურნალისტის შეკითხვებს. წამყვანი ჩაეძია, რომელ მხარეს გულშემატკივრობს — რუსეთს თუ უკრაინას. ტრამპმა თავდაჭერილად უპასუხა: „...მთავარია, რომ ხალხი აღარ იღუპებოდეს ორივე მხარეს“. მან ასევე ისაუბრა სექსუალურ ბრალდებაზეც. „...იმ ქალს საერთოდ არ ვიცნობ. უნივერმაღის მოპირდაპირე მხარეს, სადაც ვითომ დავაპირე ძალადობა, ჩემი საკუთარი სასტუმროა. რაღა გასასინჯ კაბინაში მოვინდომებში მასთან ურთიერთობას“, — განაცხადა ექს-პრეზიდენტმა.

ფინანსურ-ეკონომიკურ პრობლემას აშშ-ში არალეგალი მიგრანტებიც დაემატა. მექსიკის მხრიდან ათეულათასობით ადამიანი მიაწყდა ქვეყნის საზღვარს. ფაქტობრივად, ქაოსია. სიტუაციის სერიოზულობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ჯო ბაიდენი იძულებული გახდა, ტეხასის შტატში დამატებით შეიარაღებული ჯარის ნაწილი, დაახლოებით 1500 სამხედრო მოსამსახურე გაეგზავნა.

სკანდალი ბაიდენის ოჯახის წევრების კორუფციულ სქემაში მონაწილეობის შესახებ აშშ-ში ძალებს იკრებს. რესპუბლიკელებმა უამრავი დამატებითი ფაქტი მოიპოვეს. კონგრესმენმა ჯეიმს კონერმა გასულ კვირას გაასაჯაროვა მასალა, რომელიც 2020 წელს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ დამალა. ირკვევა, რომ ბაიდენის ოჯახის 9 წევრი უკანონოდ იღებდა შემოსავალს უკრაინიდან, რუმინეთიდან და ჩინეთიდან. უცნობია, რა დამსახურებისთვის. ყველაფერი ჯო ბაიდენის ვიცეპრეზიდენტობის პერიოდში ხდებოდა. კანონმდებლებს კითხვები აქვთ იმდროინდელ პრეზიდენთან ბარაკ ობამასთანაც. წარმომადგენლობითი პალატის წარმომადგენლებმა ოფიციალური მოთხოვნა გაუგზავნეს ფედერალური გამოძიების ბიუროს, გაეცნონ მათ ხელთ არსებულ მასალებს, მაგრამ იქიდან უარი მიიღეს, მიზეზად გამოძიებაში ხელის შემლა დასახელდა. რითი დასრულდება კორუფციული სკანდალი, მართლაც საინტერესოა. უკვე ცნობილია, რომ ბაიდენის ოჯახის წევრებს ამ სამი ქვეყნიდან მიღებული აქვთ 10 მლნ დოლარი, როგორც რესპუბლიკელები ამტკიცებენ, უკანონოდ, ქრთამის სახით.

მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა ჯო ბაიდენს რობერტ (უმცროსი) კენედის სახით. მოქმედი პრეზიდენტის რეიტინგი მნიშვნელოვნად დაეცა. ბოლო მონაცემებით, მხოლოდ ამერიკელების 36% ემხრობა მის პოლიტიკას. ბაიდენი მხარდამჭერებს კარგავს საკუთარ დემოკრატიულ პარტიაშიც. რობერტ კენედის პოპულარობა მოსახლეობაში საგრძნობლად გაიზარდა და მატების ტენდენცია ნარჩუნდება. საინტერესო, შეიძლება ითქვას, სენსაციური განცხადება გააკეთა კენედიმ გასულ კვირას. წლეულს ნოემბერში 60 წელი შესრულდება აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის, ჯონ კენედის მკვლელობიდან. თუმცა დღემდე უცნობია, რეალურად ვინ მოკლა იგი. ბევრს დღესაც არ სჯერა ოფიციალური ვერსიის. მართალია, გამოძიების მასალების მცირე ნაწილი გასაჯაროვდა, მაგრამ გამოქვეყნებული დოკუმენტები უმნიშვნელო ინფორმაციას შეიცავენ. ძირითად მასალებს დღემდე გრიფი „საიდუმლო“ ადევს. რობერტ კენედი გასულ კვირას ბიძის მკვლელობაზე ალაპარაკდა. მისი თქმით, ჯონ კენედის მკვლელობა ცსს-მ დაგეგმა და განახორციელა, კერძოდ, ორგანიზაციის ყოფილმა დირექტორმა ალენ დალესმა. რობერტის განცადებიდან გამომდინარე, ოჯახმა თავიდანვე იცოდა, ვინც მოკლა ჯონ კენედი, მაგრამ დუმდნენ. აღსანიშნავია, რომ მამამისი, უფროსი რობერტ კენედიც ვერაგულად მოკლეს. უმცროსი რობერტი, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, აპირებს ბიძის, ჯონ კენედის პოლიტიკის გაგრძელებას. გეგმის ერთ-ერთი ნაწილია ცსს-ის ძირეული რეორგანიზაცია. აშშ-ში ახლა აქტუალური გახდა კითხვა: მკვეთრი განცხადებების გამო ხომ არ გაიმეორებს მამისა და ბიძის ბედს უმცროსი რობერტ კენედი.

საბრძოლო მოქმედებების დასრულება უკრაინაში, სავარაუდოდ, მოსალოდნელი არ არის. ბრიტანეთმა ჯერ ურანით გამდიდრებული ჭურვების მიწოდება დააანონსა. გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრიტანეთი უკრაინას ფრთოსან რაკეტებს მიაწვდის, რომლებიც საშუალო და შორ მანძილზე მოქმედებენ. **CNN**-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროშიც დაადასტურეს. ცნობამ რუსეთი გააღიზიანა. პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა მოკლე კომენტარი გააკეთა: „...ბრიტანელებს ადეკვატურ პასუხს ჩვენი სამხედროები გასცემენ“. ასეთ შემთხვევაში, მოსალოდნელია, ევროპაში ფართომასშტაბიანი ომი გაჩაღდეს. სამშვიდობო მოლაპარაკების ნაცვლად უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ევროპის ქვეყნებაში მოგზაურობს და შეიარაღებას, მათ შორის, თვითმფრინავებს ითხოვს. ევროკომისარმა ჟოზეპ ბორელმა გასულ კვირას ტელეინტერვიუში განაცხადა: „...ჩვენ ვიცით, როგორ დავასრულოთ ომი — შევუწყვეტთ ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას უკრაინას და რამდენიმე დღეში დაეცემა, მაგრამ რუსეთი მოახდენს მის ოკუპირებას. გვინდა ასეთი მშვიდობა?“ ევროპის ე. წ. პირველი დიპლომატი სისხლისღვრის გაგრძელების მომხრეა და არა მშვიდობის.

გია ბურდული
551 71 27 07

სასკოლო განათლება დასავლეთის ქვეყნებში

„საერთო გაზეთის“ წინა ნომრებში უკვე შემოგთავაზეთ სხვადასხვა ქვეყნების განათლების სისტემები.

ამჯერად განათლების დასავლური სისტემის შესახებ ვისაუბრებთ...

დასავლური განათლების სისტემაში ყველა ქვეყნის გამაერთიანებელი ინკლუზურობა, ბავშვის დამოუკიდებელ პიროვნებად აღზრდა და მასში ინდივუდუალობის განვითარებაა.

აშშ. ამერიკაში სკოლების უმრავლესობა სახელმწიფო და უფასოა, სადაც ბავშვების 90% სწავლობს. ქვეყანაში ერთიანი მკაცრი სახელმწიფო სტანდარტები არ არსებობს, სასწავლო პროგრამებს შტატის ხელისუფლება განსაზღვრავს.

სკოლის მოსწავლეებს ყოველწლიურად ახალ კლასებში ანაწილებენ, ერთიანი შემაჯამებელი

ტესტები არ არსებობს, თითოეული ბავშვი ინდივიდუალური გეგმით სწავლობს.

ფიზკულტურის გაკვეთილები უფროს კლასებში კონკრეტული სპორტის სახეობის პროფესიულ მეცადინეობებს წარმოადგენს.

კანადა. კანადის სკოლები იყოფა საზოგადოებრივ, კათოლიკურ, ფასიან და უფასო, ინგლისურ და ფრანგულ სკოლებად. ძირითადი სახელმწიფო სკოლებია, სადაც ბავშვების 93 % სწავლობს. თითოეულ პროვინციას საკუთარი სასკოლო სისტემა აქვს, მაგრამ ისინი ერთმანეთს ჰგავს. პედაგოგებს უფლება არ აქვთ, ბავშვებს სხვების დასანახად შენიშვნაც რომ მისცენ.

საერთო განათლება კანადაში 4-5 წლის ასაკიდან, მოსამზადებელი კლასებიდან იწყება.

საშუალო და უფროს კლასებში სწავლება ბლოკებად არის დაყოფილი: თითოეულ სემესტრში ოთხი საგანი ისწავლება. ყოველდღიურად ბავშვებს ოთხი ერთი და იგივე გაკვეთილი აქვთ, თითოეული მათგანი 75 წუთს გრძელდება.

ატესტატის მისაღებად და უმაღლესში ჩასარიცხად ბავშვმა უნდა დააგროვოს კრედიტები, რომლებიც სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ ერიცხებათ.

თუ მოსწავლე საკმარის კრედიტებს ვერ დააგროვებს, სწავლებისთვის დამატებითი წელი ეძლევა. მოსწავლეების შეფასებები კონფიდენციალურია.

ოჯახთან ურთიერთობისთვის არსებობს სპეცილური საქაღალდეები ჩანაწერებით, რომლებსაც ბავშვები მშობლებს გადასცემენ.

მშობელთა კრებების ნაცვლად წელიწადში ოთხჯერ პედაგოგებთან ინდივიდუალური გასაუბრებები ტარდება.

კანადის განათლების სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა.

დიდი ბრიტანეთი. დიდ ბრიტანეთში არსებობს უფასო განათლების სისტემა, რომლის მიღებაც ნებისმიერ ბავშვს შეუძლია. არსებობს კერძო სასწავლო დაწესებულებები. მთელ მსოფლიოში ცნობილია სკოლა-პანსიონები, იქ სწავლისა და ცხოვრების პირობების გაპროტესტება არც მშობლებს და არც მოსწავლეებს არ შეუძლიათ. ასეთი სკოლების რაოდენობა ბრიტანეთში ორი ათასს აჭარბებს.

ბრიტანეთში ბავშვები 4 წლიდან სწავლობენ.

მშობლებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა სანმოკლე ინდივიდუალური საუბარია, ნიშნები მშობლებს ელექტრონული ფოსტით ეგზავნებათ.

ბრიტანეთის სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა ქველმოქმედებას. სასწავლო დაწესებულებებში მუდმივად ეწყობა ღონისძიებები მოსწავლეების მონაწილეობით. ხშირად მათ ავალდებულებენ, რომ სოციალური სამუშაო შეასრულონ.

ესპანეთი. ესპანეთში არსებობს სახელმწიფო უფასო სკოლები, რომლებიც ღიაა ყველა ბავშვისთვის, არის ნახევრად დაფინანსებული, სკოლები, რომლებსაც კათოლიკური ეკლესია ან ადგილობრივი მთავრობა აფინანსებს და კერძო სკოლები, რომლებიც საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომს იძლევიან.

ესპანეთის სკოლებში სწავლება არამარტო ესპანურ, არამედ ქვეყნის რეგიონიდან გამომდინარე მეორე ოფიციალურ (კატალონიური, ვალენსიური და ა. შ.) ენაზე მიმდინარეობს, რომლის შესწავლაც სავალდებულოა.

მეორე-მესამე გაკვეთილის შემდეგ ბავშვებს საუზმისთვის შესვენება აქვთ და შინიდან წაღებულ საკვებს მიირთმევენ. დიდ, 30-წუთიან შესვენებაზე ბავშვები ეზოში თამაშობენ. მეორე წელს კლასში დარჩენა ჩვეულებრივი მოვლენაა.

იტალია. იტალიაში არსებობს კერძო და სახელმწიფო სკოლები, რომლებშიც ბევრი ბავშვი სწავლობს. კერძო სკოლებს უფლება არ აქვთ, განათლების შესახებ საბუთი გასცენ, ამიტომ გამოცდებსს მხოლოდ სახელმწიფო სკოლებში აბარებენ.

დაწყებითი სწავლება იტალიაში უფასოა და სავალდებულოა არალეგალი ემიგრანტებისთვისაც კი.

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ფასიანია ყველასათვის.

ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა სწავლების ადგილის შეცვლას გულისხმობს. ბავშვები სასადილოდ შინ დადიან.

ქვეყანაში არ არსებობს ოქროს მედალი, მაგრამ გამოსაშვებ გამოცდაზე 110-იდან 100 ქულის მიღებაა შესაძლებელი, თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან უმაღლეს სასწავლებლებში თავიანთი მისაღები გამოცდები აქვთ.

გერმანია. გერმანიაში სასწავლო პროგრამები ერთიანი არ არის, არ არსებობს ერთიანი სახელმძღვანელოები და სტარდარტები, პირველივე კლასიდან ისწავლება ინგლისური ენა, მეოთხედან კი — სქესობრივი აღზრდა.

დაწყებითი სკოლა საშუალო სკოლისგან გამოყოფილია, მისი დასრულების შემდეგ, შესაძლებლობების დონის მიხედვით, ბავშვები იღებენ რეკომენდაციებს გიმნაზიაში, რეალურ ან ძირითად სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად.

მხოლოდ გიმნაზიის კურსდამთავრებულები იღებენ სიმწიფის ატესტატს და უნივერსიტეტში სწავლის უფლებას, დანარჩენებს ეძლევათ ცნობა განათლების შესახებ.

თუ ბავშვის მოსწრება მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვებისგან, ის ერთი კლასით წინ გადაჰყავთ.

გიმნაზიის ბევრი კურსდამთავრებული მეორე წელს რჩება სასწავლებელში ატესტატში საშუალო ქულის გაუმჯობესების მიზნით.

გერმანიაში არსებობს კანონი საყოველთაო სასკოლო ვალდებულების შესახებ. იმ ბავშვის მშობელს, რომელიც სკოლას აცდენს, პოლიცია ჯარიმას აკისრებს.

საფრანგეთი. საფრანგეთში ბავშვების უმეტესობა სახელმწიფო სკოლებში სწავლობს, რომლებიც უფასოა. მშობლები მხოლოდ ბავშვების ექსკურსიაზე წასასვლელ ან კინოს ბილეთების ღირებულებას იხდიან.

კლასების ნუმერაცია პირიქითაა, ბავშვები თავიდან მეექვსე კლასში შედიან და მესამე კლასში ამთავრებენ. ამის შემდეგ ისინი გამოცდას აბარებენ და ატესტატს იღებენ.

თუ ბავშვის მოსწრება მაღალია, მას ერთი კლასით წინ გადაიყვანენ, თუ ბავშვი ვერ სწავლობს — ერთი კლასით უკან.

საფრანგეთის სკოლებში აკრძალულია ტელეფონის გამოყენება. დიდ შესვენებაზე სავალდებულოა გარეთ გასვლა.

ფინეთი. ფინური განათლება საკუეთესოთა ხუთეულშია. ძირითადად, ქვეყანაში სახელმწიფო სკოლებია, განათლების დონე ყველგან ერთნაირია.

ფინეთის სკოლებში უფასოა ყველაფერი — ფანქრიდან დაწყებული, სადილით დამთავრებული. მასწავლებელს სახელით მიმართავენ.

ქვეყანაში არსებობს განათლების პარალელური სისტემა შვედურ და საამის ენებზე.

ბავშვებს შესაძლებლობების მიხედვით არ ყოფენ, თითოეულისთვის სწავლებისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმა დგება. თანაკლასელები ერთ გაკვეთილზე სხვადასხვა სირთულის ამოცანებს ხსნიან.

ნიშნები კონფიდენციალურია, ბავშვების ერთმანეთთან შედარება აკრძალულია.

ბიჭები და გოგონები ტექნოლოგიების გაკვეთილზე სხვადასხვა საქმიანობით არიან დაკავებული, ბიჭები სკამებს აკეთებენ, გოგონები კი კერავენ

ბავშვებს პირველი კლასიდანვე უხსნიან მათ უფლებებს და ასწავლიან, როგორ მიმართონ დახმარებისთვის სოციალურ მუშაკს.

განათლების რომელ სისტემას აირჩევს ჩვენი ქვეყანა, როგორები გაიზრდებიან ჩვენი პატარები, რა შესაძლებლობები, უნარები ექნებათ და განათლების როგორ დონეს მიაღწევენ, ამას მომავალი გვიჩვენებს. ამჟამად კი მხოლოდ იმედს ვიტოვებთ, რომ ოდესმე ჩვენი განათლების სისტემა საუკეთესოთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს.

ბელა გველესიანი

ვალუტის კურსის ზედმეტად გამყარება ჩვენს საექსპორტო პოტენციალს ამცირებს

გვესაუბრება ეკონომისტი სოსო არჩვაძე:

— ბატონო სოსო, 15 მაისიდან რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს აუქმებს, დღეიდან ფრენებიც აღდგა. რა ეკონომიკური ეფექტი შეიძლება მოჰყვეს ამას?

— ბუნებრივია, თითოეული სახელმწიფო, ხელისუფლება საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. პუტინის ეს ნაბიჯიც ასე უნდა განვიხილოთ — არა როგორც ქართველებისთვის მოწყალე თვალით გადმოხედვა, არამედ შიდა რეპუტაციის ამაღლების, საკუთარი და რუსეთის ბიზნესწრეების ინტერესების დაკმაყოფილება. რაც შეეხება პირდაპირ საავიაციო მიმოსვლას, ეს ნიშნავს, რომ შესაბამისი ტრანზაქციის ხარჯები გაცილებით შემცირდება. რუსეთს საქართველოსთან ვაჭრობის კუთხით გაცილებით დიდი სალდო აქვს. ანუ, ღირებულებითი თვალსაზრისით, საქართველოში რუსული პროდუქცია უფრო მეტი შემოდის, ვიდრე ჩვენი ქვეყნიდან გადის. რუსეთში არსებული ბევრი ბიზნესსტრუქტურა დაინტერესებულია საქართველოს ბაზრის ათვისებით. ასევე, ჩვენი ტერიტორიის, როგორც დერეფნის გამოყენებით, სხვა ქვეყნებში გასასვლელად. ამ ყველაფერს საკადრო პოლიტიკური დატვირთვაც აქვს — იმ პირობებში, როცა მის მიმართ მსოფლიოში წამყვან ქვეყნებს სანქციები აქვთ დაწესებული, რუსეთი სახის შენარჩუნებას მაინც ახერხებს. მერე საკითხია, ამ ნაბიჯით რამდენად იკვეთება თავად საქართველოსთვის სახის შენარჩუნების მცდელობა. ფაქტობრივად, დასავლეთის თვალში ეს მაინცდამაინც კარგ ნაბიჯად არ აღიქმება, რასაც თავისი ახსნა და გარემოება აქვს. საქართველო, ფაქტობრივად, დასავლეთის სახელმწიფოების, პირველ რიგში, აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ, განიხილება როგორც რუსეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური დაპირისპირების ფორპოსტი. ამ მიმართულებით, საქართველოს ხშირად განიხილავენ როგორც ობიექტს, ტერიტორიას, სივრცეს, სადაც მათი ინტერესების გათვალისწინებით, რუსული ექსპანსიის შეკავება ისე უნდა მოხდეს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები გათვალისწინებული არ იყოს. ამიტომ, ამ შემთხვევაში, ქართულ სახელმწიფოს სერიოზული ლავირება სჭირდება იმისათვის, რომ საკუთარი ინტერესები ბოლომდე დაიცვას, რათა არც მეგობრები გაანაწყენოს და არც ისე გამოჩნდეს, თითქოს ეს რუსეთის სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯია.

— აშშ-ში, დასავლეთში რუსული ავიაკომპანიების შესვლა აკრძალულია. ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ რუსული ლაინერებს, რომლებიც ექსპორტს და იმპორტს ექვემდებარებიან, სანქციები დაუწესდებათ. საუბარია თბილისის აეროპორტისთვის სანქციების დაწესებაზეც. რა პრობლემებმა შეიძლება იჩინოს თავი, ამ კუთხით?

— რუსეთმა გასული წლის დასაწყისში ევროპული კომპანიებისგან იჯარით აღებული 800-მდე თვითმფრინავი თავისთან დაიტოვა. ფაქტობრივად, მან ამ თვითმფრინავების კონფისკაცია მოახდინა, რომელთაც ამჟამად შიდა რეისებისთვის იყენებს. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც სანქციებს უერთდება, ვალდებულია, აღნიშნული ავიალაინერები კანონიერ მფლობელს დაუბრუნოს, მათ შორის, საქართველოც. თუმცა, არ მგონია რუსეთმა ასეთი თვითმფრინავები საქართველოს მიმართულებით გამოუშვას. უკიდურეს შემთხვევაში, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა რუსეთმა ეს კაზუს ბელისთვის, ანუ ომის დაწყებისთვის არ გამოიყენოს, რადგან ხომალდი სახელმწიფოს ტერიტორიად მიიჩნევა და მისი ჩამორთმევა, შესაძლოა, პროვოკაციის მოწყობისთვის მორიგი საბაბი გახდეს. მართალია, პრესაში გაჟღერდა ინფორმაცია, რომ საქართველოში მგზავრების გადაყვანა მხოლოდ რუსული წარმოების თვითმფრინავებით მოხდება, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით, ქართულ მხარეს მართებს დიდი ყურადღება.

— ბატონო სოსო, ჩვენი ოპოზიცია აპელირებს იმაზე, რომ საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე ბოლო დროს საკმაოდ გაზრდილია. ეს ეხება როგორც პირველადი მოხმარების საგნებს, ასევე ნავთობს, რომელსაც სანქცირებულად მოიხსენიებენ...

— ოპოზიციის მთავარი ამოცანა ხელისუფლების ნებისმიერი ნაბიჯის გაკრიტიკებაა. თუმცა, ოპოზიცია წესით, გარკვეულ პოლიტიკას უნდა ეწინააღმდეგებოდეს და არა საკუთარ ქვეყანას. ამ პოლიტიკოსებს ვურჩევ, ისეთი ღონისძიებები შეიმუშავონ, რომლებიც საქართველოში, მაგალითად, ხორბლის ადგილობრივ წარმოებას გაზრდის. 15-20 ათას ტონამდე ადგილობრივად მოწეულ მარცვლეულს წისქვილ-კომბინატები არ იბარებენ, რადგან რუსეთიდან ფქვილი იაფად შემოდის. ასე გრძელდება უკვე რამდენიმე თვეა. შედეგად, საქართველოში ხორბლის წარმოების მოტივაცია ეკონომიკურ საფუძველს კარგავს. ადგილობრივი მწარმოებლები ზარალს განიცდიან. ამ მიმართულებით აქტიურად ღონისძიებებს ატარებს იგივე აზერბაიჯანი, რომელსაც ჩვენზე ორ-ნახევარჯერ მეტი მოსახლეობა ჰყავს. მისი მარცვლეულის წარმოებისთვის თვითუზრუნველყოფის დონე 80%-მდეა. სომხეთს, რომელიც ჩვენზე გაცილებით ცუდ, მძიმე ბიოლოგიურ და სხვა პირობებშია, მარცვლეულის წარმოებისთვის თვითუზრუნველყოფის დონე 30% აქვს, უახლოეს წლებში კი 50%-ზე ასვლას აპირებს. ჩვენთან ეს ციფრი 18-21%-მდეა. ამიტომ, პოლიტიკოსებმა სწორედ ამ მიმართულებით უნდა იმუშავონ, რათა „პური ჩვენი არსობისა“, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, თავად ვაწარმოოთ და რუსეთის ფედერაციაზე ამდენად მიბმული და დამოკიდებული აღარ ვიყოთ. ჩვენ, ყოველწლიურად, ხორბლისა და ფქვილის იმპორტზე 150 მილიონ დოლარს ვხარჯავთ. ადგილობრივი მეწარმეები კოტრდებიან და ვალებში იხრჩობიან. მთავარი ამ მიმართულებით სწორი პოლიტიკის გატარებაა, პოლიტიკოსებმა სჯობს ამ საქმეს მიხედონ — კარგად დაფიქრდნენ, ყოველდღიურად რა რაოდენობის პურს მოიხმარენ და ისიც გაითვალისწინონ, რომ 80% რუსეთიდან შემოდის.

— ირაკლი კობახიძემ აღნიშნა: რუსეთში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას ფრენების აღდგენით დაწესებული სასჯელი მოეხსნა, რაც მისასალმებელიაო...

— დიახ, რა თქმა უნდა, ეს მათთვის დიდი შვებაა. თუმცა, აბსოლუტურ უმრავლესობას, რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული. 2021 წელს რუსეთში ჩატარებული აღწერის მიხედვით, იქ ეთნიკურ ქართველთა რაოდენობა 114 ათასს არ აღემატება. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოდან გასულნი არიან არამარტო ეთნიკური ქართველები, არამედ ჩვენი თანამემამულე სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, რომელთა რაოდენობა საკმაოდ სოლიდურია. არატექტონიკურ მოსახლეობაში ემიგრაციის ინტენსივობა წლების განმავლობაში ორჯერ მაღალი იყო. მათი უდიდესი რაოდენობის საქართველოდან რუსეთში გადინება 90-იანი წლებიდან დაიწყო. ეს გარკვეული რისკების შემცველია. მაგრამ აქვე თავს იჩენს მეორე საკითხიც, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ: ფრენების აღდგენა და უვიზო რეჟიმის დაწესება რუსეთის მხრიდან პროვოკაციის მოწყობის მიზნით არ უნდა იქნას გამოყენებული.

— ახლა ახსენეთ, რუსეთში ეთნიკური ქართველი მაცხოვრებელი 114 ათასს არ აღემატებაო. ანუ, მილიონი ქართველი მაცხოვრებლის შესახებ ცნობები გადაჭარბებულია?

— რუსეთის ფედერაციის ოფიციალური სტატისტიკით, 2001 წლის აღწერით იქ 198 ათასი ეთნიკური ქართველი ცხოვრობდა, 2011 წლის მონაცემებით — 157 ათასი და ბოლოს ჩატარებული აღრიცხვით, 2021 წლის მონაცემებით, რუსეთში 114 ათასამდე ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, იქ, ასევე, ცხოვრობს რამდენიმე ათასი აფხაზი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიიდან არიან გასულები. უშუალოდ საქართველოს მოქალაქე, მათ შორის, დაახლოებით, 4 ათასია. მათ ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოს მოქალაქეობა შეინარჩუნეს. ეს რუსეთის ფედერაციისთვის საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. რუსეთში, აღწერის დროს, რამდენიმე ათასმა ადამიანმა თავისი ეთნიკური კუთვნილების დასახელებეზე უარი განაცხადა. არ მგონია, ყველა მათგანი ქართველი ყოფილიყო, თუმცა, ეს მნიშვნელოვანია. რაც შეეხება მილიონ ქართველს, ეს, უბრალოდ, ხატოვანი გამოთქმაა. აი, ჩვენ ხომ ვამბობთ, ასი ათასი მოწამეო, თუმცა, ზუსტად არავინ იცის, ას ხუთი ათასი მოწამე გვყავს თუ — ას თხუთმეტი.

— ბატონო სოსო, რამდენიმე დღის წინათ ლარი მკვეთრად გაუფასურდა. რით ახსნით ამ მოვლენას — შესაძლოა, ამის მიზეზი არამყარი ეკონომიკური ფუნდამენტი, რუსულ ფულად ნაკადებზე დამოკიდებულება იყოს, თუ სხვა რამესთან გვაქვს საქმე?

— ეს, გარკვეულწილად, რეფინანსირების განაკვეთის შემცირებას და იმ მოლოდინებს უკავშირდება, რომ, შესაძლოა, მიმოქცევაში კიდევ უფრო მეტი ფული გამოვიდეს. მეტი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვება ნიშნავს გაზრდილ მოთხოვნას არამარტო წარმოების საჭიროებისთვის, არამედ უცხოურ ვალუტაზეც. ლარის გაუფასურებაზე გარკვეული გავლენა ამ ფაქტორმაც განაპირობა. თუმცა, ერთ რამეს გულახდილად გეტყვით: ის კურსი, რაც რამდენიმე დღის წინათ დაფიქსირდა და კვლავ ნარჩუნდება, მაინც ზედმეტად გამყარებული მეჩვენება. ვალუტის კურსის ზედმეტად გამყარება კი ხელს უშლის როგორც ეკონომიკური პროცესების დაჩქარებას, ისე, განსაკუთრებით, ჩვენს საექსპორტო ექსპანსიას. ყურადღებას თუ მიაქცევთ, ბოლო ხუთი თვის განმავლობაში, საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი ზრდის ნაცვლად, მცირდება. მთლიანი ექსპორტის მატება სრულიად უზრუნველყოფილია რეექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდის ხარჯზე. რეექსპორტი იმდენად სწრაფად იზრდება, რომ მან ადგილობრივი ექსპორტის შემცირება გადაფარა. მთლიანობაში ექსპორტმა საკმაოდ სოლიდური ზრდა მიიღო, მაგრამ ეს სწორედ ამ ტრანზიტული ტვირთების გატარებისა და რეექსპორტის გაზრდის ხარჯზე მოხდა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ტურისტთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. უდავოა, რომ ეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზემნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

უცხოელთა განსაკუთრებული სიჭარბის ფონზე, მნიშვნელოვანია, ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს, როგორია უცხოელ ვიზიტორთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში და, საერთოდ, როგორ გვიცავს სახელმწიფო არასასურველი სტუმრებისგან.

როგორც ცნობილია, რამდენიმე ხნის წინათ, საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ რამდენიმე უცხოელ ჟურნალისტსა და პოლიტიკოსს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის ნება არ დართო, რასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ძნელი იყო პოლიტიკურად ანგაჟირებული ზოგიერთი მედიასაშუალების სიცრუეზე აგებული ბრალდებების მოსმენა - თურმე , იმ ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების საქართველოში არშემოშვება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ლახავს.

კანონისგან შორს მდგარი მოქალაქისთვის ხშირად სარწმუნოა ოპოზიციურად განწყობილი მედიის არგუმენტები, მაგრამ გახმაურებული შემთხვევიდან გამომდინარე, შევეცდებით, კანონის ფარგლებში განვმარტოთ, ჰქონდა თუ არა მესაზღვრეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, უფლება, უცხოელი ვიზიტორებისათვის ყოველგვარი განმარტების გარეშე უარი ეთქვა საქართველოს საზღვრის გადმოკვეთაზე.

ცნობილია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო

სტრუქტურებთან. როგორც წესი, მემორანდუმის საფუძველზე ისინი ფლობენ ინფორმაციას ამა თუ იმ ფიზიკური და იურიდიული პირის შესახებ. ამასთან, თუ ვიზიტორი ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია ტერორიზმსა და სხვა მსგავს დანაშაულებში, რაც სახელმწიფოს ინტერესებს დააზიანებს, მესაზღვრეს უფლება აქვს, უარი უთხრას საზღვრის კვეთაზე, ისე, რომ დეტალურად არ განუმარტოს უარის მიზეზი.

გერმანიის ძალოვნებთან საქართველოს აქტიური თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საერთაშორისო მაშტაბის დანაშაულის, ე. წ. ქოლცენტრების საქმის გახსნა და გამოძიების დაწყება. პროკურატურის ოფიციალური განცხადებით, "ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციის, პროკურატურისა და საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე საგამოძიებო მოქმედებები ათეულობით ლოკაციაზე ჩაატარეს. ფართომასშტაბიან ღონისძიებაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 60 და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების 250-მდე თანამშრომელი მონაწილეობდა. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ხუთი ე.წ. ქოლცენტრის, ათეულობით ფიზიკური პირის, მათი საცხოვრებელი ბინების, ავტომანქანების და სამუშაო ადგილების ჩხრეკა. ამოღებულია ასეულობით ელექტრონული მატარებელი, დოკუმენტაცია და დიდი ოდენობით ფულადი თანხა. ათეულობით ობიექტიდან გამოთხოვილია ელექტრონული ინფორმაცია. ამავდროულად, ყადაღა დაედო, სავარაუდოდ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებებს და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს.

გამოძიების მიერ ამ ეტაპზე მოპოვებული ინფორმაციით, დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, კომპანიების დაფუძნებას და მათ ბაზაზე ე.წ. ქოლცენტრების მოწყობას. აღნიშნული ქოლცენტრების მეშვეობით ევროკავშირის წევრი ქვეყნების, მათ შორის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეების კუთვნილი მილიონობით ევროს თაღლითურად დაუფლებას და შემდგომში მათ გათეთრებას".

საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია ტრანსნაციონალური დანაშაულების გახსნა და, მათ შორის , არასასურველი ვიზიტორების გამოვლენაც.

ჩვენს თემას რომ დავუბრუნდეთ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, **უცხოელს საქართველოს ვიზის გაცემაზე ან საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ საქართველოში მისი ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა პირების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას**. აქვე განვმარტავთ, რომ ჩვენი კანონმდებლობა უფლებას აძლევს უცხოელს, უარის თქმის მიზეზი გაასაჩივროს სასამართლოში და მხოლოდ ამის შემდეგ მოიპოვოს ქვეყანაში ლეგალურად კვლავ შემოსვლის უფლება.

საქართველო არასასურველ სტუმარს ქუჩაში არ ტოვებს, როგორც ეს ბევრ ევროპულ ქვეყანაში ხდება. ამის „საუკეთესო" მაგალითი საფრანგეთია, სადაც თავშესაფრის მაძიებელ ჩვენს მოქალაქეებს ხშირად ღია ცის ქვეშ კარვებში უწევთ ცხოვრება, რისი ამსახველი კადრებიც სატელევიზიო ეკრანებიდან არაერთხელ გვინახავს.

კანონმდებლობის თანახმად, თუ უცხოელს არ შეუძლია დაუყოვნებლივ დატოვოს სასაზღვრო კონტროლის ზონა, იგი დროებით განთავსდება სასაზღვრო კონტროლის ზონაში, მეთვალყურეობის ქვეშ, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

საქართველოში ასეთი საემიგრაციო ადგილები ნამდვილად არსებობს, სპეციალურად გამოყოფილი თავშესაფრითა და მომსახურებით.

რა შემთხვევაში მიენიჭება საქართველოში უკვე ლეგალურად შემოსულ უცხოელს დროებითი, ან მუდმივი ცხოვრების სტატუსი? ამავე კანონის მიხედვით, ნებართვების რამდენიმე სახე არსებობს: შრომითი ,სასწავლო, ქორწონების, ოჯახების გაერთიანების მიზნით გაცემული დროებითი და მუდმივი ნებართვები. აღსანიშნავია, რომ ეს კანონი მუდმივი ცხოვრების ნებართვას ანიჭებს იმ პირს, რომელიც საზღვარგარეთ ტრეფიკინგის ან ძალადობის მსხვერპლი გახდა და აქვს შესაბამისი მტკიცებულებებიც.

კანონის მიხედვით, უცხოელი ბინზესმენებისთვის მოქმედებს საგამონაკლისო წესი: პირს, რომელსაც სურს ბიზნესის დაწყება და საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლება მოიპოვოს, ვალდებულია, ინესტიციის სახით დააბანდოს არანაკლებ 300.000 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარებში.

თბილისის ქუჩებსა და ტრანსპორტში უცხოელი ახალგაზრდა სტუდენტები მრავლად გვხვდებიან. გულწრფელად რომ ვთქვათ, მათი სიმრავლე ხშირად ჩვენი მოქალაქეების გაღიზიანებას იწვევს, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს კანონმდებლობით მათი უფლებები სრულად არის დაცული: **„საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს"**, - ნათქვამია კანონში.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უცხოელები ლეგალური ცხოვრების მოპოვების შემდეგ საქართველოში აქტიურად ეწევიან უკანონო საქმიანობას, რის შესახებაც საქართველოს პროკურატურა საინფორმაციო საშუალებებით გვაფრთხილებს ხოლმე. ამავე კანონის მიხედვით, არც უცხო ქვეყნის მოქალაქეა თავისუფალი იურიდიული პასუხისმგებლობისაგან. მათ უფლებებს საქართველოში მყოფი საკონსულოები იცავენ.

ჩვენი კანონმდებლობა აქტიურად იცავს უცხოეთის მოქალაქეთა ინტერესებს, აძლევს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში მოიპოვონ საქართველოში ლეგალურად ცხოვრების უფლება, საბოლოო უარის შემთხვევაში, თავიანთი უფლებების დასაცავად მიმართონ სასამართლოს.

ლევან ჭიღლაძე
555 75 04 45

რომელ დღესასწაულზე ხარ დაბადებული

1 ივლისი — არქიტექტორის საერთაშორისო დღე
2 ივლისი — საზღვაო ფლოტის მეძღვაურთა დღე.
3 ივლისი — "ფანრის" დაბადების დღე.
4 ივლისი — დამოუკიდებლობის დღე (აშშ).
5 ივლისი — სახრახნისის დაბადების დღე.
6 ივლისი — ამერიკული დოლარის დაბადების დღე $ (1785).
7 ივლისი — მატარებლის დღე.
8 ივლისი — წითელი მზის დღესასწაული (მაროკო).
9 ივლისი — მეთევზის დღე.
10 ივლისი — ფოსტის დღე.
11 ივლისი — მოსახლეობის საერთაშორისო დღე.
12 ივლისი — სტოარდესას დღე.
13 ივლისი — ჯაშუშების დღე.
14 ივლისი — ბასტილიის აღების დღე (საფრანგეთი).
15 ივლისი — ნასკის დაბადების დღე.
16 ივლისი — მეტალურგების დღე.
17 ივლისი — მსუქნების დღესასწაული (ვიეტნამი).
18 ივლისი — მუშაობის დღე (ესპანეთი).
19 ივლისი — ფერმერების დღე (აშშ).
20 ივლისი — ჭადრაკის საერთაშორისო დღე.
21 ივლისი — პირველი ნაბიჯი მთვარეზე, რომელიც გადადგა ლუის ამსტრონგმა (США).
22 ივლისი — პარიზში გაიმართა პირველი ავტომობილებით რბოლა (1894).
23 ივლისი — ვაჭრების დღე.
24 ივლისი — ქოლგის დაბადების დღე.
25 ივლისი — მწერლების დღე (ჩინეთი).
26 ივლისი — შეჯიბრი სპილოების ფეხბურთში (ინდოეთი).
27 ივლისი — გამოიწვა პირველი აგური.
28 ივლისი — სისტემური ადმინისტრატორის საერთაშორისო დღე.
29 ივლისი — ჰალსტუხის დაბადების დღე.
30 ივლისი — ჩიტების დღე (ინდოეთი).
31 ივლისი — ამერიკელმა ასტრონავტებმა შეასრულეს პირველი გაფრენა მთვარეზე (1971).
1 აგვისტო — პურის დღე
2 აგვისტო — საჰაერო დესანტების დღე.
3 აგვისტო — ნიუ-იორკის რადიოში პირველად გამოიყენეს ხმის ეფექტი: ორი ხის ნაჭერით განასახიერეს კარის დახურვა (1922).
4 აგვისტო — შამპანიურის დაბადების დღე (1693).
5 აგვისტო — სერპინგის დღე (იამაიკა).
6 აგვისტო — საგზაომშენებელის დღე.
7 აგვისტო — პარიკმახელების დღე.
8 აგვისტო — უნიტაზის დაპატენტების დღე.
9 აგვისტო — მსოფლიო ხალხების დღე.
10 აგვისტო — ნიუტონის თავზე ვაშლის დაცემის დღე.
11 აგვისტო — „კალგოტკის" დაბადების დღე.
12 აგვისტო — ჩვილების დღე.
13 აგვისტო — ლოგინის დაბადების დღე.
14 აგვისტო — მშენებელის დღე.
15 აგვისტო — არქეოლოგების საერთაშორისო დღე.
16 აგვისტო — ელვის პრესლის მოსახსენებელი დღე
17 აგვისტო — ჩამოყალიბდა ინვალიდების კავშირი.
18 აგვისტო — ებრაელმა მოქალაქემ არყის ბოთლის გადაყლაპვა დააპირა და ყელში გაეჭედა.
19 აგვისტო — ვაშლის დღე.
20 აგვისტო — პირველად გატიტვლდა ადამიანი კამერების წინ.
21 აგვისტო — გამოიგონეს „კადილაკი" (1902).
22 აგვისტო — სექსუალურ თამაშებში გამოჩნდა ახალი „სათამაშო" — ბორკილები.
23 აგვისტო — ჩაფხუტის დაბადების დღე.
24 აგვისტო — პიცის დღესასწაული (იტალია).
25 აგვისტო — მეთიუ უებმა პირველმა გადაცურა ლა-მანშის არხი.
26 აგვისტო — დიასახლისების დღე (აშშ).
27 აგვისტო — ფილმის დღე.
28 აგვისო — სპეცნაზის დღე
29 აგვისტო — პირველად გაიხსნა ალუმინის ქილაში კოკა-კოლა.
30 აგვისტო — ნორვეგიაში სიცილისგან კაცი გარდაიცვალა.
31 აგვისტო — ძაღლმა მემკვიდრეობით მიიღო 5 მილიონი დოლარი.

უვიზო მიმოსვლა არ არის პრობლემა

ექიმი, სასულიერო პირი, პოლიტიკოსი, პარტიის ლიდერი, ოპოზიციის სახე! - ბევრი „ზვანია“ აქვს ზურაბ ჯაფარიძეს, სახელი კი ორი - ზურაბი და გირჩი. „კლიჩკა“ - ჯაფარა.

ერთი ადამიანისთვის ცოტა არაა! იმდენია, რამდენიმეს რომ ეყოფა, მაგრამ მაინც ცოტა.

ჯაფარა იმ ჩიტივითაა, დიდ ქვაბში რომ არ ეტეოდა და პატარაში სულ არ იყო.

ახლა, მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოსთან უვიზო მიმოსვლა გააუქმა ზურაბი-გირჩი „გამანაწილებელ-დამლაგებელია“.

ის არის ყველგან. როცა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ირყეოდნენ, „კრეატიული“ ჯაფარა 2012 წელს „ნაცმოს“ საძმოს წევრი და ამ პარტიის ქვოტით მერვე მოწვევის პარლამენტარი გახდა. ძაღლად რომ არ ჩააგდეს, 2015 წლის მაისში, პავლე კუბლაშვილთან, გიორგი ხაჩიძესთან და გიორგი მელაძესთან ერთად დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“. საკუთარ კარში თამაში დაიწყო, გაუბრაზდა მშობლიურ „სანაცეთს“ აღმასრულებელი მდივანი და ქართულ პოლიტიკურ ოკეანეს ახალი პარტია - „გირჩი“ შემატა.

არ ვიცით, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა „მომავლის ექიმი“, ჯაფარიძე, როგორ ექიმად გაზარდა, მაგრამ, როგორი პოლიტიკოსი დადგა, ვხედავთ. რთული აღმოჩნდა ჯაფარასთვის პოლიტიკურ სივრცეში ეულად თავის დამკვიდრება. ამიტომ, ვიდრე „გირჩელები“ ერთმანეთს დაერეოდნენ, დიდმა პოლიტიკოსმა საკუთარ სახელს დაუმატა - გირჩი. ზურაბ-გირჩის კრეატიული წიაღსვლა სახელის „გაბერვებით“ შემოიფარგლა. არ მოუტანა ამან წარმატება და გამოსავალი იპოვა. ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის პარტია იყო საქართველოში მარიხუანის ლეგალიზაციის მთავარი ინიციატორი, ამის ნიშნად მათ პარტიის ოფისში დარგეს მარიხუანა. და მიუხედავად იმისა, რომ მისი და პარტიის სხვა წევრთა მოქმედება იყო კანონით დასჯადი, ხელისუფლება „გირჩის“ მარიხუანიზაციას გაგებით მოეკიდა. მერე პარტიაში რაღაც ვერ გაიყვეს და 2020 წლის ზამთარში ჯაფარამ მეორე პოლიტიკური მოძრაობა, ისევ გირჩის სახელით, დააფუძნა და ასე გავიდა „ასტრალში“.

ორი „გირჩი“ და ორი სათაური იქით იყოს, არშემდგარი ექიმი გინდ პოლიტიკაში იყოს და გინდ კოსმოსში, ყველგან უნიჭო პოლიტიკოსად დარჩება, მაგრამ ზურაბა გაცილებით საშიშ პერსონად ჩამოყალიბდა, ვიდრე ამის წარმოდგენა ვინმეს შეეძლო.

„გირჩმა“ მოისურვა „დედაენის“ ბაღში მარიხუანას გაყიდვა და ასე გადაიქცა „ბარიგად“. შემდეგ გაიფართოვეს თვალსაწიერი და ერთ „მშვენიერ“ დღეს „გირჩმა“ დააარსა ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლება“, შემდეგ კი ფულის აგროვება დაიწყო. ამონარიდი ინფორმაციიდან: “ბიბლიური თავისუფლება”, რომელიც ახალგაზრდებზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის ასარიდებლად ღვთისმსახურის ცნობებს გასცემს გასაბერი ეკლესიის შეძენას გეგმავს. განცხადებაში ვკითხულობთ:

„ხელისუფლება ცდილობს ბიბლიურ თავისუფლება წარმოადგინოს არარეალურ რელიგიურ ორგანიზაციად. უღმერთო ადამიანები არგუმენტად ცდილობენ გამოიყენონ ტრადიციული რელიგიური დენომინაციებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტების არქონა.

ბიბლიური თავისუფლების იერარქების ლოცვა-კურთხევით გადაწყდა საღვთო მსახურებისთვის შევიძინოთ ეკლესია, რომლის გამოყენების შესაძლებლობა უნდა მიეცეს ბიბლიური თავისუფლების 500-მდე მღვდელმსახურს.

რაციონალური მსჯელობის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ეკლესია იყოს მობილური და იაფი. ბაზარზე არსებული არჩევანებიდან ასეთია გასაბერი ეკლესია.

პროექტის რისკი: უღმერთო და შურიანი ადამიანები სადგისით, რაც დაძლევადია ვულკანიზაციების არსებობის პირობებში.

SWOT ანალიზზე დაყრდნობით გადაწყდა შევიძინოთ გასაბერი ეკლესია.

პროექტის ღირებულება შეადგენს $3000.

შეეწიეთ ეკლესიას ამ საშვილიშვილო საქმის აღსასრულებლად”.

და ასე გახდა ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძე ბარიგა და მღვდელმსახური. ასე გადააქცია ჯაფარამ ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი მომხმარებლად და დეზერტირად. და, როცა მისი მრევლის ერთ-ერთი ახალგაზრდა დაიღუპა, როცა არამართლმადიდებელი პირის წესის აგებაზე მართლმადიდებლურმა ეკლესიამ უარი განაცხადა, ზურაბ-გირჩმა ბრძანა:

„დაკრძალეს“ ის ბიჭი წესის აგების გარეშე

მიმიფურთხებია იმ სასულიერო პირისთვის, რომელსაც არ ჰყოფნის გამბედაობა ზემდგომი ინკვიზიტორის წინააღმდეგ წავიდეს ქრისტეს სახელით

მიმიფურთხებია იმ რწმენისთვის, რომელიც გირჩის ოფისში ხელმოწერილი ფურცლით იკარგება

მიმიფურთხებია იმ ღმერთისთვის, რომელიც შვილმკვდარ მშობლებს ბოლო იმედის გარეშე ტოვებს ამ ქვეყნად

რომელი ჯოჯოხეთის გეშინიათ?

ჯოჯოხეთში ხართ და ცხოვრობთ უკვე დიდი ხანია“.

ესე იგი, ჯაფარამ, გასაბერი ეკლესიის ეპისკოპოსმა, საკუთარ მრევლს წესი ვერ აუგო და რაკი „საკუთარ შვილს არ მოაჭრიდა თავს“, მართლმადიდებლობას „ეცა“.

რა თქმა უნდა, ის, რაც ზემოთ წაიკითხეთ, აპატიეს. არც კანონმა და არც ხალხმა ჯაფარას პასუხი არ მოსთხოვა. ამიტომ თავისულად აგრძელებს ქართულ პოლიტიკურ ოკეანეში ცურვას, ამიტომ ჩამოყალიბდა გირჩი-ჯაფარა ანტისახელმწიფოებრივი განცხადებებისა თუ ქმედებების „შემომქმედად“.

ზურაბა ვერ ისვენებს. არ აგებინეს კანონის ძალით პასუხი, მაგრამ მაინც ისეთი გრანდიოზული ვერ გამოდგა ვერც მარიხუანას მოყვანის და ვერც გასაბერი ეკლესიის „პროექტი“, როგორსაც მოელოდა, ამიტომ ახალი გეგმით შეუტია ახალგაზრდობას.

„გირჩი - მეტი თავისუფლება“ „ფრანკლინის კლუბთან“ თანამშრომლობით გეპატიჟება ზემო სვანეთში ჩვენს გასვლით ყრილობაზე.

შეხვედრის თემაა „მთები და თავისუფლება“ და ის 26-31 ივლისს გაიმართება.

თუ გიყვარს მთა, გსურს გაატარო კარგი დრო თავისუფალ გარემოში, გაიცნო თანამოაზრე გირჩელები, გაუზიარო შენი იდეები და ხედვები გირჩის პოლიტიკოსებს, **CEO**-ს, მმართველი საბჭოსა და სტაფის წევრებს, პირადად ედებატო ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს, ჩაერთო ჩვენ მიერ დაგეგმილ შემეცნებით და გასართობ აქტივობებში, მაშინ გელოდებით მესტიაში, - აი, ახალი „გამოწვევა“.

ბევრი იტრიალა ზურა-გირჩმა, მაგრამ სააკაშვილის გაკვალულ გზას მაინც ვერ ასცდა. ახლა ბანაკების დრო დადგა.

საზოგადოებას ემახსოვრება მიშას ბანაკები და მოწოდება, ბუჩქებში „ეძრომიალათ“ არასრულწლოვნებს. სხვათა შორის, იმ პერიოდში „ალიამ“ ერთ-ერთ ექიმთან გამოაქვეყნა ინტერვიუ, სადაც მან განაცხადა, რომ სააკაშვილის მოწყობილი ბანაკების „მობინადრეებმა“, ბელადის მოწოდება ბუჩქებში „ეხვანხვალათ“, „გეგმის გადაჭარბებით“ შეასრულეს. ექიმმა არ დამალა, რომ ბანაკის მონაწილე 10 გოგონადან 2 ფეხმძიმე დაბრუნდა სახლში. არასრულწლოვნებზეა საუბარი და ეს რომ გარყვნილი ქმედებისკენ მოწოდება იყო, არც ამაზე დავობს არავინ, თუმცა ბელადისთვის პასუხი არავის მოუთხოვია.

ჯაფარამ გაშალა ფრთები და გასაბერი ეკლესიიდან გასაბერ კარვებზე, ტრენინგებსა და ახალგაზრდებისთვის იარაღის მოხმარების სწავლებაზე გადაიტანა აქცენტი.

როცა ჯაფარას ახალ „პროექტს“ „იმედმა“ სიუჟეტი მიუძღვნა, „ერის მამამ“ განაცხადა:

“იმედის სიუჟეტი არ არის საგამოძიებო რეპორტაჟი, ჩვეულებრივი პროპაგანდის ნაწილია. ბევრი აქვთ ნამუშევარი, მასალები თვეების განმავლობაშია შეგროვებული. მასალის ნაწილს კავშირი საერთოდ არ აქვს ბანაკთან.

რატო ჩვენ? ალბათ იმიტომ, რომ ვახერხებთ ახალგაზრდებთან კომუნიკაციას, მოდიან ახალგაზრდები, ინტერესდებიან და გვაქვს საშუალება ველაპარაკოთ. ბევრ პარტიას ამის შესაძლებლობა არ აქვს, ამიტომ ამოგვიღეს ჩვენ მიზანში.

ვინც არ უნდა ჩამოუყვანონ “ბლექ სი არენაზე” ამით იმ ახალგაზრდების გულს ესენი ვერ მოიგებენ, ამიტომ, ცდილობენ ჩვენი კომუნიკაცია გაწყვიტონ.

ბანაკში ვასწავლით: პოლიტიკურ იდეოლოგიებს, სამართლის საფუძვლებს, ეკონომიკას, სახელმწიფო მოწყობას, ამას გარდა, არის სავარჯიშოები და გასართობი აქტივობები.

იმედმა ჩემი ლექცია სრულად გადაიღო, მაგრამ ერთი კადრიც არ გაუშუქებია. ზუსტად იციან როგორი ბანაკია, უბრალოდ იტყუებიან თავხედურად.”

ცოტა ხნის წინ „იმედის კვირის“ გუნდმა შეძლო დეტალურად გაერკვია იმ ტრენინგების შინაარსი და მიზანი, რომელსაც ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე და მისი თანაგუნდელები მართავენ. ფარული ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთი ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილემ „იმედს“ მიაწოდა.

„იმედის“ წყაროს ინფორმაციით, საუბარი „გირჩელებს“ - ანა ჩიქოვანს, გიორგი მოსიაშვილსა და ხვიჩა ბერელაშვილს შორის 2022 წლის სექტემბერში შედგა.

საუბრის მონაწილე ზურა ჯაფარიძის თანაგუნდელები არ მალავენ, რომ მათ და მათ ლიდერსაც ახალგაზრდული ბანაკები კონკრეტული მიზნებისთვის სჭირდებათ. არც იმის თქმას ერიდებიან, რომ ჯაფარიძეს რევოლუციონერის როლის მორგება მოუწევს.

ამასთან, ახალგაზრდულ ბანაკებში დიდი როლი აქვს იარაღს, უფრო კონკრეტულად - ცეცლხსასროლი იარაღის პრაქტიკულ კურსებს.

ღია წყაროებიდან მოპოვებულ ფოტო-ვიდეომასალებში ნათლად ჩანს, რომ უიკენდების შემადგენელი ნაწილია იარაღთან მოპყრობის და მისი მოხმარების სწავლება და ამ მიზნით სემინარებზე სპეციალურად მენტორები ჩადიან. მშობლების დიდმა ნაწილმა კი ამის შესახებ არაფერი იცის. წყარო „იმედის კვირას“ უყვება, რომ ბაკურიანის სემინარზე მენტორის სტატუსით იმყოფებოდა აშშ-ის არმიის ყოფილი ოფიცერი და ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორი დევიდ ბერტელესი.

და მაინც, ჯაფარასთან ყველა ტყუის...

ქეთევან ზარნაძე

ჩემი ინფორმატორები

გაშოტილი ვიყავი, „მამაო ჩვენოს“ ვკითხულობდი გონებისთვალით, როცა გარეთ გნიასი ატყდა: როდის მოეშვები აქ ხეტიალს, შე სომეხო გველოო. ხელწერა ნაცნობია — ნანული და ერვანდა შეიბნენ.

— ჰა, რა გეტაკათ-მეთქი! — წამოვიზლაზნე უხალისოდ ეს ორმეტრიანი კაცი.

— ზურავჯან, ეს ჩინური აზბუკასავით ვერაა, უბერამს, ხომ იცი. მაიტა, სახლში შევიდეთ, თორე ტაფას გვრეხვავს შიგ ბაშკაში, — წყნარად შემომიცუცქდა ერევანდა, მაგრამ ნანულის რა გააჩერებდა.

— ერვანდ, სუსკაც!.. ნანულის შემოვევლე, რა გაყვირებს? — გავძახე ფანჯრიდან.

— არც არაფერი. ეგ არის დამპალი! აი, სომხებს ვერ ვიტან, სულ ეგეთები არიან! — ფანჯრიდან საჩვენებელი თითის დაქნევით იყვირა ნანულიმ.

ბანალური ამბავია: ბავშვობაში ნანულის ერვანდა უყვარდა და ერვანდა ვერ მიხვდა... საქმის მთავარი არსი კი ის არის, რომ ნანულიც სომეხია, მაგრამ მალავს — მხოლოდ მე ვიცი და ვუნახავ საიდუმლოს.

— ზურავჯან, კლიანუს, თუ მაგის მასტს დაიჭერ, არ გიცნობ! — გამაფრთხილა აღელვებულმა ერვანდამ და „ახტამარს“ ისეთი სისწრაფით მოხსნა თავსახური, რომ ხელიდან გაუფრინდა.

— არ! — დავდე ფიცი.

— ზურავჯან, შენ ხო იცი, ინტერესნი ტიპი ვარ, ყველაფერი უნდა ვიცოდე, ეს ინჩა, ტოოო, ვერაფერი გამიგია... ის მასტი ვაბშე რა შუაშია, თუ თავშია, თუ სადაა? ვერ გავიგე — აიღებენ, წაიღებენ, მოიტანებენ, წაიღებენ, უჟე გალავა კრუჟიტსა, ნუუუუუ... — ერვანდას პირველივე ჭიქამ დაუცხრო აღშფოთება.

— ოვა, მასტი? — ცაში ახედვით ღმერთისგან კიდევ ერთხელ ავიღე დალევის უფლება, უხმოდ ვადღეგრძელე ჩვენი სუფრა და ბოლოკი ჩავახრამუნე.

— სანტექნიკ-ლიოვა! ბიძინა, რაااა.... ეეეეეეეე, ორი მილიარდი მქონდეს, ერევანს ვიყიდიდი. ეგ ამბავი, იცი, რა მაგრად კეთდება?

— ერვანდ, ტვინი ნუ გაღუნე, რა გინდა?

— კიდე მე მინდა? გავარიატ, ამ კაცს ფული აქვს და რატომ აქვს! თუ ეგრეა, აგე, იმას რატომ აქვს, რა ჰქვიან იმ ჩემის ვასკა ბაყაყს...

— ვასაკა? ეგ ვინაااა...

— ტო, თვალების ისეთ კვარკვალობას რო აკეთებს, ქამელეონი შურით სკდება — როზოვი ტიპი რო არის, გოჭისფერი.

— რა როზოვი გოჭი და ქამელეონი, გაუბერე?

— ფულს რო ხვეტამს ოქროდ!

— ნაყოფია რამ გაგახსენა, — არცთუ ხალისიანად გადავწექი სკამზე,

— ტო, გავარიტ, ცოტა თვალში გეპატარავებათ უკრაინა და არახამია! არა ხამია კი არა, იმენნნა ხამია! მამენტ, ფულის ხამი მეცა ვარ... კაი ბეშია, გაქვს — კაცი ხარ... ნუ, ამბარცუმასი არ იყოს, მთლად ეგრეც არაა, მაგრამ მაინც ეგრეა... ზურავჯან, შენ, ვატყობ, იშტაზე ვერა ხარ — მაიტა დარდი, გავიყოთ, მაგრამ მაინც უნდა ვთქო: აგე, ხალხს ძმები ჰყამთ და ფული აქვთ, ჩვენა კიდე, არც ძმები გვყამს და არც ფული გვაქ...

— მოიცა, კაცო!

— რა მაიცა! ერვანდა გავარიტ, ბოგ გავარიტ! ზურავჯან, ხომ იცი, მე ფინთად ხელს არ დავადებ არავის...

— ლენინაკანიდან გითხრეს?

— ნეეეე, ულან-უდე! ი, გავარიატ, თუ რომ არაფერს აშავებდნენ, მაშვინ — ათეთრებენო. ვოტ!

— „მაშვინ“ საქართველოს პრეზიდენტისგან ისწავლე?

— ეგაც კაი ფრუქტია, მაგრამ რატო მაგისგან მისწავლია, მე რა, ვერ ვიტყვი?.. ერთი რამე ვერ გავიგე, მაგ აფერისტების ტოჩკებზე ეგეთი ამბავი რატო ატყდა? ჰო, ნუ, აფერისტობენ, მაგრამ გაუშვი, იაფერისტონ, შენგან რა მიდის? ნუ დაგოიმდები და ჟერტვა აღარ იქნები!

— ერვანდ, რატომ იცი ასე წაღმა-უკუღმა ლაპარაკი?

— კიდე მე ვიცი? ტო, მაგ თქვენი გიჟ-ვრაცუას, ჩვენი შურტვაც ჰაის ბერიას შესტიორკა ბიჭის ძმა და უკრაინელი ყიურის მინისტრი, თუ რა ჩემი ფეხებია, იმის დვაირადნიი თუ რაღაცნაირი ძმა, მურავეი-ბლოხას ამბავში დაძმობილებულან, მაიტა, ერთად ვიაფერისტოთო და ამ ჩვენს პლეხანოვზე ის აფერისტების სალონი გაუხსნიათ, როგორიც რომ „ტონტორიკას“ აქვს. ნუ, ამის ძმისგან იმის ძმამ იქირავა სააფერისტო კვარტირა, მითამ ჩვენ ისეთი ჩურბანები ვართ, რო მაგასა ვთოხლამთ. თან იცი, რა მაგარი სახელი ჰქვიან იმ შპს-ს — „მისანი“, მოლ, ყველაფერი ვიციითო... ეხლა არახამია გავარიტ, საქართველოს რუსეთთან ომი არ აწყობსო — შარშან ხო მაგრად გვაწყობდა, აი!

— საიდან მოიგონე? — ნამდვილად გამიკვირდა.

— ვაა, კიდე მე მოვიგონე? მე რა მოვიგონე, მთელი ტელევიზორი მაგას ამბობს! უფრო მაგარი პრიკოლი გითხრა, რაღა! ადეიშვილ-ბერიას შესტიორკას რო ჰყამს ვიღაც პატა, მაგან უთხრა, ბატონ გიორგის ეგ ქოლცენტრები ხელისუფლებამ ჩაუდოო. ტო, რანაირად ჩადო, პლანია თუ ბებუთი? მაგას თუ ეგრე ჩუმად უდებენ ამოტენა სალონებს, ფრთხილად უნდა იყოს, რამე პატარაც არ შეუცურონ!.. — ახითხითდა ერვანდა

— ღადაობ?

— კლიანუს! ის გოგო კიდე, მახატია, ამბობს, არახამია დედისერთაა, ის ბიჭი მაგის ძმა მამით არისო. ვაა, რა სმეშნოი ტიპშაა — ზნაჩიტ, დედისერთა და მამისორა ყოფილა, ვაბშემც სამნი გამოდიან, — გადაბჟირდა ერვანდა.

— ქოსატყუილებო, მოვდივარ! — გადმოგვძახა უცნაური ინტონაციით ნანულიმ.

— ტო, ამას მოვკლავ თუ კიდე გიურზა მითხრა! — გამაფრთხილა უცბად დასერიოზულებულმა ერვანდამ.

— გასკდა გული! წავიდა „სემ სოროკი!“ — ეზოში ბრუნვა-ტრიალით შემოენთო სახეწაშლილი ნანული.

— ტოჟე მნე „კარინის“ წევრი... ამან ვაბშე ცეკვა იცის? ვასპურაკან და მერე იქიდამ ცეკვა, როგორც რომ თამაშიდან გაკეთებული გმბეტახახი!

— მიდი, კაცო, ეცეკვე, სამ ტანცუეტ, სამ პაიოტ, — დავამშვიდე ერვანდა და ნანულისკენ შევტრიალდი: ნანული, გამაგებინე რა ხდება, რა დროს ცეკვაა. ერვანდამ რაღაც ამბავი მომიტანა, მართლია?

— ეგრეა, ეგრე... ზურა, რა მიკვირს, იცი, თუ ესეთი დანაშაულია ეგ ოხერი ქოლ-ცენტრები, ასე სოკოებივით უცბად რანაირად აღმოცენდა და თან სულ ჩემებთან? — ამჯერად, მაგიდაზე მოკრძალებით დადო რაღაც შეხვეული.

— არ ვიცი, ნანული, რა გითხრა, მეც დაბნეული ვარ... ეს რა მოიტანე? — ალალად ვკითხე.

— უმაგრესი სუჯუხი და ბასტურმაა, სახლში გაკეთებული. ახლობელმა გამომიგზავნა სომხეთიდან და გიწილადე, — უცნაურად დამტკბარი იყო ნანული.

— ნანულავჯან, ცავატანემ, სიცხე გაქს? — ვითომ შუბლზე ხელის მისადებად წამოიწია ერვანდა.

— სიცხე შენ გაქვს! წადი დანა მოიტანე! ორი ამხელა კაცი დამჯდარხართ და სუფრაზე ერთი დანა არ გიდევთ, თქვენ ხომ ნორმალურები არ ხართ! — მაინც გაგვკრა კბილი ნანულიმ.

— დავჯე, გოგოვჯან, შენ არ შეწუხდე, ორ ცალს მოვიტანებ, კნეინავჯან, ოღონც გიურზა არ მითხრა, — დანის მოსატანად სასწრაფოდ გაცუკცუკდა ერვანდა.

— ნანული, რაღაც ხდება, მითხარიმ სანამ ის მოსულა, — ხმადაბლა ვუთხარი ნანულის და მისკენ გადავიხარე.

— მეშინია, ზურა! ასე დასაჭერად თუ გაუხდა საქმე მთელ „ნაციონალურ მოძრაობას“, რა გვეშველება ამდენ ხალხს? ყველანი ციხეში ხომ არ შეიძლება? იქ მიშიკო, გვერდზე ნიკა...

— ახლა მოიცაااა! — გორგასალივით გამაფრთხილებლად ავწიე მარჯვენა.

— ძირს ნიკოლოზ, მაღლა მიშა, შალიკოოო... ნანულიჯან, ამერიკელი ტიპი როა, კარლსონი, მაგას კარლსონი რათა ჰქვია, ჩერდაკში ცხოვრობს და მურაბების ჭამით სკდება? — თვალი ჩამიკრა ერვანდამ, დანა თავისკენ დაიდო, სირჩა ნანულის მიუჩოჩა.

— მაგას არ გაუთენდეს ხვალინდელი დღე! მასე მოუხდება, ხო მოაძრეს ტელევიზიიდან! — ნანულიმ გულიანად მიაწყევლა ტაკერ კარლსონს და ჩვენს მიმართ ისევ დატკბა: კარგით რა�ა, ამომაღებინეთ ხმა და მეც დამისხით, — ისე საცოდავად თქვა ნანულიმ, მე და ერვანდამ ხელი ერთდროულად წავატანეთ „ახტამარის“ ბოთლს.

— მიდი, ნანულიჯან, ცავატანემ, ამოშაქრე, — გული გაუთბა ერვანდას და სირჩა პირამდე გაუვსო.

— პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ ჩვენები და თქვენები უარზე არიან, კვალი თქვენკენ მოდის და საქმეში ჩახედვა გინდათო? საწყალმა აიტიშნიკმა გოგომ თავი რომ მოიკლა, ხომ გახსოვთ. მგონი 75 000 ათასი ჰქონდა შეგროვებული და ბანკში ედო. მანქანა ჰყავდა, არაფერი აკლდა. მოდი, აბა, ვთქვათ, ერთი რიგითი პატარა გოგო, უბრალო აიტიშნიკობით ამხელა თანხას ხომ ვერ შეაგროვებდა. საქმის გამოძიება, თან იმ მიმართულებით, რომ მოკლეს და თანაც თქვენმა „ოცნებამ“, ერვანდას „ტონტორიკამ“ დაიწყო, ნუ ჩვენებმა. ძალიან მონდომებული იყო „ტონტორიკა“. დაიწყეს ამ გოგოს ცხოვრების ჩიჩქნა და თან ისე, რომ სახელი გატეხოდა, ლამის ლესბიანკადაც გამოაცხადეს. ძალიან მიკვირდა, ეს ამბავი. რაღაც ბავშვთა პორნოგრაფიაზე და ათასნაირ სისულელეებზე ლაპარაკობდნენ. ისიც კი თქვეს, ვითომ რაღაც სამხედრო საიდუმლო მასალებზე ფლობდა ინფორმაციასო, იარაღის ტრანზიტი თუ რაღაც სხვა. ახლა სხვა აზრი აღარ მიჩნდება, იმ საწყალი გოგოსგან ან ქოლ-ცენტრების ამბავმა გაჟონა, ან რამე მაგდაგვარი და მუქარით თუ შანტაჟით, თავი მოაკვლევინეს, — გვითხრა ნანულიმ ლამის ჩურჩულით და უმწეოდ შემოგვხედა.

— მერე შენ რა? აგე, ჩვენთან 8-სართულიანიდან ქალი როცა რო გადმოხტა, მაშინაც ეგრე თქვეს, ზასტავილიო, მაგრამ მე სულაც არ შემშინებია, ხოშიანად მეძინა ღამე, — ემოცია არ ჰქონდა ერვანდას.

— ეს რა ჩლუნგია! მე ის, რომ ყველანი ერთმანეთზე არიან გადაბმულები და მასე გადაბმულად დაიჭერენ. ახლა ტყუილად არ ამოიწია ისევ მაგ გოგოს ამბავი ახლიდან, — აღშფოთება გაერია ხმაში ნანულის, მაგრამ მაინც ხმადაბლა თქვა.

— აგე, ხომ გეუბნევი, კრიმინალების სექტა ხართ! — გამხიარულდა ერვანდა.

— მომწყდი თავიდან, თორემ მიგასხმევინებ ტვინის ნარჩენს მაგ ბოთლზე! — აღშფოთება მოეძალა „ნაცსექტის“ გაგონებაზე ნანულის.

— ნანული, რამდენი გიფიქრია, გოგო, რა მოგივიდა? — რაღაცნაირად შემეცოდა დამფრთხალი ნანული.

— ზურავჯან, რა მოუვიდა და, ეტყობა, ამასაც რაღაც ქაქი აქვს ნაჭამი და სროკის ეშინია. ნუ გეშინია, ნანულავჯან, იქაც ყველანი ერთად იქნებით, ბელადიც სროკზე გყამთ და ჩემ „ტონტორიკასაც“ გაიცნობ. აიტკიებთ დუმებს, ატეხავთ გალადოვკას, კუჭშიც შეიკვრებით, ბელადი მანახეთო და ეგაა, რააა! „ნაცსექტა“, ოღონც, ჩერეზ ზაბორ, ზაპრეტკაში. პერედაჩს მოგიტანებთ ხოლმე მე და ზურა, — ისე გამხიარულდა ერვანდა, აქეთ მას ვეღარ ვცნობდი, იქით — დარდისგან დამტკბარ ნანულის.

— ნეტაი შენ, რომ დარდი არ იცი და ფეხებზე გკიდია ბალი ათი შაური, — მშვიდად მიმართა ნანულიმ ერვანდას და სიტყვის უთქმელად გადაჰკრა.

— კანეჩნა, ფეხებზე მკიდია თქვენი სექტა! სიმახინჯიზაცია ხო მოგწონდათ, ჰოდა, ეგაც თქვენაااა!

— შენზე დიდი სიმახინჯიზაცია ვინღაა? — არ შეეპუა ნანული.

— მეე? ჩემგან რა გინდა, ტო, ქიშმიშიანი ბულკივით ბიჭი ვარ! — იუკადრისა ერვანდამ.

— ერვანდ, სიმახინჯიზაცია საიდანღა მოიგონე, რა არის, — სიტყვაზე გამეცინა, მაგრამ ვერ მივხვდი, რა დააყვედრა ნაცქესტას.

— ტო, მცენარეს რო უჩდება მაზოლივით, ზედმეტი რაღაცა, სიმახინჯე, რა! ეგ რაღაცა მაიმუნი სასტავების ბრალი ხო არი და, მწერების საცხოვრებელი ადგილიცაა, საჭმელიცა და ჰამა, გასამრავლებელი ადგილი. იმ სიმახინჯეებს გალა ჰქვიანთ. ჰოდა, ეს მთელი ნაბიჭვრები ერთად ცხოვრობენ და არიან ბედნიერად. მწერები, რომლებიც რომ იმ გალებს აკეთებენ, აი, ძაან რედკად რო მკვებავ მცენარეს ვრედნობა დამართონ და ცხოვრობენ ერთად კაი გულავში. ტო, იმ მცენარით არსებობენ და გიჟები არიან, რო რამე დაუშაონ? გიჟების სბორნი მარტო ამათი სექტაა რო კიდე „ოცნებას“ ევრედნებიან. ტო, ტუპოი მწერი ხვდება, ვინც რომ აცოცხლებს და აგულავებს, იმას არ უნდა ევრედნო და ეს ჩვენისები ნაბაროტ იქცევიან.

— კოჰაბიტაცია? — გამეცინა გულიანად.

— ზუსტადაც! ეგა ჰქვიან, — დაბეჯითებით მითხრა ერვანდამ.

— რომელი ბოტანიკოსი შენა ხარ, ბიჯო!

— მე რათა, ოდესაში ლიუდა იყო, კამფეტ! იმან მასწავლა. კიტაიდან ჩამოტანილი ერთი რაღაც ყვავილი ჰქონდა, ტვინი მქონდა შეჭმული, რაღაც ავადმყოფობა გაუჩნდა, გახმებაო. ვა, ჩავაკითხე სეზონზე და ყვავილი ისევ არი. კიდე — ისევ არი! მეთქი, ლუდაედ, ცავატანემ, აკი გახმება, რათ არა ხმება? ჰოდა, ეგრე ამიხსნა, რო მაგასა ჰქვიან კოჰაბიტაცია და მითომ მიტომ აღარ გახმება. ის პარაზიტები იმ ყვავილში ცხოვრობენ, იმ ყვავილსა სჭამენ, გასტინიცადაც ეგა აქვთ და პრასტიტუტკების მისაყვანადაც, ერთად ცხოვრებით ყველანიც ხოშიანად არიანო.

— ლიუდაო! ესეთი ლოთი და ბოზი კაცი მეორე გინახავს? ჩვენ გაგვიმარჯოს! — ამრეზით გადახედა ნანულიმ ერვანდას, მაგრამ სადღეგრძელოში მაინც არ გარიყა.

— ჩვენ დიდება, ღმერთს მშვიდობა! — გადაჰკრა ერვანდამ.

— ბიჯო, ეგ პირიქითაა, — ვერ მოვასწარი სიტყვის შეწევა.

— ჰოო? მაშინ, ორივე ღმერთსა ჰქონდეს, იმან გაჰყოს!

— დიდება უფალს!

ზურა ოშხერელი

ხეთები – ალაპარაკებული ქვები



(დასასრული. დასაწყისი „სგ“ N11,13-15)

ბორჯომ-ხარაგაულის ტერიტორიაზე არსებულ ე.წ. „ქვის ვეშაპშიც“ ჯერ კიდევ იმ დროს ვიყავი, ედუარდ შევარდნაძე მოსკოვში რომ მოღვაწეობდა. 28 აგვისტო იყო, მარიამობა. ერთმანეთისთვის უცნობი რამდენიმე ადამიანი შევიკრიბეთ ნუნისში, მთაში ბილიკებითა და მდინარის ხმაზე მიდევნებით მისულები — სხვა მინიშნება არ გვქონია. მხოლოდ მამაკაცები იყვნენ, უცხოელების ყოფნამ გამაოცა. ვერ მივხვდი, რანაირად გაიგეს კანადელმა, ამერიკელმა, ისრელიდან სპეციალურად ჩამოსულმა „ცნობისმოყვარეებმა“ ამ შეკრების შესახებ, ან რამ დააინტერესა ისინი. ჩვენი მისვლიდან მალევე რაღაც ხმა გავიგონეთ, აღმოჩნდა, ვერტმფრენით ედუარდ შევარდნაძე ჩამოფრინდა თანმხლებ პირებთან ერთად სპეციალურად მოსკოვიდან. რადგან მხოლოდ ორი ქალი ვიყავით, ჩვენმა მეუღლეებმა აღარ მოისურვეს იქ ღამისთევა და წამოგვიყვანეს. ამდენად, რა ითქვა ნუნისში და როგორ გაგრძელდა შეკრება, არ ვიცი.

ადგილობრივ მცხოვრებლებთან საუბრისას გავიგე, რომ გადმოცემის მიხედვით, იქ, მთებში, პატარა ქვაბულში არცთუ შორეულ წარსულში, 12 ბერი სახლობდა, რომელთაც არანაირი კონტაქტი არ ჰქონდათ მოსახლეობასთან. გადმოცემას არ შემოუნახავს ინფორმაცია, საიდან გაჩდნენ ბერები იქ, მაგრამ თურმე ერთ Dდღეს მწყემსმა აღმოაჩინა, რომ ბერებმა ცოცხლად დაიმარხეს თავი ქვაბულში და შესასვლელი ამოგმანეს იმ ლოდით, რომელიც პირადად მაქვს ნანახი. მას შემდეგ იმ დღემდე (20 წლისწინანდელ დღეზე ვამბობ) ღამით, არცთუ იშვიათად, თუ ლოდზე ყურს მიადებ, მიწის სიღრმიდან, ლოდის მიღმიდან მამაკაცები მღერიანო — ამ სიმღერის მოსმენა მინდოდა... მას შემდეგ იქ აღარ ვყოფილვარ და დღეს რა ხდება, არ ვიცი.

საქართველოში არაერთი ქვაბულია, რომელთა პირდაპირი დანიშნულება დღეს უცნობია, მხოლოდ ვვარაუდობთ რაღაცებს, მაგრამ იქნებ, ეს ქვაბულები ჩვენმა გონიერმა წინაპარმა იმ დროს გამოთხარა, როცა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დავიწყებული კოსმიური ცოდნა? ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ კლდეში „გამოთლილ“ ყველა ქვაბულს თუ გამოქვაბულს, სასმელი წყლის საკითხი „მოგვარებული“ აქვს. „გამოცხადებაში“ წერია, რომ ციდან ჩამოვარდნილი დიდი ვარსკვლავი დავარდება მდინარეების მესამედ ნაწილზე და დიდძალი ხალხი დაიხოცება წყლებისგან, რადგან ისინი დამწარდება და სასმელად უვარგისი გახდება. თუ ჩვენმა წინაპარმა შთამომავლობისთვის არ გამოთხარა ამდენი ქვაბული და ის საიდუმლო ცოდნის მფლობელი არ იყო, რანაირად უნდა გაეთვალა, რომ წყალს აღმა დაეწყო დენა ქვაბულში? როგორ ადის ვარძიაში წყალი ქვემოდან ზემოთ? ან ქვის „ვეშაპში“, რომლის ზემოთ ჰაერია, ქვემოთ — სიცარიელე, შიგ ვეშაპში კი სასმელი წყალი ჟონავს. საიდან? — ალბათ, წარსულიდან, ანუ სხვა განზომილებიდან... ზეციური ველით დამუხტული წყალი ძალზე უგემურია, მაგრამ საუკეთესო წამალია დაწყლულებული კანის სამკურნალოდ, რაც უპირველესი თანმდევია რადიაციული დასხივებისა...

იგივე თვისებების წყალი, ნუნისის გარდა, საქართველოში სხვაგანაც არის და მრავლადაც. ისევ ქართული ზღაპრები მახსნდება, კვლავ წყალთან დაკავშირებული, — ქართულ ზღაპრებში ხომ მუდმივად უკვდავების წყალს დაეძებენ ზღაპრის გმირები...

ბიბლიური წინაპრები, წინასწარმეტყველები ათას წელზე მეტხანსაც ცოცხლობდნენ, — იქნებ, მათ სწორედ ზეციური ველით დამუხტული წყლების ადგილმდებარეობა, მათი საიდუმლო თვისებები იცოდნენ და ასე იხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს?

ცნობილი ამბავია, რომ 1972 წელს ეშერას ლაბორატორიაში ჩაუშვეს კომისია, რომლის წევრები ქართველი მეცნიერებიც იყვნენ: ჯუმბერ ლომინაძე, ვახტანგ აბაშიძე და გერმანე გობეჯიშვილი. როგორც ჯუმბერ ლომინაძე ამბობდა, საქართველოს ქვეშ არის გიგანტური ლაბორატორია, სადაც გენეტიკური ექსპერიმენტები რამდენიმე ათასი წლის წინათ ტარდებოდა, რომელიც შემდგომში დააკონსერვეს და დღეისთვის წყლით არის ამოვსებული. ამ ლაბორატორიაში რამდენიმე ჩასასვლელი ყოფილა. ჩასასვლელების შესახებ ბევრს სმენია, მაგრამ ადამიანებს გონება აქვთ დახშული და სასაცილოდ არ ჰყოფნით მსგავსი საკითხებიო...

ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო... 1965 წელს მოსკოვმა დაიწყო გეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები საქართველოში. კონკრეტულად, ხარაგაულის მიდამოებში აწარმოებდნენ დაბურღვით სამუშაოებს და მოხდა უცნაური რამ, ბურღვის დროს ბურღი ქვემოთ, სადღაც სიცარიელეში ჩავარდა. ჩაუშვეს სპეციალური აპარატი და წყალი აღმოჩნდა. ბურღი სხვა ადგილზე გადაიტანეს და იქაც იგივე განმეორდა, ყველგან წყალი და სიცარიელე იყო. როდესაც ეს ამბავი ახლომახლო სოფლებშიც გახმაურდა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მეცნიერებს აჩვენეს გამოქვაბულები, საიდანაც მიწის ქვეშ ხვრელები ჩადიოდა. რამდენიმე მკვლევარი მიწის სიღრმეში იმ დონემდე ჩავიდა, სადამდეც შესაძლებელი იყო. მათ სენსაციური ამბავი ამოიტანეს, რომ მიწისქვეშ აშკარად შეიმჩნეოდა ხელოვნური ზემოქმედების კვალი. როგორც ისინი ამბობდნენ, მიწისქვეშეთში იყო გიგანტური მეგალითური ბლოკებით ამოყვანილი შახტები, რომლებიც სიღრმეში მიემართებოდა. სასწრაფოდ დაკონსერვდა სამუშაოები და იქაურობა აკრძალულ ზონად გამოაცხადეს. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ გამოჩნდნენ მოსკოველი მკვლევარები, რომლებმაც ჩაატარეს კვლევები და დაადგინეს, რომ საქართველოს ქვეშ ნამდვილად არის გიგანტური სიცარიელე, რომელიც წყლით არის ამოვსებული და ყველა ჩასასვლელი დალუქულია. აღმოჩნდა, რომ სადღაც მიწისქვეშეთში ჩასასვლელები კიდევ რამდენიმე ადგილას არსებობს: ეშერაში, მარტვილის მიმდებარე კლდეებიდან, ზომლის მთიდან, ხარაგაულის ნაკრძალიდან, რაჭის სოფელ ღებიდან. აგრეთვე, იალბუზის მთიდან, ბაქსანის ხეობიდან...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უამრავი საიდუმლო მასალა გაიყიდა საზღვარგარეთ. როგორც ჩანს, მედიაშიც მოხვდა ზოგიერთი მასალა და სწორედ მას შემდეგ დაგეგმა „დისქავერმა“ გადაღება საქართველოში არსებულ საიდუმლო ადგილებზე. როგორც კულუარულად გავრცელდა ინფორმაცია, გადამღები ჯგუფის ხელმძღვანელმა რაღაც შემაძრწუნებელი უცნაურობა აღმოაჩინა მთებში, რის გამოც გადაღება შეწყდა და გადამღებმა ჯგუფმა სასწრაფოდ დატოვა საქართველო. ჯერჯერობით არც ის არის სამზეოზე გამოსული და არც ის ვიცით, რის გამო მიატოვეს გადაღებები.

იქნებ, საქართველოს სიღრმისეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაში უდიდესი საიდუმლოა ჩადებული და, სავარაუდოდ, ეს იცოდა ჰიტლერმაც. იქნებ, მართლაც ეს იყო მისი ინტერესი და ეს საიდუმლო საქართველოს ყველა ისტორიული მტრისთვის არის ცნობილი? იქნებ, სწორედ ეს არის ახალდროების „ოქროს საწმისი“?

იქნებ, არც ჩინელების საქართველოთი დაინტერესება უნდა მივიჩნიოთ შემთხვევითობად? უძველესი ერია, თავიანთი ბევრი საიდუმლო აქვთ და ბევრი რამ იციან სხვების შესახებაც. მეორედ მოსვლა ახლოვდება და იქნებ, იმ ადგილისკენ მოდიან, რომელიც უნდა გადარჩეს;

მახსოვს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, სუხიშვილების ანსამბლს იაპონიაში რომ ჰქონდა გასტროლები, რომელიღაც ქართულმა ცეკვამ აღაშფოთა დარბაზში დამსწრე სწავლული იაპონელი — ეს საკრალური მოძრაობებია, ამის საქვეყნოდ ჩვენება როგორ შეიძლებაო; მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში, სადმე თუ შეგხვედრიათ ის უცვლელი სიუჟეტი, რომ მიწისქვეშეთში მიჰყავს ფასკუნჯს უფლისწული... მოკლედ, ბევრი რამ გამახსენდა ჰიტლერის „ღრუ დედამიწის“ გადამკიდეს და, უპირველესად, ჩვენი ნუნისი, ბალნეოლოგიური კურორტი ხარაგოულის მთებში, „ვეშაპის მუცელში“. ჰიტლერს მასხრად იგდებდნენ „ღრუ დედამიწის თეორიის“ გამო, მაგრამ ამ თეორიას მილიონობით მიმდევარი გამოუჩნდა მსოფლიოში.

ადამიანთა ნაწილი თუ ცაში „ხედავს“ სხვა სამყაროს, ნაწილი მიწაში, ანუ აქვე, დედამიწაზევე მოიაზრებს დედამიწაში ჩასასვლელ(ებ)ს. რაოდენ უცნაური დამთხვევაც უნდა იყოს, მხოლოდ ქართულ ხალხურ ზღაპრებშია ერთდროულად წარმოდგენილი ქვესკნელში ჩასასვლელიც და ზესკნელიც, სადაც დედამიწისგან განსხვავებული დროის მდინარეობაა. მხოლოდ ქართული ზღაპრების გმირებს ამოაქვთ ქვესკნელიდან სამ დღეში უკვდავების წყალი, თუმცა დედამიწაზე ამოსულებს უკვე იმდენი ხანი ხვდებათ გასული, რომ მათი ნაცნობ-საცნობი არავინ და აღარაფერია...

იოანე, 8, 42-ში იესო ამბობს: „მე გამოვედი და მოვედი ღმერთისგან...“

ჩვენ ვიცით, რომ იესო ცად ამაღლდა, ამიტომ მის სამყოფელს ზეცაში მოვიაზრებთ, რაიმეს თხოვნისას ზეცას შევცქერით, მაგრამ არ ვუკვირდებით, იესო რას ამბობს. იგი არ ამბობს, რომ საიდანმე ჩამო-ვიდა, ის ამბობს, რომ საიდანღაც გამო-ვიდა... რა შეიძლება იფიქროს ადამიანმა...

რაღაც აქვს კოდირებულად შემონახული ქართულ ხალხურ ზღაპრებს ზეპირსიტყვიერად, რაც ქვესკნელს წარმოაჩენს უპირატეს სამყაროდ (სადაც სულაც არ მოიხსენიება მიცვალებულთა სულები), სადაც ცოდნაა, სულიერი საგანძურია, მაგრამ რა არის ის რაღაც, ამის ახსნა ჯერ კიდევ არ ძალუძს ადამიანს...

ნუნისი კიდევ ერთხელ მაშინ გამახსენდა, როცა გავიგე, რომ ედუარდ შევარდნაძეს („ვარდების რევოლუციამდე“ ცოტა ხნით ადრე, „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ძალას რომ იკრებდნენ, დაახლოებით 1997-1998 წლები იქნებოდა) იჯარით გადაუცია ის ტერიტორია ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის.

— მათ იციან, იქ რა არის! — შევყვირე გველნაკბენივით, მაგრამ რადგან ვერავინ ჩასწვდებოდა იმის აზრს, რაც უნდა მომეთხრო ნუნისის გამოქვაბულის შესახებ, იქვე ჩავჩუმდი... ორგანიზაცია გერმანული იყო, — ისევ გერმანია!..

მაკა ჯაყელი



დროულად და სწორად ჩატარებული მკურნალობის შემთხვევაში, სიმსივნე განაჩენი არ არის

ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკის მაღალტექნოლოგიური ცენტრი ონკოლოგიურ პაციენტებს მკურნალობის სრულყოფილ სამედიცინო სერვისს სთავაზობს, სადაც ერთ სივრცეშია შესაძლებელი ყველა საჭირო ლაბორატორიული თუ ინსტრუმენტული კვლევის ჩატარება.

კიბოს ადრე მოხუცებულთა დაავადებას ეძახდნენ, ბოლო წლების განმავლობაში კი პაციენტთა რაოდენობის ზრდისა და „გაახალგაზრდავების“ ტენდენცია აღინიშნება. 2020 წლის მინაცემებით, მხოლოდ სარძევე ჯირკვლის სიმსივნით დაავადებულთა რაოდენობა 38 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის - გოგონებშიც.

როგორც კლინიკის ექიმი-მამოლოგი, ონკოქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ციხისელი აღნიშნავს, ერთ სივრცეში წარმოდგენილი ყველა სერვისი ბევრად უიოლებს ექიმს მუშაობას, კომფორტულია პაციენტისთვის და მნიშვნელოვანია მკურნალობის პროცესის მეტი ეფექტიანობისთვის.

* * *

როგორ ხდება სარძევე ჯირკვლის სიმსივნის დიაგნოსტირება, რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემის ადრეულ სტადიაში აღმოჩენა და რამ გამოიწვია დაავადებულთა რაოდენობის ზრდა, ინტერვიუდან შეიტყობთ.

გიორგი ციხისელი: ონკოლოგია არის პრობლემა, რომელიც სამ ძირითად მეთოდზე დგას. ესენია: ქირურგია, სხივური თერაპია და მედიკამენტოზური მკურნალობა. ცალკე ონკოლოგიის არსებობა, სადაც განიხილება მხოლოდ ქირურგია, მხოლოდ სხივური თერაპია ან მედიკამენტოზური მკურნალობა, არ არის გამართლებული. ახლა, როცა საქართველოში აღარ არის ონკოლოგიის ცენტრი და ონკოლოგიის მიმართულებით უამრავი ლიცენზირებული კლინიკა გაიხსნა, უმეტეს შემთხვევაში, ეს სამივე კომპონენტი ერთად არ არის წარმოდგენილი. ანუ კლინიკებში არის ან მხოლოდ ქირურგია, ან მხოლოდ მედიკამენტოზური მკურნალობა. რაც შეეხება სხივურ თერაპიას, დღესდღეობით, თბილისში მხოლოდ ოთხ კლინიკაშია შესაძლებელი სხივური თერაპიის ჩატარება და მათ შორისაა ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკა.

- ბატონო გია, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, ვისაც სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს და არის თუ არა 21-ე საუკუნეში კიბო განაჩენი?

- დროულად აღმოჩენილი და სწორად ჩატარებული მკურნალობის შემთხვევაში, სიმსივნე ნამდვილად არ არის განაჩენი, ოღონდ საჭიროა რამდენიმე მთავარი კომპონენტის გათვალისწინება. პირველია ის, რაც ზემოთ აღვნიშნე - სად უნდა ვიმკურნალოთ, რომელ კლინიკაში? - პატარა კლინიკაში, თუ კლინიკაში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და არსებობს მკურნალობის ყოველგვარი საშუალება! მრავალპროფილურ კლინიკაში შესაძლებელია არამხოლოდ ამბულატორიული სხივური თერაპიის ჩატარება, არსებობს სტაციონარი და, გართულების შემთხვევაში, არის შესაძლებლობა, პრობლემა დროულად მოგვარდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია პაციენტისთვის და მკურნალობის შედეგისათვის. გარდა ამისა, ნებისმიერ დროს შეიძლება გავრცელდეს ან გართულდეს დაავადება და საჭირო გახდეს, დავუშვათ, კარდიოლოგიური ჩარევა, ჰეპატოლოგის დახმარება, თირკმლის პათოლოგიების მართვა... რაც არცთუ იშვიათია ავთვისებიანი სიმსივნის მკურნალობის პროცესში. ასეთ დროს აუცილებელია პაციენტის ჰოსპიტალიზაცია და მისი დაავადების გართულებების სწორი მართვა. მრავალპროფილურ კლინიკას აქვს ეს უპირატესობა, სადაც ერთი სახურავის ქვეშაა მოქცეული ყველაფერი, არის დაავადების თანამედროვე მეთოდებით გამოვლენის, სწორი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის სწორად წარმართვის საშუალება. მხედველობაში მაქვს პათომორფოლოგიური ლაბორატორია, ციტოლოგიური ლაბორატორია, ექოსკოპიური კვლევები, პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი, რაც მკვეთრად უიოლებს ექიმს მუშაობას და აძლევს შესაძლებლობას, საწყის სტადიაშივე აღმოაჩინოს ნებისმიერი ლოკალიზაციის სიმსივნე, ხელს უწყობს კვლევის პროცესის უშეცდომოდ წარმართვას.

- თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ამ პროფესიას ემსახურებით. როგორი იყო ონკოლოგია თქვენი გზის დასაწყისში და როგორია ახლა?

- როგორც განვითარდა ცხოვრება, ასევე განვითარდა ონკოლოგია. 50 წლის წინათ ხომ საუბარიც არ შეგვეძლო მობილური ტელეფონის და ინტერნეტის არსებობაზე, რაც დღეს თანამედროვეობის განუყოფელი ნაწილია. ასევეა ონკოლოგიაშიც, მისი განვითარებაც ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა. თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით საკმაოდ მარტივია სიმსივნის ვიზუალიზაცია. თუმცა, ათწლეულების განმავლობაში, არაფერი იცვლება ამ მხრივ და კვალავაც რჩება მთავარ პრობლემად ადამიანის ზერელე დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ. წლები გადის და ამ პრობლემის მოგვარება არ ხერხდება. ადამიანი რატომღაც ფიქრობს, რომ მას არასდროს შეეხება არც ხანძარი, არც მიწისძვრა, არც ავარია, არც ონკოლოგიური დაავადება... სინამდვილეში ასე არ არის! ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება მოხვდეს არასასურველ სიტუაციაში. ამიტომ პროფილაქტიკური გასინჯვები, რაზეც ამდენს ვლაპარაკობთ, ამდენი იწერება... საჭიროა და აუცილებელი!

ყველა ქალბატონმა, 40 წლის შემდეგ უნდა ჩაიტაროს სარძევე ჯირკვლის სკრინინგი, მამოგრაფიული გამოკვლევა პროფილაქტიკის მიზნით, რაც 40-70 წლის ქალბატონებისთვის უფასოა. სკრინინგის მთავარი მიზანია, ჯანმრთელ პოპულაციაში, ადრეულ სტადიაში აღმოაჩინოს დაავადება.

- ბატონო გია, სიმსივნის გამოვლენის ასაკი ნამდვილად „გაახალგაზრდავდა“ თუ ის ადრეც ასეთი ხშირი იყო ახალგაზრდებში?

- ადრე თუ 40 წლამდე ქალბატონებში ძალიან იშვიათი იყო ავთვისებიანი სიმსივნე, დღეს უკვე 18-20 წლის გოგონებშიც გვხვდება. ბოლო ათ წელიწადში, დაახლოებით, 38 პროცენტით მოიმატა და 2020 წელს, მსოფლიოში აღრიცხული იყო ძუძუს კიბოს 2 მლნ 300 ათასი შემთხვევა. უცნაურია, რომ მატება განსაკუთრებით ეკონომიკურად ძლიერ, განვითარებულ ქვეყნებში აღინიშნება. ამის მიზეზი შეიძლება ისაა, რომ ამ ქვეყნებში უფრო მოწესრიგებულია აღრიცხვა და სკრინინგი. შედეგად, პაციენტთა სიკვდილიანობაც, განვითარებულ ქვეყნებში, დაახლოებით, 18 პროცენტით დაბალია, ვიდრე ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ნაკლები ლეტალობის მიზეზი კი დაავადების ადრეული დიაგნოსტიკაა, რაც პაციენტის გადარჩენის მეტ შანსს იძლევა.

ასპროცენტიანი არაფერია მედიცინაში, მაგრამ თუ დაავადების განვითარების ადრეულ სტადიაში მოვიდა პაციენტი, ჩაუტარდა კვალიფიციური დიაგნოსტიკა და სათანადო მკურნალობა, გამოჯანმრთელების მაჩვენებელი 95 -98 პროცენტს აღწევს.

ესაა ჩვენი თხოვნა და მუდარა: მოდით დროზე, გაესინჯეთ! თუ ექიმთან ვერ მიდიხარ, თუ არა გაქვს ამის დრო ან საშუალება, გაისინჯე თვითონ! ყველას შეუძლია, თვეში ერთხელ თვითონ გაისინჯოს თავისი მკერდი.

- რა შემთხვევაში უნდა მივმართოთ ექიმს?

- თითოეულმა ქალმა, თითოეულმა გოგონამ, იმ ასაკიდან, როდესაც ეზრდება მკერდი, თვეში ერთხელ უნდა გაისინჯოს თავისი მკერდი. ეს, მე მგონი, არავითარ სირთულეს წარმოადგენს.

თუ რაღაც ახალი აღმოაჩინა, დავუშათ, ისეთი, რაც არ უნახავს წინა თვეში, წინა დღეს, წინა კვირაში... დაუყოვნებლივ უნდა მივიდეს სპეციალისტთან. თუკი იქნება საჭირო, იქვე, სკრინინგ-ცენტრში ტარდება ექოსკოპია, ციტოლოგია... არ ენდობით სკრინინგს? - მიდით იმ ექიმთან, ვისაც ენდობით! დღეს ხომ ისეთი სიტუაცია აღარ არის, როგორიც ადრე იყო, როცა მხოლოდ ერთი ონკოლოგიური ცენტრი არსებობდა ლისის ტბაზე და მაინცდამაინც იქ უნდა მისულიყავი? დღეს საქართველოში სხვადასხვა გაქანების და რესურსის მქონე 80-ზე მეტი ლიცენზირებული ონკოლოგიური კლინიკაა.

შეიძლება ითქვას, რომ გადადგმულია ძალიან დიდი ნაბიჯები, გვაქვს გამოჯანმრთელების დადებითი ბალანსი. მართალია, დაავადება „გაახალგაზრდავდა“ და ძუძუს კიბო დღემდე ნომერ პირველ პრობლემად რჩება ქალთა ონკოლოგიურ დაავადებებს შორის, მაგრამ იკლებს სიკვდილიანობა და გამოჯანმრთელებულ პაციენტთა რაოდენობა მატულობს. დროული დიაგნოსტიკა, სწორი მკურნალობა, განვითარებული მედიცინა, განვითარებული თერაპია, რადიოლოგია... იძლევა იმის საშუალებას, რომ კიბო დავამარცხოთ პაციენტთა 90 პროცენტის და მეტის შემთხვევაშიც კი.

- ადრე ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზს პაციენტს უმალავდნენ, ახლა ამას პირდაპირ ფორმა 100-ში უწერენ და არც არავინ ცდილობს მის დამალვას. ასეთი მიდგომა გამართლებულად მიგაჩნიათ?

- პაციენტს გააჩნია! არიან აბსოლუტურად საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც არასასურველ რეალობას აღიქვამენ ბრძოლად სიკვდილის წინააღმდეგ და მობილიზდებიან იმისათვის, რომ გადარჩნენ. არიან პაციენტები, რომლისთვისაც ეს არის განაჩენი და ვერ ეგუებიან. სიმართლე რომ დაუმალო და არაფერი უთხრა, არ შეიძლება, მაგრამ, როცა ექიმის გამოცდილი თვალი ხედავს, რომ პაციენტს ლაბილური ნერვული სისტემა აქვს, უნდა უთხრას, რომ ეს არის მძიმე დაავადება, მაგრამ არსებობს გამოჯანმრთელების შანსი... უნდა შეხედო, შეაფასო ადამიანის მდგომარეობა და შესაბამისად იმოქმედო.

ყველაფერზე მსჯელობენ შედეგებით. შედეგი კი არის პაციენტის გამოჯანმრთელება, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო შედეგებით ბევრ დიდ და წარმატებულ ქვეყანას არ ჩამოუვარდება. მიუხედავად ამისა, არის დიდი გადინება პაციენტებისა უცხოეთში, რადგან საქართველოში ერთიანი სისტემა არ არსებობს. რომ იყოს ერთი მმართველი ორგანო, ან სამინისტროში იყოს სამმართველო, რომელიც გააკონტროლებს, რომ ყველა კლინიკამ იმუშავოს ერთნაირი პროტოკოლით, ერთნაირი გაიდლაინებით, სწორი იქნებოდა. დღეს სხვაგვარად არის: პაციენტი მოვა ჩემთან, მე ვეტყვი ერთ რაღაცას, წავა სხვა ექიმთან, ის ეუბნება სხვა რამეს, მესამესთან წავა - ისიც სხვა რაღაცას ეტყვის და იბნევა ადამიანი...

- შიში თუ ჩნდება ექიმის პროფესიაში? გქონიათ ოდესმე ეს გრძნობა პაციენტთან მიმართებაში?

-რას ჰქვია შიში? თქვენ არ გეშინიათ, რომ მოულოდნელად ჭაში ჩავარდეთ ან თავში რამე დაგეცეთ? იმიტომ სწავლობ და შრომობ ამდენს, რომ არ უნდა გეშინოდეს! თუ გეშინია, არ უნდა შეხვიდე საოპერაციოში! თუ გეშინია პაციენტთან მისვლის და არა ხარ დარწმუნებული საკუთარ თავში, არ უნდა მოკიდო ამ საქმეს ხელი. პაციენტმა თუ შიში შეგატყო, რა გინდა საოპერაციოში? - შიში ცუდი მეგობარია. შიში თუ შეგეპარა ქირურგს, ის ოპერაცია კრახით დასრულდება ექიმისთვისაც და პაციენტისთვისაც.

- ბატონო გია, წლების განმავლობაში თქვენი ხასიათი, ალბათ, გამოიწრთო სიკვდილთან ბრძოლით. ამბობენ, რომ ექიმი ეჩვევა სიკვდილს, ეს სიმართლეა?

- ნებისმიერი ნორმალური ადამიანი სიკვდილზე უნდა ფიქრობდეს დღიდან დაბადებისა. გარდაცვალება არის ჩვენი გარანტირებული მომავალი, მაგრამ სიკვდილი არასდროს „მარტივდება“ ექიმისთვის, ამას ვერავინ ეჩვევა, პათანატომებიც კი. სიკვდილი რომ დგება, რაღაც იცვლება იმ წამსვე, იცვლება ურთიერთობა ცოცხალსა და გარდაცვლილს შორის, გაუცხოვება ხდება, დისტანცია ჩნდება წამიერად. სიკვდილს როგორ უნდა მიეჩვიო? ნებისმიერ პაციენტში ექიმი შესაძლებლობების მაქსიმუმს დებს და თუკი ბრძოლა კრახით მთავრდება, რა თქმა უნდა, ეს კატასტროფაა!

- ვიცი, რომ არ არსებობს ამისი ერთი კონკრეტული მიზეზი, მაგრამ მაინც, რამ გამოიწვია სიმსივნით დაავადებულთა რაოდენობის ასეთი ზრდა? ალბათ, იმ სტრესულმა და დაბინძურებულმა გარემომ, რომელშიც გვიწევს ცხოვრება?

- ძალიან მარტივია, სტრესს დააბრალო ყველაფერი. რომ დავიწყოთ იმის გამოძიება, რამდენი წელი ეწევა სიგარეტს ადამიანი, როდის შეისუნთქა გამონაბოლქვი, როგორ საკვებს მიითმევდა... ეს შორს წაგვიყვანს. კიბო არის პოლიეტიოლოგიური დაავადება, რომელსაც უამრავი გამომწვევი მიზეზი აქვს. კიბოს ადრე მოხუცებულთა დაავადებას ეძახდნენ, რომელიც გარკვეული ასაკის შემდეგ ვითარდებოდა. რაღაც ეტაპზე ორგანიზმის კონტროლიდან გამოდის უჯრედი ან უჯრედთა ჯგუფი, იწყებს ავტონომიურ ზრდას და სიმსივნედ ტრანსფორმირდება.

- როგორ წარმოგიდგენიათ ათეული წლის შემდეგ ონკოლოგიის განვითარება, რა წინსვლას უნდა ველოდოთ ამ მიმართულებით?

- პრობლემა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აშინებს ადამიანებს, აუცილებლად დადებითად გადაწყდება. როდის, რამდენ ხანში, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ მეტასტაზირების ალგორითმის გაშიფვრა არის ონკოლოგიის პრობლემის მოგვარების გასაღები.

ნონა ქარქაშაძე

გურამ ხიმშიაშვილი - ქართული კულტურის ქომაგი

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი მუსტაფა იაქუთი (გურამ ხიმშიაშვილი) რამდენიმე დღით საქართველოში იმყოფებოდა. ბატონი გურამი სტამბოლში ქართული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელია. მან აქ ისტორიკოს რამაზ სურმანიძის მიერ დაწერილი წიგნის — „მუსტაფა იაქუთი“ პრეზენტაცია გამართა. წიგნი ორ — ქართულ და თურქულ ენებზე დაიბეჭდა. ბატონმა გურამმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია — „ქართული კულტურა და ლიტერატურა თურქულ ენაზე“ წაიკითხა, ასევე, წარადგინა ქართველი კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ის ნაწარმოებები, რომლებიც თურქულ ენაზე ითარგმნა და იქაურ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა. მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, „საერთო გაზეთი“ გურამ ხიმშიაშვილს ესტუმრა და რამდენიმე კითხვით მიმართა:

— ბატონო გურამ, თქვენ ქართული კულტურა თურქეთში გაიტანეთ. წლებია, ქართული მწერლობის პროპაგანდას ეწევით. გვიამბეთ სტამბოლში თქვენი ცენტრის შესახებ...

— დიახ, სტამბოლში ქართული კულტურის ცენტრი დავაარსე. თავდაპირველად, ამ საქმიანობას მარტო ვუძღვებოდი და ჩემი ცენტრიც ერთადერთი იყო. თუმცა, ახლა ჩვენთან ქართული კულტურის, საზოგადოების რამდენიმე ცენტრი არსებობს. ასევე, გვაქვს ქართული ხელოვნების ცენტრი „იბერია“, რომელსაც ბატონი უსტიაშვილი უძღვება. გარდა ამისა, შექმნილია შოთა რუსთაველის კულტურის ცენტრიც, რომელსაც სალომე ბარამიძე თავმჯდომარეობს. ამ ადამიანებთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა მაქვს და ქართულ საქმეს ერთად ვემსახურებით. მე მათი ცენტრების საპატიო წევრი ვარ. რაც შეეხება ჩემი — „ქართული კულტურის ცენტრის“ საქმიანობას, მის ფარგლებში იმართება ღონისძიებები, ითარგმნება ქართველი მწერლების ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ გვაქვს ქართული ცენტრი „ბორჯღალები“, სადაც ბავშვებს ქართულ ლექსებს და, რაც მთავარია, დედა ენას ასწავლიან. მასწავლებელი ეშრეფ ილმაზ მახარაძეა, რომელიც ამ ცენტრს ხელმძღვანელობს.

— ანუ, ბავშვებს ქართულ ენასაც ასწავლით. მსურველი ბევრია?

— საკმაოდ ბევრი ცენტრი არსებობს, სადაც ბავშვებს ქართულ ენას ასწავლიან. სასწავლებლად მოდიან როგორც თურქეთში დაბადებული ქართველი ბავშვები, ასევე, იმ ემიგრანტების შვილებიც, რომლებიც აქ სამუშაოდ იმყოფებიან. ქართულს ვასწავლით, ასევე, თურქებსაც. კოვიდპანდემიის დროს ბავშვები ვერ დადიოდნენ და სწავლა ონლაინრეჟიმში მიმდინარეობდა.

— როგორც ვიცი, თქვენ თურქეთში ქართულ ჟურნალსაც გამოსცემდით...

— დიახ, მე მწერალი ვარ და შემოქმედებით საქმიანობას აქტიურად ვეწევი. 1993 წელს ჟურნალი „ჩვენებურები“ აღვადგინე. მანამდე ამ ჟურნალს ბატონი ახმედ მელაშვილი გამოსცემდა. შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში ეს ჟურნალი შეჩერებული იყო. „ჩვენებურების“ მიზანი ქართული კულტურისა და ლიტერატურის, აქ მყოფი ქართველებისთვის მათი ისტორიული, მონატრებული სამშობლოს გაცნობა, ქართული სულიერების გაცოცხლებაა. „ჩვენებურების“ გამოცემა 2006 წლამდე რეგულარულად გრძელდებოდა. სულ 59 ნომერი გამოვიდა და შემდეგ, სამწუხაროდ, დაიხურა. მოგვიანებით, 2008 წელს ჟურნალი „ფიროსმანი“ დავაარსე, რომელიც ორ — ქართულ და თურქულ ენაზე გამოდიოდა. მე მისი კოორდინატორი გახლდით, მაგრამ ამ ჟურნალის გამოცემაც შეჩერდა. „ფიროსმანის“ მხოლოდ თერთმეტი ნომერი გამოვიდა. უკვე ათი წელი გავიდა, რაც ჩვენთან ქართული ჟურნალი აღარ დაბეჭდილა. შარშან ივნისში დაიწყო ჟურნალ „ჩვენი სოფელის“ გამოცემა. მისი პირველი ნომრის პრეზენტაცია იმ სოფელში შედგა, სადაც დღეს ახმედ მელაშვილის საფლავია. სხვათა შორის, ამ დღეს მისი დაბადებიდან მეასე წლისთავი ვიზეიმეთ და ამასთან დაკავშირებით დიდი ღონისძიებაც გავმართეთ. საქართველოდან ჩამოსული იყვნენ მინისტრები, პოლიტიკური ლიდერები. ახმედ მელაშვილის უკვდავსაყოფად მაშინ ხუთი წიგნი და ორი ჟურნალი დაიბეჭდა. ეს წიგნები შემდგომ თარგმნა ერთმა ამერიკელმა პროფესორმა, რომელმაც კვლევები ჩაატარა სოფლის ცხოვრების, ადათ-წესების შესახებ და წიგნი ინგლისურ ენაზე გამოსცა. „ერთი სოფლის ისტორია“ — ასე ქვია წიგნს, რომელიც თურქულ ენაზე ითარგმნა. ახმედ მელაშვილის ასი წლის იუბილეზე ეს წიგნი მეორედ დაიბეჭდა. აქვე გეტყვით, რომ აქ ჩამოდიან ხელოვანები, მხატვრები, მწერლები და ადგილობრივ ქართველებთან ღონისძიებებს, შეხვედრებს მართავენ. დაახლოებით, 30-35 წლის წინათ ჩვენთან იმყოფებოდა ერთი პროფესორი ქალბატონი, მუსიკათმცოდნე, რომელმაც ქართული სიმღერები დაგვიწერა. იგი ამერიკაში რომ დაბრუნდა, 1975 წელს ამ სიმღერების, ქართული ფოლკლორის დისკი გამოუშვა. ახლა, 50 წლის შემდეგ, ისევ ჩამოვიდა და ახალი სიმღერები დაწერა.

— ჟურნალ „ჩვენებურების“ აღსადგენად დასახმარებლად არავისთვის მიგიმართავთ?

— არა, იყო გარკვეული საუბრები, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი არ გამოიღო.

— ამჯერად რა მიზნით იმყოფებოდით საქართველოში?

— პირველად საქართველოში საბჭოთა კავშირის დროს, 1987 წელს ვიმყოფებოდი. მას მერე არაერთხელ ვესტუმრე ამ ულამაზეს, სტუმართმოყვარე მხარეს და ხალხს. ყოველ წელს, როცა ჩამოვდივარ, საქართველო შეცვლილი მხვდება. ამჯერად თვალს ბევრი მშენებარე მაღალსართულიანი სახლი მოხვდა. ცოტა



გული დამწყდა, რადგან ეს თქვენს წარმტაც ბუნებას ამახინჯებს. აქვე მინდა გითხრათ, რომ 1968 წლამდე თურქეთში ადგილობრივმა ქართველებმა საქართველოს შესახებ არაფერი ვიცოდით. აჰმედ მელაშვილი იყო პიროვნება, რომელმაც ჩვენი ისტორიული სამშობლო გაგვაცნო. სწორედ ახმედმა გააღვიძა ქართველებში სამშობლოს სიყვარული, მისი მონატრება. მან გვაზიარა ჩვენს ისტორიულ სამშობლოს. ამის გამო აჰმედ მელაშვილს დევნიდნენ. იგი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. გავრცელებული ცნობით, ულტრა-ნაციონალისტებმა მოკლეს. რაც შეეხება ჩემს ვიზიტს საქართველოში, მე მომიწვია ბათუმის არქივის დირექტორმა თამაზ ფუტკარაძემ, ასევე, ქუთაისის უნივერსიტეტის და თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის დიასპორასთან მუშაობის სამეცნიერო ცენტრმა. ბათუმში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მოხსენებით გამოვედი. გარდა ამისა, ვიმყოფებოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც წავიკითხე საჯარო ლექცია — „ქართული კულტურა და ლიტერატურა თურქულ ენაზე“. ეს ღონისძიება უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და დიასპორის კვლევის სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა. ამ შეხვედრას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოეწყო ბათუმში მოღვაწე ისტორიკოსის, მწერალ რამაზ სურმანიძის წიგნის — „მუსტაფა იაქუთი (გურამ ხიმშიაშვილი)“ პრეზენტაცია. ეს წიგნი მან ჩემ შესახებ დაწერა. მასში შეტანილია ჩემი ბიოგრაფია — ცხოვრება, შემოქმედება, წერილები და პუბლიცისტიკა. სტამბოლში გამოცემული წიგნი ორენოვანია.

იმედს ვიტოვებთ, რომ ბატონ გურამ ხიმშიაშვილს ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდება როგორც ხელისუფლებაში, ისე ბიზნესმენებსა და ჩვეულებრივ მოქალაქეთა შორის, რათა მან ამ უმნიშვნელოვანესი ქართული საქმის კეთება დაუბრკოლებლად შეძლოს და კიდევ ბევრი ადამიანი აზიაროს ქართულ ენას, ლიტერატურას და კულტურას...

მსაუბრა
თამარ შველიძე

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99